ფემინისტური დიალოგი

ფემინისტური დიალოგი

კავშირი „საფარი", 2017

Sapari / საფარი

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

პუბლიკაცია მომზადდა კავშირი „საფარის“ მიერ „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ორგანიზაციების მოსაზრებებს და შესაბამისად, ისინი არ არიან პასუხისმგებელნი მასალის შინაარსზე.

ანალიტიკური სტატიის ავტორი: **აია ბერაია**, გენდერის მკვლევარი, ქვიარ ფემინისტი
პუბლიკაციის მომზადებაზე მუშაობდნენ: **აია ბერაია, მარი კურტანიძე**

ბეჭდვა: პოლიგრაფიული საწარმო „ფაუნტეინ ჯორჯია”

კავშირი „საფარი“ – მისამართი: ქანთარიას 11/ა, 0160, თბილისი, საქართველო;
ტელეფონი: 032 2 307 603 ვებგვერდი: sapari.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „საფარის“ წერილობითი ნებართვის გარეშე. © 2017, კავშირი „საფარი“

სარჩევი

ფემინისტური მოძრაობა საქართველოში: თაობები, იდეოლოგიები და ბრძოლა ავტონომიისთვის 4

შესავალი 5

ქართული ფემინიზმი სოციალური მოძრაობების თეორიებისა და governmentality-ის თეორიის პრიზმაში 9

მეთოდოლოგია 15

კონფერენცია და ფემინისტთა რეფლექსიები 18

პირველი პანელი: ქალთა მიმართ ძალადობა 18

მეორე პანელი: ცნობიერების ამაღლება და ფემინისტური მობილიზაცია 25

მესამე პანელი: ქალთა ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გაძლიერება 31

დასკვნა 36

ბიბლიოგრაფია 39

ფემინისტური დღიურები 40

„ფემინისტური დღიურების“ შესახებ 41

მარინა თაბუკაშვილი 44

ლიკა ნადარაია 54

თამარ საბედაშვილი 63

ანუკ ბელუგა 68

ნათია გვიანიშვილი 70

თამთა მელაშვილი 76

ბაია პატარაია 78

მაია ბარქაია 87

მარი კურტანიძე 90

ფატიმა რომანოვა 101

ალა პარუნოვა 111

ნუკრი ტაბიძე 120

ფემინისტური მოძრაობა საქართველოში: თაობები, იდეოლოგიები და ბრძოლა ავტონომიისთვის

ია ბერაია

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში ქალთა თუ ფემინისტური აქტივიზმი 1990-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო. თავდაპირველად, აქტივიზმი არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურაში მოექცა. შემდგომში, ფემინისტური მოძრაობა ორგანიზებულ ფორმას იძენდა სხვადასხვა ინიციატივებით, რისი მაგალითებიცაა „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი", „ქალთა მოძრაობა", ლგბტ ორგანიზაციები, მწვანე და სოციალისტური ჯგუფები. არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დამოუკიდებელი მოძრაობის ყველაზე გამორჩეული და ღიად გაცხადებული მცდელობა „ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფს" ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართული ფემინისტური მოძრაობა მაინც არასამთავრობო ორგანიზაციებით დომინირებულ მოძრაობად რჩება.

როგორც ითქვა, მოძრაობის NGO-იზაცია 1990-იანი წლებიდანვე ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. განვითარებად ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა გლობალური ნეოკოლონიური მმართველობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამგვარი მმართველობის მთავარი სუბიექტები საერთაშორისო ორგანიზაციები არიან, რომელთა შორის შეგვიძლია, გამოვყოთ გაერო. ეს ორგანიზაციები განვითარებად ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოებას თავად ასტრუქტურირებენ, რაც ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოების მთავარი აქტორი უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული არასამთავრობო სექტორი ხდება. საქართველოში ქალთა უფლებების საკითხშიც სწორედ ეს ტენდენცია გამოიკვეთა. ეს ნიშნავს, რომ ხშირად ადგილობრივი ორგანიზაციების დღის წესრიგი, ადგილობრივ საჭიროებებზე მეტად, დონორების მოთხოვნებს პასუხობს. საერთაშორისო ორგანიზაციები ან/და დონორები დღის წესრიგზე გავლენას ახდენენ როგორც დაფინანსებით, ისე ცოდნის წარმოებით. ცოდნა იწარმოება კვლევებით, სტატისტიკური მონაცემებით, სამოქმედო გეგმებისა თუ რეკომენდაციების შედგენით. მოცემულ შემთხვევაში, ცოდნის წარმოება მმართველობის ინტერესებს შეესაბამება და ამართლებს პრობლემის იმ ფორმულირებებს და რეკომენდაციებს, რომელსაც შემდეგ ეს ორგანიზაციები გვაწვდიან და ხანდახან ისინი ნაციონალურ დონეზე კანონებად ან სამოქმედო

გეგმებად „ითარგმნება"[1]. ამ პროცესის გამაშუალებლები ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ, ადგილობრივი აქტივისტები ხდებიან. ასე იმიტომ ხდება, რომ NGO-იზაცია უზრუნველყოფს, რომ ადგილობრივი განათლებული, ქალთა უფლებებით და ფემინიზმით დაინტერესებული აქტორები ან საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივ განყოფილებებში დასაქმდნენ, ან – ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში. ქვეყანაში სამუშაო ადგილების სიმცირე აქტივისტებს ხშირად სხვა არჩევანს არ უტოვებს და აქტივიზმის ალტერნატიული („არაენჯეოშნიკური") ფორმების განვითარებას აბრკოლებს. ქალები ვერც წარმომადგენლობით სისტემაში ხვდებიან და ვერც სახელმწიფო სტრუქტურებში საქმდებიან იმგვარად, რომ პოლიტიკაზე არსებითი გავლენა მოახდინონ. შესაბამისად, ფემინიზმი კვლავაც არასამთავრობო ორგანიზაციებში „გარიყული" რჩება. მართალია, ქართულ ფემინიმისტურ მოძრაობაში იმგვარი აქტივისტებიც არიან, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებში არ მუშაობენ, თუმცა, მთლიანობაში, ფემინისტურ მოძრაობაზე საუბრისას, უნდა გავითვალისწინოთ ეს ჩარჩო, რომელიც მეტ-ნაკლებად, მთელ მოძრაობაზე ახდენს გავლენას.

ანალიტიკურად შესაძლებელია გამოვყოთ ფემინისტ აქტივისტთა სამი თაობა. სამივე თაობა დროის სხვადასხვა მონაკვეთში გააქტიურდა. აგრეთვე, სავარაუდოა, რომ ისტორიული, სოციო-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის ცვლილება განაპირობებდა თაობების განსხვავებული ორგანიზების ფორმებს, იდეოლოგიურ პოზიციონირებას და დღის წესრიგს. პირველი თაობის გააქტიურების პერიოდი 1990-იანი ან/და 2000-იანი წლებია, მეორე თაობა აქტიურია დაახლოებით 2011 წლიდან, მესამე კი – დაახლოებით 2015 წლიდან.

პირველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ფემინიზმით ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაინტერესდა. მიმდინარეობდა მუშაობა კვლევებზე, აკადემიაში, თუმცა ამ თაობისთვის გარდამტეხ წლად შეგვიძლია 1998 მივიჩნიოთ. მაგალითად, ამ წელს დაარსდა ორგანიზაცია „ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ცენტრი",

[1] სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო პოლიტიკაზე NGO-იზაციის გავლენის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სტატია (2017) „სახელმწიფო ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ: სამოქმედო გეგმის ანალიზი და ნეოკოლონიური მმართველობის კრიტიკა ფემინისტური პოზიციიდან".

აგრეთვე, შეიქმნა „ფემინისტური კლუბი", რომელმაც რამდენიმე წელი იარსება. პარალელურად, გამოჩნდნენ ქალები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ მთავრობასთან. მათი საქმიანობა ძირითადად საერთაშორისო ნორმების შემოტანასა თუ კანონმდებლობის შექმნაზე იყო ორიენტირებული. არაერთგვაროვანი სამუშაო მიმართულებების მიუხედავად, მუშაობა ძირითადად არასამთავრობო სექტორიდან მიმდინარეობდა. CEDAW კომიტეტი აქტივისტებისთვის კარგი მექანიზმი იყო, რათა საკუთარი ხმა მთავრობისთვის მიეწვდინათ და გარკვეული საკითხების ინსტიტუციონალიზაცია მოეხდინათ. 2000 წელს ეუთოს ინიციატივით, ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოალიცია ჩამოყალიბდა, სადაც თემატური სამუშაო ჯგუფები შეიქმნა. კოალიციამ რამდენიმე წელი იარსება, თუმცა, მდგრადი ერთობის/მოძრაობის საფუძველი ვერ გახდა. პირველ თაობას დიდი წვლილი აქვს შეტანილი აკადემიაში გენდერული თემატიკის შეტანისა და წინწამოწევის, აგრეთვე, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში ცნობიერების ამაღლების საქმეში. მეორე მხრივ, პირველ თაობას არ განუვითარებია თვალსაჩინო ქუჩის აქტივიზმი და ვერც NGO-იზაციის შედეგად გაჩენილი შიდა კონკურენცია დაძლია[2].

აღსანიშნავია, რომ 2011 წელი „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის" დაფუძნების წელია. ამ სახით, მეორე თაობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დამოუკიდებლობის პრეტენზიის მქონე ქალთა მოძრაობის დაფუძნება იყო. „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი" წინ წამოსწევდა რადიკალურ ან/და ლესბოსურ ფემინიზმს და თავის ფოკუსში ქალის სხეულს და სექსუალობას აქცევდა. ჯგუფის მოთხოვნები ხშირად შეეხებოდა სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებს. ჯგუფს ასევე ჰქონდა მცდელობა, აქცენტი გაეკეთებინა კაპიტალისტურ ჩაგვრაზე და შეერთებოდა შრომითი უფლებებისთვის ბრძოლას. 2014 წლიდან კი, გახშირებულ ფემიციდთან რეაქციაში ჩამოყალიბებული „ქალთა მოძრაობა" ქალების მობილიზაციას ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული კვოტირების საკითხების ირგვლივ ცდილობს. 2014 წლის ბოლოს ჩამოყალიბებული „ქალთა მოძრაობა" დღეს ყველაზე

[2] ეს მონაკვეთი ეყრდნობა ინტერვიუს I თაობის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, ნანა ბერეკაშვილთან.

დიდი ქალთა ჯგუფია, რომელიც ფემინისტურ საკითხებზე მუშაობს. მიუხედავად ამისა, იდეოლოგიური ჩამოუყალიბლებობისა და ჯგუფის წევრების მრავალფეროვნების გამო, სადავოა, შეიძლება თუ არა, ჯგუფს „ფემინისტური" ვუწოდოთ. ამ ორი ჯგუფის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად წინააღმდეგობისა, აქტივიზმის ცენტრად კვლავაც დარჩა არასამთავრობო ორგანიზაცია, დღის წესრიგი კი კვლავაც დიდწილად „ზემოდან", საერთაშორისო ორგანიზაციებისგან არის ნაკარნახევი[3].

დაახლოებით 2015 წლიდან, აქტიურია ფემინისტ აქტივისტთა მესამე თაობა. თაობას წარმოადგენს ისეთი ჯგუფები, როგორიცაა „ქალთა მზერა" და „ახალგაზრდა მწვანეები", სხვადასხვა აქტივისტები ასევე გაბნეულნი არიან აკადემიაში ან/და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში. ზოგადად, აქტივისტთა ეს კატეგორია პატარა ჯგუფებშია გაბნეული. თაობას ჯერჯერობით არ აქვს ისეთი ინიციატივა, რომელიც მისი უფრო ფართო იდენტობის გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ. მესამე თაობა გამოირჩევა ინტერსექციური პოლიტიკისკენ სწრაფვით: გენდერული ჩაგვრა გაგებულია ჩაგვრის არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ მოცემულობად, რომელიც კვეთაში და ინტერაქციაშია სხვა ტიპის ჩაგვრებთან. მესამე თაობა ცდილობს, წინ წამოსწიოს როგორც შრომის, ასევე სექსუალობის საკითხები. მათ გააზრებული აქვთ, რომ კაპიტალიზმისა და პატრიარქატის კოოპერაცია შრომის სპეციფიკურ გენდერულ დანაწილებას ქმნის და ქალებს დაბალი ხელფასების, აგრეთვე, გენდერულად სპეციფიკური აუნაზღაურებელი შრომის საშუალებით იქვემდებარებს. სექსუალობა და გენდერი უფრო ღრმა იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს; ერთი მხრივ, იდენტობა კვლავ რჩება ბრძოლის მნიშვნელოვან ნიშნულად, თუმცა, მეორე მხრივ, სექსუალობისა და გენდერის სტრუქტურული გააზრებით ბრძოლის პოლიტიზაციისკენ სწრაფვა შეინიშნება. აქედან გამომდინარე, მესამე თაობაში გვხვდება რადიკალური, სოციალისტური და ქვიარ ფემინიზმის ტენდენციები. მიუხედავად იდეოლოგიური სიძლიერისა, ამ თაობის მთავარ გამოწვევად, ისევე როგორც წინა თაობებში, მოძრაობის NGO-იზაცია და დამოუკიდებელი დღის წესრიგის წარმოება რჩება[4].

---

[3] ეს მონაკვეთი ნაწილობრივ ეყრდნობა დაკვირვებას, „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის" შემთხვევაში კი, ასევე თამთა მელაშვილის (2014) სტატიას „თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში".

[4] ეს მონაკვეთი დაწერილია ჩართული დაკვირვების საფუძველზე.

მოცემულ სტატიაში, ჩემი მიზანია, სამი თაობის ფემინისტ აქტივისტთა მოსაზრებებსა და რეფლექსიებზე დაყრდნობით გავაანალიზო მათი იდეები, დღის წესრიგი და პოლიტიკა.

სტატია შეეცდება, უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

1. რა მიაჩნიათ ფემინისტ აქტივისტებს საკუთარ/მოძრაობის წარმატებად?
2. რა მიაჩნიათ ფემინისტ აქტივისტებს საკუთარ/მოძრაობის წარუმატებლობად?
3. რამდენად ავტონომიურია ფემინისტი აქტივისტების საქმიანობა?

ქართული ფემინიზმი სოციალური მოძრაობების თეორიებისა და governmentality-ის თეორიის[5] პრიზმაში

რა არის სოციალური მოძრაობა? ჩარლზ ტილი (2004, 1) ციტირებს გაზეთ Harare Daily News-ს: „სოციალური მოძრაობები სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებისგან შედგენილი ინკლუზიური ორგანიზაციებია... საზოგადოების ეს სხვადასხვა ჯგუფები ერთიანდებიან საერთო წუხილის ირგვლივ, რაც, უმეტეს შემთხვევაში, კონკრეტულ პოლიტიკურ გარემოში არსებული, საზოგადოდ აღიარებული დემოკრატიის ნაკლებობაა". ეს სოციალური მოძრაობის მრავალთაგან ერთ-ერთი შესაძლო განმარტებაა, თუმცა ვფიქრობ, ქართულ კონტექსტში, ის ფემინისტური მოძრაობის მოცემულობას შეესაბამება. მოძრაობა უნდა გავიგოთ, როგორც სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებისგან შედგენილი ერთობა/პროცესი, რაც განასხვავებს მას არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეული ჯგუფებისგან (რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება იყვნენ

[5] governmentality – მიშელ ფუკოს (1991) კონცეპტი, ნიშნავს მოსახლეობის რაციონალური მართვისა და მენეჯმენტის სისტემას; ჰარინგტონი განმარტავს შემდეგნაირად: „მართვის მენტალობები და მენტალობების მართვა" (2013, 139), ანუ ერთი მხრივ, მართვის მიმართებების, ფორმებისა და წესების შესახებ იდეების ფორმირება და მეორე მხრივ, მართვის მოდელის შესაბამისი სუბიექტურობის წარმოება. governmentality-ის თეორია – აღნიშნულ კონცეპტზე დაფუძნებული ძალაუფლებისა და მართვის თეორია, მოცემულ შემთხვევაში მიანიშნებს ძალაუფლების მიერ რეზისტენტული სუბიექტების წარმოებასა და ძალაუფლებისა და რეზისტენციის მკვეთრი გაყოფის შეუძლებლობაზე.

მოძრაობის ნაწილი). გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში, ქართული ფემინისტური მოძრაობაც დემოკრატიის ნაკლებობას უპირისპირდება; მოძრაობა იბრძვის იმისთვის, რათა ქართულ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში ქალებისა და სხვა ჩაგრული ჯგუფების ხმამ და ინტერესებმა მნიშვნელობა შეიძინოს.

თუკი სოციალური მოძრაობის მარქსისტულ თეორიას გავიზიარებთ, „[სოციალური] მოძრაობები კლასობრივი ბრძოლის გაშუალებული გამოხატულებებია" (ბარკერი 2013, 47). „კლასობრივი ბრძოლა" ხშირად მხოლოდ მშრომელებსა და კაპიტალისტებს შორის სამუშაო პირობების შესახებ დავებზე რედუცირდება ხოლმე, თუმცა, ბარკერის ინტერპრეტაციით, მარქსისტული თეორიისთვის სხვა ტიპის ბრძოლებიც მნიშვნელოვანია. „ჩაგვრის წინააღმდეგ დაფუძნებული ბრძოლები — მათ შორის, ეროვნებაზე, ეთნიკურ წარმომავლობაზე, რელიგიაზე, გენდერზე, უნარსა და სექსუალობაზე დაფუძნებული ბრძოლები — არც განსხვავდება და არც უპირისპირდება კლასობრივ ბრძოლას, არამედ ისინი შეადგენენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული სოციალური მოძრაობის, როგორც ტოტალობის, ორმხრივად ურთიერთდამოკიდებულ ნაწილებს" (ბარკერი 2013, 53).

გარდა ამისა, ბარკერი (2013) სოციალური მოძრაობების განსაზღვრას და თეორეტიზაციას შემდეგნაირად ახდენს:

- ✔ სოციალური მოძრაობები წარმოადგენს კოლექტიურ და არა ინდივიდუალურ მოქმედებას/მიღწევებს;
- ✔ მოძრაობებს სპეციფიკური ორგანიზაციული ფორმა აქვთ, რაც განასხვავებთ მათ სხვა ერთეულებისგან, როგორებიცაა, მაგალითად, პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები და ა.შ. ეს უკანასკნელები შეიძლება იყვნენ სოციალური მოძრაობის ნაწილი, თუმცა თავად არ წარმოადგენენ მოძრაობას. მოძრაობებს აქვთ ქსელური, მოქნილი და ცვალებადი ფორმა/ხასიათი;
- ✔ სოციალური მოძრაობის მიზნები და სხვადასხვა პროცესები მუდმივი განხილვის საგანია მის წევრებს შორის;
- ✔ ამ საკითხების განხილვაში ჩართულნი არიან მოძრაობის ოპონენტებიც. ისინი სხვადასხვა ძალაუფლების მექანიზმებით

ცდილობენ, გავლენა მოახდინონ მოძრაობასა და კლასობრივ ბრძოლაზე, რომელიც თვით მოძრაობის შიგნით (მის წევრებს შორისაც) მიმდინარეობს;

- ✔ სოციალური მოძრაობა არ არის აუცილებლად მემარცხენე ან „პროგრესული". სოციალური მოძრაობა შეიძლება ჰქონდეთ ელიტებსაც, ან მოძრაობა შეიძლება იყოს კონსერვატიული.

ეს კრიტერიუმები შესაბამისობაშია სოციალური მოძრაობის ზემოთ მოცემულ განსაზღვრებასთანაც. სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც სოციალური მოძრაობის შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ, მუდმივი განხილვის, შიდა და გარე ინტერაქციების შედეგად ქმნიან მოძრაობის მიზნებს და პოლიტიკას. აღნიშნული კრიტერიუმები მოძრაობას უფრო ცვალებადად და პროცესუალურად წარმოგვიდგენს, ვიდრე – სტატიკურად და ინსტიტუციურად. ფემინისტური მოძრაობა შეიძლება გაგებული იქნას, როგორც კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება. თუმცა მეორე მხრივ, კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობს არა მხოლოდ ფემინისტური მოძრაობის უშუალო ძალაუფლებრივ მტრებთან მიმართებაში, არამედ – სხვა მოძრაობებთან მიმართებაშიც და თვით ფემინისტური მოძრაობის შიგნითაც. ამგვარი ვითარების შექმნას ხელს უწყობს ფემინიზმების მრავალფეროვნებაც – ფემინისტური მოძრაობის შიგნით რამდენიმენაირი ფემინიზმია.

მაქსინ მოლინო (1998) წერს, რომ ქალთა მოძრაობები, ისევე როგორც სოციალური მოძრაობები ზოგადად, მოდერნული ფენომენია. XIX და XX საუკუნეებში ქალები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ორგანიზდებოდნენ პატრიარქატის წინააღმდეგ და თავიანთი უფლებების მოსათხოვნად. მოლინო ასევე აღნიშნავს, რომ მოდერნულ წესრიგში, ქალების მიერ სხვადასხვა უფლებების მიღება იყო, ერთი მხრივ, ქალთა მოძრაობების ბრძოლის, მაგრამ, მეორე მხრივ, ხშირად ასევე – ძალაუფლების სხვადასხვა ცენტრების მიერ ზემოდან გატარებული პოლიტიკების შედეგი. ძალაუფლების ცენტრებს შორისაა ლიბერალური ან სოციალისტური სახელმწიფოები, კოლონიური ძალები და საერთაშორისო ორგანიზაციები. მოლინო ასევე ხაზს უსვამს, რომ ქალთა მოძრაობები აუცილებლად მოდერნული ღირებულებების ან ქალთა ემანსიპაციის მხარდამჭერები არ არიან. ქალთა ზოგიერთი მოძრაობა „ტრადიციული საზოგადოების" დამცველად, ფაშისტური

ან ისლამისტური მოძრაობის ნაწილად/მხარდამჭერად გვევლინება. მაშასადამე, ფემინისტური მოძრაობა ქალთა მოძრაობის მხოლოდ ერთ-ერთი სახეა და არა – ერთადერთი. მოლინო (1998) ციტირებს სონია ალვარესს, რომლის მიხედვითაც, ქალთა მოძრაობები „მისდევენ ქალთა გენდერულ ინტერესებს... [და]... ქალებისთვის ისტორიულად მიწერილი გენდერული როლების საფუძველზე, მოთხოვნებს უყენებენ კულტურულ და პოლიტიკურ სისტემებს" (ალვარესი 1990, 23; ციტირებს მოლინო 1998, 4). თუმცა, მოლინო აღნიშნავს, რომ ქალთა მოძრაობების მსგავსი განსაზღვრება ქალთა მემარჯვენე მობილიზაციებს გამორიცხავს. მაშასადამე, ეს განსაზღვრება ფემინისტურ მოძრაობებს შეესაბამება და არა – ზოგადად ქალთა მოძრაობებს. ალვარესი ასევე ამატებს, რომ ქალთა მოძრაობების განმსაზღვრელი მახასიათებელი არის მათი ავტონომიურობა სხვა სოციალური ჯგუფებისგან (მოლინო 1998, 4). მოლინო იზიარებს იმ აზრს, რომ ფემინისტური მოძრაობებისთვის ავტონომია მნიშვნელოვანი ნორმატიული საკითხია, თუმცა აღნიშნავს, რომ ისტორიულად, ქალთა მოძრაობები სხვადასხვაგვარად ორგანიზდებოდნენ. იგი განასხვავებს ორგანიზების სამ იდეალურ ტიპს: დამოუკიდებელს, ასოციაციურს და მართულს. დამოუკიდებელი ორგანიზების ფორმა შეესაბამება ავტონომიურ მოძრაობებს, რომელსაც ქალთა თვითმმართველი თემი შეადგენს და სხვა პოლიტიკურ აქტორებს არ ექვემდებარება (მოლინო 1998, 6). ასოციაციური ორგანიზების შემთხვევაში, ქალთა დამოუკიდებელი, ავტონომიური მოძრაობები ალიანსს ქმნიან სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. მართული ორგანიზება კი ნიშნავს, რომ ქალთა მოძრაობა ექვემდებარება სხვა აქტორებს, მაგალითად, პოლიტიკურ ორგანიზაციებს ან მთავრობებს, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ მოძრაობისთვის მიზნების შემუშავებაში.

აქ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: ორგანიზების რომელი ფორმაა დამახასიათებელი ქართული ფემინიზმისთვის?

ქართულ ფემინიზმში, ავტონომიურობა მნიშვნელოვან ნორმად ფიგურირებს. ფემინისტი აქტივისტები ავტონომიისა და დღის წესრიგზე კონტროლის მოსაპოვებლად მიმართავდნენ სეპარაციულ ტექნიკებს, რაც კაცებით დომინირებული პოლიტიკური ორგანიზაციებისგან ან მოძრაობებისგან სივრცობრივ და ინტერაქციულ გამიჯვნას გულისხმობს. ამ კუთხით, ფემინისტური სეპარაციის მაგალითებია „ქალთა მზერა",

„ქალთა მოძრაობა" და სხვები. თუმცა, ავტონომიურობის კიდევ ერთი მახასიათებელი ისაა, რომ მოძრაობა საკუთარ მიზნებს და დღის წესრიგს თვითონ ქმნის. არის თუ არა ეს ასე ქართულ ფემინისტურ მოძრაობაში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სოციალური მოძრაობების თეორიას უნდა გავცდეთ და governmentality-ს თეორიას მივმართოთ.

ქეროლ ჰარინგტონი (2013) მიიჩნევს, რომ სოციალური მოძრაობების თეორიები გამოკვეთს მოძრაობებს, როგორც კოლექტიური მოქმედების ინსტრუმენტებს ელიტებისგან დაშორებული ადამიანებისთვის. თუმცა მეორე მხრივ, ჰარინგტონი ერთგვარ თეორიულ სისუსტედ მიიჩნევს იმას, რომ სოციალური მოძრაობების თეორიები მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ელიტას და არაელიტას, პირებს ან ჯგუფებს, რომლებსაც ძალაუფლება აქვთ და რომლებსაც ის არ აქვთ. ამიტომ, იგი გვთავაზობს, რომ ქალთა მოძრაობები უფრო ნაკლებად დიქოტომიური მოდელით, governmentality-ს თეორიით გავაანალიზოთ. ჰარინგტონი governmentality-ს თეორიით შეისწავლის ქალთა მოძრაობებისა და გაეროს კავშირს, სადაც ამ უკანასკნელს გლობალური ნეოკოლონიური მმართველობის მთავარ სუბიექტად განიხილავს. მაგალითად, სოციალური მოძრაობების თეორიის ოპტიმისტური ხედვით, ქალთა მოძრაობებმა, საერთაშორისო ქალთა ორგანიზაციებმა ბერკეტებისა და სქემების გამოყენებით მოახდინეს გავლენა გაეროსა და გლობალურ პოლიტიკაზე; UN Women-ის ფემინისტებმა შექმნეს ახალი კატეგორია — ქალებზე ძალადობა — რითიც კაცების დომინაციას გლობალურ დონეზე დაუპირისპირდნენ. ჰარინგტონი კი, ამის საპირისპიროდ, აღნიშნავს, რომ ეს სოციალური მოძრაობების თავისუფალი აგენტობა კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა ქალთა მოძრაობების კოოპტაციას (შერწყმას) ნეოკოლონიური მმართველობის სისტემაში. ჰარინგტონი საუბრობს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციების კავშირებზე გაეროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაეროს მიერ წარმოებულ სხვადასხვა სამართავ კატეგორიებზე, იქნება ეს გეოგრაფიული ერთეულები თუ მოსახლეობები და ადამიანთა კატეგორიები, და სამართავ ინსტრუმენტებზე, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO). თანამედროვე გლობალური ნეოკოლონიური მმართველობა მუშაობს ე.წ. დემოკრატიზაციისა და ნეოლიბერალური სახელმწიფოების ფორმირების კონტექსტში, სადაც ერთი მხრივ, არის მისწრაფება, რომ მოხდეს განვითარებადი ქვეყნე-

ბის რესპონსიბილიზაცია[6] და მეორე მხრივ, განვითარებაში წამყვანი როლის მქონედ მოიაზრება არა სახელმწიფოები, არამედ – ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები (ჰარინგტონი 2013). ამ პირობებში, გლობალური governmentality საერთაშორისო ორგანიზაციებს და დონორებს არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად მიმართავს, რაც განვითარებად ქვეყნებში/მესამე სამყაროში NGO–ების ბუმს იწვევს.

ამ ფონზე, ქართული ფემინისტური აქტივიზმის არასამთავრობო ორგანიზაციებით დომინირება, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, NGO–იზაცია, ნიშნავს, რომ აქტივიზმი დიდწილად ექვემდებარება ნეო–კოლონიურ მმართველობას, მიზნებს და დღის წესრიგს, რომელსაც ამ მმართველობის სუბიექტები – საერთაშორისო ორგანიზაციები, დონორები – ადგენენ. როგორც თამთა მელაშვილი (2014) აღნიშნავს, „ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა სიმრავლე არ იყო და არ არის კავშირში მათ ეფექტურობასთან. ხშირ შემთხვევაში, ფინანსური დამოკიდებულება დონორზე ზღუდავს ორგანიზაციათა ავტონომიურობას, ასევე მათ თანმიმდევრულობას და მდგრადობას. დონორთა მოთხოვნებზე ორიენტირებული ქალთა ორგანიზაციები ადვილად ცვლიან პრიორიტეტებს დონორთა ინტერესების მიხედვით". მოძრაობაში არასამთავრობო ორგანიზაციის ფორმატის დომინირება ნიშნავს, რომ მთელი მოძრაობის ავტონომიურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება (მიუხედავად ამისა, ცხადია, ყურადღება უნდა მივაქციოთ მოძრაობაში გაერთიანებული ძალებისა და პროცესების არაერთგვაროვნებასაც).

რომ შევაჯამოთ, თუ ქართულ ფემინისტურ მოძრაობას სოციალური მოძრაობების თეორიების პერსპექტივიდან შევხედავთ, მოძრაობა დიდწილად ავტონომიურია; მეორე მხრივ, თუ მოძრაობას governmentality–ის თეორიის პერსპექტივიდან განვიხილავთ, მოძრაობის ავტონომიურობას მნიშვნელოვნად ზღუდავს ნეოკოლონიური მმართველობა და არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურა, როგორც მისი ინსტრუმენტი.

---

[6] რესპონსიბილიზაცია (responsibilization) - governmentality–ის შესახებ ლიტერატურაში გამოყენებული ცნება, რომელიც აღნიშნავს ნეოლიბერალურ პოლიტიკებსა და დისკურსს, სადაც პასუხისმგებლობა ინდივიდებს ეკისრებათ იმაზე, რასაც ადრე კეთილდღეობის სახელმწიფო ახორციელებდა/უზრუნველყოფდა. მოცემულ ტექსტში ტერმინი ქვეყნებთან მიმართებაშია გამოყენებული და მიანიშნებს იმ ნორმატიულ იმპერატივზე, რომ გლობალური ნეოლიბერალური კაპიტალიზმის პირობებში საკუთარ ეკონომიკურ განვითარებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოებს ეკისრებათ.

მეთოდოლოგია

ანალიზისთვის მივმართავ ეთნოგრაფიული მიდგომის ელემენტებს. „ეთნოგრაფიის" სხვადასხვაგვარი განმარტებები არსებობს, მაგრამ მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ ეთნოგრაფის კვლევის ობიექტი კულტურა/კულტურული ჯგუფია და ეთნოგრაფი ატარებს „საველე კვლევას", სადაც ის აგროვებს მონაცემებს დაკვირვების, ინტერვიუების და სხვა მეთოდების გამოყენებით (ბერგი 2001; კრესველი 2012). თავის მხრივ, ეთნოგრაფიულ კვლევაში ასევე არსებობს სხვადასხვა მიდგომები. ჩემი ანალიზისთვის მივმართავ მიკროეთნოგრაფიას და კრიტიკულ ეთნოგრაფიას. მიკროეთნოგრაფია კულტურული ჯგუფის ცალკეული ასპექტების კვლევას ნიშნავს (ბერგი 2001; კრესველი 2102) – ამ შემთხვევაში, ეს ფემინისტთა ცხოვრების აქტივისტური მხარეა; კრიტიკული ეთნოგრაფია კი მოიცავს პოლიტიკურ მიზნებს, მაგალითად, შესასწავლი ჯგუფის გაძლიერებას. კრიტიკული ეთნოგრაფია ასევე გულისხმობს მკვლევარის/ანალიტიკოსის შეგნებულ პოლიტიკურ და ღირებულებით პოზიციინორებას, რაც პოზიტივისტურ მიდგომას გამორიცხავს (კრესველი 2012).

გარდა ამისა, ანალიზის წარმოებისას ვეყრდნობი ფემინისტური პოზიციის ეპისტემოლოგიის მიდგომას. სანდრა ჰარდინგი (1992) ფემინისტური პოზიციის ეპისტემოლოგიას წარმოგვიდგენს, როგორც მეთოდს უფრო ობიექტური ცოდნის წარმოებისთვის. პოზიციის ეპისტემოლოგია უპირისპირდება როგორც დასავლურ მეცნიერებაში ტრადიციულ და დომინანტურ უნივერსალისტურ ეპისტემოლოგიას, ასევე რელატივიზმს და ეთნოცენტრიზმსაც. პოზიციის ეპისტემოლოგია ითვალისწინებს იმ სოციალურ პოზიციებს, რომლიდანაც ცოდნა იქმნება და უპირატესობას ანიჭებს ჩაგრულთა – ფემინიზმის შემთხვევაში, ქალთა პოზიციებს. ჰარდინგი საუბრობს იმაზე, რომ დომინანტი და მარგინალიზებული/ჩაგრული ჯგუფების ხედვა ერთმანეთისგან განსხვავებულია. დომინანტი ჯგუფების ხედვა შეზღუდულია, მარგინალიზებული ჯგუფების ხედვა კი სამყაროს უფრო სრულ სურათს გვაძლევს.

ჰარდინგი (1992) წერს, რომ პოზიციის ეპისტემოლოგიის თეორიის მიხედვით, ცოდნის სუბიექტი არის განსხეულებული და თვალსაჩინო, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კონკრეტულ ცხოვრებისეულ, სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში არსებობს; ცოდნის სუბიექტი და ობიექტი

ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებიან. პოზიციის თეორია გულისხმობს, რომ ცოდნას ქმნიან არა უპირატესად ინდივიდები, არამედ საზოგადოებები (1992, 454). ჰარდინგი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს ცოდნის შექმნის პროცესში დისკურსების, ძალაუფლებისა და ისტორიული კონტექსტების როლზე, რომელთა „მაღლა" ან „მიღმა" ინდივიდი ვერ დადგება. „ფემინისტური პოზიციის თეორიის ცოდნის სუბიექტები/აგენტები არიან მრავალგვარნი, ჰეტეროგენურები, წინააღმდეგობრივები ან არათანმიმდევრულები...". (ჰარდინგი 1992, 454). არ არსებობს ერთი უნივერსალური ან ტიპური ქალი, რომლის პოზიციიდანაც ფემინისტური ცოდნა იწარმოება.

შესაბამისად, ამ მიდგომაში მკვლევარმა/ანალიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი სოციალური პოზიცია და იმ საზოგადოების/თემის პოზიციაც, რომლის კონტექსტშიც იგი ცოდნას აწარმოებს. ამ შემთხვევაში, ჩემი პოზიცია ქვიარ ფემინისტის პოზიციაა, რომელიც მოცემულ სტატიაში შემუშავებული ანალიტიკური დაყოფით, ფემინისტთა მესამე თაობას წარმოადგენს. ცოდნის სხვა სუბიექტი (და ამავდროულად ობიექტიც) კი არის თანამედროვე ქართველ ფემინისტთა ჰეტეროგენური თემი, რომელთა განსხვავებაც მოცემულ შემთხვევაში თაობების ან/და იდეოლოგიების მიხედვით ხდება. ანალიზის ობიექტი მთლიანობაში ქართული ფემინისტური მოძრაობა, ფემინისტ აქტივისტთა ჯგუფებია.

სტატია იწერება პროექტის „სამი თაობის დიალოგი ფემინისტურ წარმატებასა და წარუმატებლობაზე" ფარგლებში. პროექტი, თავის მხრივ, უფრო დიდი პროექტის ნაწილია, რისი ინიციატორიც სამი ქვეყნის წარმომადგენლები არიან – საქართველოს, გერმანიისა და უკრაინის ქალთა ფონდები. სამივე ქვეყანაში პროექტი ერთი და იმავე კონცეფციით, ფემინისტ აქტივისტებში თაობათაშორისი და იდეოლოგიათშორისი დიალოგის მხარდასაჭერად მიმდინარეობს. პროექტის ფინანსური მხარდამჭერი გერმანიის სახელმწიფოა. საქართველოში ამ კონცეფციით სამი პროექტი დაფინანსდა. ორგანიზაცია „საფარის" მიერ განხორციელებული ზემოხსენებული პროექტი ერთ-ერთი მათგანია.

შესაბამისად, მონაცემები ასევე „შექმნილია" ამავე პროექტის ფარგლებში. ეს არის ამავე კონცეფციით (თაობათაშორისი დიალოგი; წარმატება და წარუმატებლობა) გამართული კონფერენცია, რო-

მელშიც ფემინისტი აქტივისტები მონაწილეობდნენ[7]. კონფერენციის პანელებისთვის წინასწარ შევიმუშავე თემები. შესაბამისად, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სამი პანელი: ქალთა მიმართ ძალადობა; ცნობიერების ამაღლება და ფემინისტური მობილიზაცია; ქალთა ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გაძლიერება. პირველი ორი თემა ქართული ფემინისტური დღის წესრიგის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა. ქალთა მიმართ ძალადობა აქტუალიზებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებებზე ან/და სერვისების მიწოდებაზე მუშაობენ, ამ ფორმატში ცნობიერების ამაღლება და მობილიზაცია როგორც მინიმუმ მეორეხარისხოვანი ხდება. თუმცა მეორე მხრივ, ქალთა მობილიზაციაზე მუშაობა დაიწყო „ქალთა მოძრაობამ", რომლის ერთ-ერთი მთავარი სამუშაო მიმართულება ასევე ქალთა მიმართ ძალადობაა. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ ეს საკითხი აქტუალური იყო/არის მეორე და მესამე თაობის იმ ფემინისტებისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი დღის წესრიგის შექმნას ცდილობენ. ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი ქალთა დაცვის საკითხია, ცნობიერების ამაღლებისა და მობილიზაციის საკითხი კი ქალების ფემინისტურ ბრძოლაში ჩართვისა და მოძრაობის გაძლიერების. თუმცა ფემინისტი აქტივისტები ასევე მუშაობენ ქალების, როგორც ინდივიდების, ქალთა თემებისა და ქალთა სოციალური ჯგუფის გაძლიერებაზე. ქალთა გაძლიერება შესაძლებელია ხდებოდეს ეკონომიკურ, კულტურულ, ან პოლიტიკურ ასპექტებში. სამივე პანელის თემა იძლევა საშუალებას, გამოიკვეთოს ფემინისტური მუშაობის წარმატებები და წარუმატებლობები, აგრეთვე სამივე თემის შემთხვევაში შესაძლებელია მოძრაობის ავტონომიურობაზე დაკვირვება.

მოცემული პროექტის ფარგლებში შესასწავლად და შესაბამისად, კონფერენციაში მონაწილეობისთვის, შევარჩიეთ ფემინისტი აქტივისტები, რომლებიც მოლინოს (1998) კატეგორიზაციის მიხედვით, შეიძლება ავტონომიური ფემინისტური მოძრაობის ნაწილად მივიჩნიოთ. შერჩევისას, გამოყენებულია ორი ძირითადი კრიტერიუმი:

---

[7] კონფერენცია ჩატარდა 2017 წლის 7 ოქტომბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, წიგნის სახლ „ლიგამუსში". კონფერენციაზე დასწრება თავისუფალი იყო. ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია ორგანიზაცია „საფარის" ვებ-გვერდზე.

1. აქტივისტებისთვის ფემინისტობა პირველადი იდენტობაა, რითიც ისინი ჩნდებიან საჯარო სივრცეში (საპირისპიროდ რომელიმე პარტიის, პროფკავშირის, არაფემინისტური ორგანიზაციის ან მოძრაობის წევრობისა).
2. აქტივისტები თავიანთ საქმიანობას ეწევიან ორგანიზაციებში, ჯგუფებში ან სხვა ისეთ გარემოში, რომლებიც უშუალოდ ქალთა ინტერესების დასაცავად/ფემინისტური მიზნებით არის შექმნილი.

უშუალოდ პანელებზე აქტივისტების განაწილებისას კი შევეცადეთ, წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც სხვადასხვა თაობა, ასევე სხვადასხვა თემი, ჯგუფი და იდეოლოგიური მიმართულება. კონფერენციაში მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს ლიკა ნადარაიამ, ანა არგანაშვილმა, ნინო იაკობიძემ, ფატიმა რომანოვამ, ნინო გამისონიამ, ბაია პატარაიამ, იდა ბახტურიძემ, ნათია ქარჩილაძემ, მარინა თაბუკაშვილმა, გვანცა ხონელიძემ, რუსუდან გოცირიძემ, ნუკრი ტაბიძემ[8].

კონფერენცია და ფემინისტთა რეფლექსიები

აღნიშნულ კონფერენციას განვიხილავ პანელების მიხედვით და აქვე შევეცდები, გამოვკვეთო ერთი მხრივ თაობების სხვადასხვა ხედვები თუ სათქმელი, მეორე მხრივ კი ფემინისტური მოძრაობის მიღწევები და პრობლემები.

პირველი პანელი: ქალთა მიმართ ძალადობა

პირველ პანელზე წარმოდგენილნი იყვნენ ლიკა ნადარაია (CEDAW კომიტეტის წევრი, კავშირი „კავკასიური ფემინისტური ინიციატივის" პრეზიდენტი); ანა არგანაშვილი (ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" ხელმძღვანელი), ნინო იაკობიძე (სახალხო

[8] კონფერენციაზე მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მომხსენებლების მოწვევაა შესაძლებელი, რაც ერთი მხრივ, ქმნის საშიშროებას, რომ ქართული ფემინიზმის ყველა მიმართულებას სრულად და ამომწურავად ვერ მოვიცავთ და ამრიგად, ანალიზის ვალიდურობას ამცირებს. თუმცა მეორე მხრივ, ეს ნაკლოვანება აქ მოცემული მრავალფეროვნების ანალიზის სანდოობას არ გამორიცხავს.

დამცველის აპარატი, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი); ფატიმა რომანოვა (ლგბტქი ასოციაცია "თემიდას" გამგეობის წევრი, ტრანსფემინისტი, ტრენერი ტრანს-საკითხებზე).

ლიკა ნადარაიამ მოკლედ შეაფასა 1990-იანი და 2000-იანი წლების ფემინისტური აქტივიზმი და მიღწევები. მისი თქმით, 1990-იანი წლებში იდგმებოდა პირველი ნაბიჯები, ფემინისტებს ჰქონდათ პირველი შეხება გაეროსთან, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციასთან, ჩამოჰქონდათ რეკომენდაციები. იყო სხვა ღონისძიებებიც - ფემინისტური ბიბლიოთეკის შექმნა, პატარა აქციები. „მაშინ ეს მოძრაობა გვეგონა," - აღნიშნავს ნადარაია. მისი მონათხრობიდან იკვეთება, რომ ფემინისტები იყვნენ ახალშექმნილ ქართულ სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი შუამავლები. მათ ძალაუფლებას სწორედ ეს როლი აძლევდათ.

ნადარაია ფემინიზმისთვის წარმატებულად მიიჩნევს 2000-იან წლებს, რადგან ამ პერიოდში შემუშავდა ან/და მიიღეს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ (2006), კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010). იგი იხსენებს, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის გატანა დეპუტატების მიერ გამოხატული ღია სექსიზმის გამო, აქტივისტებისთვის განსაკუთრებულად რთული პროცესი იყო. ნადარაიას აზრით, ამჟამად უკვე გვაქვს საერთაშორისო ნორმატიული ბაზა, რაზე დაყრდნობითაც ფემინისტურმა მოძრაობამ უნდა იმუშაოს. აგრეთვე, დღეს უკვე დაძრულია სასამართლოს მექანიზმის გამოყენებისა და კანონის აღსრულების პროცესი - სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქალებზე მოძალადეები ისჯებიან.

მომდევნო მომხსენებელი, ანა არგანაშვილი, აღნიშნულ პროცესს, ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის მეთოდებს კრიტიკულად უყურებს. მისი აზრით, ფემინისტები ამ კუთხით სამი მთავარი გამოწვევის წინ დგანან, მაგრამ მან განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო იმ გამოწვევაზე საუბარს, რომ ფემინისტები დღესდღეობით პრობლემის სიმპტომს ებრძვიან და არა - მიზეზს. პრობლემურია ის, რომ ფემინისტებს სასჯელზე ორიენტირებული მიდგომა აქვთ და თითქოს არ ფიქრობენ იმაზე, რა სტრუქტურული უთანასწორობა დგას ძალადობის მიღმა და გამოდის თუ არა ქალი რეალურად გამარჯვებული ძალადობასთან ბრძოლის პროცესიდან. არგანაშვილი ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად

კანონის თუ სასჯელის აღსრულებისა, ქალები ისევ მოწყვლადები და დაუცველები არიან, როცა ისინი ღარიბები და დაუსაქმებლები არიან, არ აქვთ წვდომა განათლებაზე. სტამბოლის კონვენციის რატიფიკაცია და დასჯაზე ორიენტირებული კანონების მიღება საკმარისი არ არის, როცა არ შედის ცვლილებები შრომის კოდექსში, ჯანდაცვის კანონში, სოციალური დაცვის კანონსა და საცხოვრისით უზრუნველყოფის კანონში. არგანაშვილი აღნიშნავს, რომ ფემინისტები თითქოს კომპლიციტურები გახდნენ სახელმწიფოსთან, რომელიც მხოლოდ სასჯელზეა ორიენტირებული და ქალთა გაძლიერებას მოძალადე კაცების დასჯით აპირებს. არგანაშვილი ამბობს, რომ ფემინისტები კრახს განიცდიან, რადგან ვერ ამბობენ, რომ „ბრძოლის ამოსავალი გენდერული თანასწორობის შესახებ კანონია და არა – სისხლის სამართლის კოდექსი". მეორე გამოწვევად არგანაშვილი მართლმსაჯულების სისტემაში ქალების მიმართ მოპყრობას ასახელებს. მისი თქმით, ფემინისტების მარცხია ის, რომ მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის დროს, ქალებს კონტროლის მოპოვებაში და მეორადი ტრავმატიზაციის თავიდან აცილებაში ვერ ეხმარებიან. მესამე გამოწვევად არგანაშვილი მართლმსაჯულების სისტემაში სექსიზმის დაძლევას, ფემინისტი იურისტების გაძლიერებასა და ქალი მოსამართლეების მხარდაჭერას მიიჩნევს.

ნინო იაკობიძემ სახელმწიფოს მიერ არსებული კანონმდებლობის აღსრულების პრობლემებზე ისაუბრა. კანონის ცვლილების პოზიტიური მაგალითია ის, რომ ახლა სახელმწიფო სერვისებით არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, არამედ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლი ქალებიც სარგებლობენ. თუმცა იაკობიძის მოხსენებაში ამას პრობლემების გრძელი ჩამონათვალი მოჰყვა. მაგალითად ის, რომ სახელმწიფოს არ ყოფნის სოციალური მუშაკები, აგრეთვე, არ არსებობს მოძალადეთა რეაბილიტაციის ცენტრები, მიუხედავად იმისა, რომ კანონში ეს გაწერილია. პოლიციელებს ძალადობის მსხვერპლების მიმართ ხშირად არასენსიტიური დამოკიდებულება აქვთ, პოლიციელები მეტ სოლიდარობას იჩენენ მოძალადის მიმართ და ფსიქოლოგიურად ძალადობენ ქალზე იმის გამო, რომ მან ოჯახის წევრს უჩივლა. „სწორედ შენი გრძელი ენის გამო გცემენ", „რამდენს ბედავთ და მერე გიკვირთ, რომ ქალებს გკლავენ", – ასე იხსენებენ ქალები პოლიციელების გამონათქვამებს. აგრეთვე, იაკობიძის თქმით,

პოლიციას არ აქვს რისკების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა. მაგალითად, ქალის მიერ ძალადობაზე მრავალჯერადი შეტყობინება საგანგაშოდ არ მიიჩნევა და არ ხდება სათანადო რეაგირება; თუ ქალი შეტყობინებას გააუქმებს, პოლიცია არ ინტერესდება ამის მიზეზით და ა.შ. ამის შედეგად, მიუხედავად მრავალჯერადი შეტყობინებებისა, ფემიციდის პრევენცია ვერ ხერხდება ხოლმე. იაკობიძე შეეხო მსხვერპლთა თავშესაფრებსაც და აღნიშნა, რომ მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი პრობლემები: ვერ ხერხდება მსხვერპლის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის; აგრეთვე, პრობლემურია ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. პრობლემურია ისიც, რომ თავშესაფრები მხოლოდ ქალაქებშია და სოფლად მცხოვრები ქალებისთვის მათზე წვდომა გართულებულია. გარდა ამისა, რეგიონებში სერვისების მიწოდებაზე, სახელმწიფოს ნაცვლად, არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ, ზოგან კი ეს შესაძლებლობაც არ არსებობს.

იაკობიძის მოხსენება რომ შევაჯამოთ, სახელმწიფო სათანადოდ არ/ვერ უზრუნველყოფს იმ ფუნქციების შესრულებას და სერვისების მიწოდებას, რაც მას კანონით დაეკისრა. მაგალითად, თავშესაფრებისა და სოციალური მუშაკების ნაკლებობის გამო, მსხვერპლს საერთოდ ვერ, ან სათანადოდ ვერ ეხმარება, ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლთა და მოძალადეთა რეაბილიტაციას. მეორე მხრივ, პოლიცია გულგრილია ძალადობის შესახებ შეტყობინებების მიმართ, დამატებით ძალადობს მსხვერპლებზე და არ/ვერ უზრუნველყოფს ძალადობის ისეთი უკიდურესი შემთხვევების პრევენციას, როგორიც ფემიციდია.

ფატიმა რომანოვას მოხსენების თემა ტრანსგენდერ ქალებზე ძალადობა იყო. მან გამოყო რამდენიმე საკითხი: ძალადობის ფაქტები საქართველოში, ინტერსექციური ჩაგვრა, სექს-სამუშაო და ჰორმონული თერაპია.

რომანოვას თქმით, 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ტრანსგენდერი ადამიანები განიცდიან დისკრიმინაციას ცხოვრების ყველა სფეროში, არიან ფიზიკური ძალადობისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლები, აგრეთვე, დაუცველები შრომით ურთიერთობებში. საქართველოს კანონმდებლობა უგულებელყოფს ტრანსსპეციფიკურ საკითხებს, რადგან არ მოიცავს გენდერის სამართლებრივი აღიარების, ტრანზიციის რეგულირებისა და ჯანდაცვის პროგრამებში შესაბამისი ხარჯების ჩართვის საკითხებს. რომანოვა

ასევე შეეხო ტრანსგენდერი ქალების მკვლელობებს, რომლის „ჯაჭვიც" საქართველოში 2014 წელს, საბი ბერიანის მკვლელობიდან დაიწყო. არსებობს საფრთხე, რომ მსგავსი შემთხვევები კვლავაც გაგრძელდება, ბევრი ტრანსგენდერი ქალი ყოველდღიური ძალადობის პირობებში მუშაობს სექს-მუშაკად ე.წ. პლეშკებზე. აგრეთვე, ტრანსფობიისა და ტრანსმიზოგინიის გამო, ტრანსგენდერი ადამიანები ხშირად იძულებულნი არიან, შეზღუდონ თავიანთი თვითგამოხატვა და საჯაროდ გენდერულად კონფორმულები იყვნენ.

რომანოვამ მიმართა კრიტიკას ინტერსექციური პოზიციიდან. მისი თქმით, მას, როგორც ტრანსგენდერ ქალს, არ უნდა სთხოვდნენ სისგენდერი ქალების პრობლემებით დაინტერესებას და მოძრაობაში ჩართვას; იგი ამ პრობლემებით ისედაც დაინტერესებულია, მაგრამ უფრო მწვავე კითხვაა, რატომ თავად ეს (სისგენდერი და ჰეტეროსექსუალი) ქალები არ ზრუნავენ ყველა ქალზე. რომანოვამ ყურადღება გაამახვილა, როგორ შეიძლება ჩაგვრები გადაიკვეთოს ტრანსგენდერი ქალებისთვის, თუ ისინი ამავდროულად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, სექს-მუშაკები და აივ-ინფიცირებულები არიან, რომლებიც არ მალავენ ამ სტატუსს. ეს ადამიანები ვერ იღებენ შესაბამის სერვისებს სახელმწიფოსგან, არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი და სტიგმატიზებულნი და მარგინალიზებულნი არიან ლგბტ თემშიც კი.

პრობლემაა ისიც, რომ ტრანსგენდერ ქალებში აივ-ინფექცია ფართოდ არის გავრცელებული. ამის მიზეზი ხშირად სექს-სამუშაოში ჩართულობა ან ინექციური ნარკოტიკის მოხმარებაა. რომანოვამ ყურადღება გაამახვილა ტრანსგენდერი ქალების სექსუალობის ფორმირების ფსიქოლოგიურ ასპექტებზეც. მისი თქმით, ტრანსგენდერ ქალებთან სექსი ბევრ კაცს აინტერესებს, თუმცა ხანგრძლივი პარტნიორობის იდეა მათ აშინებთ. ეს ტრანსგენდერ ქალებში დაბალ თვითშეფასებას იწვევს და სექსი მათთვის საკუთარი მიმზიდველობის მტკიცებულება ხდება იმდენად, რომ ისინი აღარც კი ცდილობენ პრეზერვატივის გარეშე კონტაქტზე უარის თქმას. ეს თავის მხრივ, აივ-ინფექციის გადაცემის რისკს ზრდის. მიუხედავად პრობლემის სიმწვავისა, ტრანსგენდერ ქალებს ძალიან დაბალი ხილვადობა აქვთ საქართველოს აივ-ინფექციის პრევენციისა და მკურნალობის სისტემაში. რომანოვამ აღნიშნა ისიც, რომ საქართველოში ჰორმონული თერაპიის ოფიციალურად დანიშვნა პრაქტიკულად მიუწვდომელია. ამიტომ, ტრანსგენდერი ადამიანები ამ თერაპიას „შავი

ბაზრიდან" იღებენ, თანაც თერაპიას თვითონ ინიშნავენ, რაც მათი ჯანმრთელობისთვის საზიანო და საფრთხის შემცველია.

რომანოვამ ასევე ყურადღება გაამახვილა, რომ ტრანსგენდერ ქალებში დაბალია განათლების დონე და ცნობიერება, მათ შორის გენდერული იდენტობის საკითხებზეც. აგრეთვე, ტრანსგენდერი ქალების უმრავლესობისთვის მიუწვდომელია ფორმალური უმაღ-ლესი განათლება: „ერთადერთ გოგოს ვიცნობ, ვინც სწავლობს უნივერსიტეტში". რომანოვა განსაკუთრებით მწვავე და პირველ რიგში გადასაჭრელ საკითხებად ასახელებს ტრანსგენდერი ქალების თავშესაფრით უზრუნველყოფას, განათლებასა და განვითარებაზე ხელმისაწვდომობას, გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და ტრანზიციის კანონმდებლობით დარეგულირებას, სამედიცინო სერ-ვისების მიწოდების გაძლიერებას და ტრანსგენდერი სექს-მუშაკების გავლენის გაზრდას ადამიანის უფლებების პოლიტიკაზე.

პირველი პანელის შეჯამება

ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე იკვეთება ფემინისტი აქტივისტების მუშაობის ტრაექტორია. თუკი ლიკა ნადარაიას მო-ნათხრობს და მიდგომას დავეყრდნობით, პირველი თაობის წარ-მომადგენლები ხსნას საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქვეყანაში „საერთაშორისო სტანდარტების" შემოტანაში ხედავდნენ. საერთა-შორისო ორგანიზაციები და მათ მიერ რეკომენდებული კანონები ფემინისტურ მოძრაობას ძალას, სტატუსს, ავტორიტეტს და ერთგვარ საფუძველსაც აძლევდა. ქართული პოლიტიკის სექსისტურ-პატრიარ-ქალური გარემო ამ კანონებს მტრულად ხვდებოდა, რაც თითქოს მათი გატანის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდიდა. ამრიგად, წარმატება ამ კონტექსტში ფორმულირდება, როგორც ამ კანონების მიღება და მათი აღსრულების დაწყება.

ამ წარმატების წარუმატებლობად გადააზრება ჩანს ანა არგა-ნაშვილის მოხსენებაში, რომელიც მესამე თაობის აქტივისტებს მი-ვაკუთვნეთ. ფემინისტური მოძრაობისთვის, ამ კანონების ფასი ეცემა, როდესაც აშკარა ხდება, რომ ისინი მხოლოდ სასჯელზე ორიენტირებულ მიდგომას შეესაბამებიან, ქალის გაძლიერებას კი ხელს არ უწყობენ. აშკარა ხდება, რომ ძალადობასთან ბრძოლა ეფექტური ვერ იქნება

და ქალები ვერ გაძლიერდებიან, სანამ მათ წვდომა არ ექნებათ საცხოვრისზე, განათლებასა და დასაქმებაზე. შედეგად, სახელმწიფოს მიმართ შესაბამისი მოთხოვნები ჩნდება. ამ მოთხოვნების არდაყენება თუ სათანადო ლობირების არქონაც ფემინისტური მოძრაობის წარუ-მატებლობაა.

ნინო იაკობიძე კონფერენციაზე ერთგვარი გამონაკლისია იმ მხრივ, რომ იგი უფრო საჯარო მოხელის პოზიციიდან საუბრობს და არა აქტივისტის, თუმცა მისი მოხსენება ასევე შეიძლება იყოს წყარო, სადაც ფემინისტმა აქტივისტებმა შეიძლება საკუთარი მცდარი ნაბიჯები და წარუმატებლობა აღმოაჩინონ. მაგალითად, იკვეთება პოლიციის საკითხი, რომელიც ძალადობის აღკვეთისა თუ ფემიციდის პრევენციის საკითხებში არც თუ ეფექტურია. მსხვერპლებზე პოლიციის ძალადობის საკითხს თავის მოხსენებაში ანა არგანაშვილიც შეეხო, თუმცა ზოგადად პოლიციის არსის, როლისა თუ მისი ინსტრუმენტალიზაციის საკითხები ფემინისტურ მოძრაობას სიღრმისეულად ჯერაც არ განუხილავს.

ქართული ფემინისტური მოძრაობა დიდწილად სისნორმატიულია. თუ ლესბოსელი და ბისექსუალი ქალები მეტ-ნაკლებად ახერხებენ ჰეტეროსექსუალ ქალთა დომინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, სა-კუთარი დისკურსისა და პრაქტიკის შექმნას, ტრანსგენდერ ქალებს ეს პრივილეგიაც არ გააჩნიათ. ისინი მოძრაობაში მარგინალიზებულნი არიან, რასაც ხაზი გაუსვა ფატიმა რომანოვამ თავის მოხსენებაში. ეს ფემინისტური მოძრაობის მარცხია. მოძრაობა ასევე ვერ უმკლავდება სექს-სამუშაოს სპეციფიკურ საკითხთან და ინტერსექციურ ჩაგვრაზე მუშაობას. ტრანსგენდერი ქალებისთვის მინიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემებში მათი ინ-ტეგრაცია, მათი ხილვადობისა და გავლენის გაზრდა ფემინისტური მოძრაობის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

თუკი პანელზე თაობებს შორის განსხვავებებს დავაკვირდებით, იკვეთება მოძრაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომ-ლობისა თუ მათზე დამოკიდებულებისგან მეტი ავტონომიურობისკენ, სადაც არის მცდელობა, ძალადობასთან დაპირისპირება ადგილობრივი საჭიროებებისა და კეთილდღეობის მოთხოვნით მოხდეს და არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონებით. ეს სტანდარტები თუ კანონები კვლავაც რჩება იმ ჩარჩოდ, რომელშიც ფემინისტი აქტივისტები მუშაობენ, თუმცა, მეორე მხრივ, ხდება

აღიარება, რომ ისინი სისგენდერ ქალებს არ აძლიერებს, ტრანსგენდერ ქალებს კი მით უფრო არ აძლიერებს. არსებულ ჩარჩოს ინტერსექციური პოლიტიკის მოთხოვნა უპირისპირდება.

მეორე პანელი: ცნობიერების ამაღლება და ფემინისტური მობილიზაცია

მეორე პანელზე წარმოდგენილნი იყვნენ ნინო გამისონია („ქალთა მოძრაობის" წევრი, „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის" ყოფილი წევრი), ბაია პატარაია („ქალთა მოძრაობის" დამფუძნებელი, აიპ „საფარის" ხელმძღვანელი), იდა ბახტურიძე (საერთაშორისო ორგანიზაცია Women Engage for a Common Future საქართველოს ოფისის კოორდინატორი, „ქალთა მოძრაობის" წევრი, პლატფორმის „ქალები საქართველოდან" ერთ-ერთი ავტორი), ნათია ქარჩილაძე (მკვლევარი, დამოუკიდებელი აქტივისტი, სოციალისტი ფემინისტი). პანელი კითხვა-პასუხის ფორმატში წარმართა მოდერატორმა ნანა ფანცულაიამ („ქალთა ფონდი საქართველოში", აღმასრულებელი დირექტორი).

ნინო გამისონიამ ისაუბრა როგორც ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფზე (ფდჯ), ასევე „პარტიზან გოგოებზე". მისი თქმით, ფდჯ სპონტანურად შეიქმნა, ფემინისტები გაბრაზდნენ საპატრიარქოზე, რომელმაც აბორტის აკრძალვაზე წამოიწყო საუბარი. იქამდე, ანუ 2011 წლამდე, ფემინისტები ქუჩის პროტესტს არ მიმართავდნენ და მსგავსი რეაქციული და რადიკალური ჯგუფები საერთოდ არ არსებობდა, „პარტიზანი გოგოები" კი რამდენიმე ადამიანისგან შედგენილი ონლაინ-ჯგუფი იყო. ეს ჯგუფიც რეაქციული იყო საპატრიარქოს მიმართ. ჯგუფის მონაწილეები შენიღბულები იყვნენ და პროტესტს ვიდეოების ან ფოტომონტაჟის საშუალებით გამოხატავდნენ. გამისონიას თქმით, ჯგუფის მომზადებული მასალა ძალიან გულზე ხვდებოდათ ადრესატებს. ჯგუფის მიზანიც სწორედ ეს იყო, არა ცნობიერების ამაღლება, არამედ კონკრეტული ადრესატებისთვის ნერვების მოშლა.

ბაია პატარაიამ დასძინა, რომ დღესდღეობით, გამოკითხვების მიხედვით, ადამიანებისთვის ფემინიზმი მებრძოლ ქალებთან ასოცირდება. ფემინიზმის ნაკლებად ეშინიათ და ქალები მას სტიგმად არ აღიქვამენ, რაც ფდჯ-ს მუშაობის დამსახურებაა. შემდეგ მან ისაუბრა „ქალთა მოძრაობაზე", რომელიც 2014 წელს ასევე სპონტანურად შეიქმნა, ფემიციდის გახშირებულ შემთხვევებთან რეაქციაში. მიუხედავად იმისა, რომ ფდჯ ყოველი მკვლელობის შემდეგ აქციას

აწყობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ეს აქციები იყო მცი-რერიცხოვანი და არაეფექტური. პატარაია იხსენებს, რომ თავად გადაწყვიტა შეკრების გაკეთება და მისწერა ძალიან ბევრ ქალს. შეკრება შედგა და აქციისთვის შეირჩა დღე – 25 ნოემბერი. ეს დღე სიმბოლური იყო, რადგან 25 ნოემბერს იწყება გაეროს 16-დღიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ფეისბუქზე გაკეთდა ჯგუფი „25 ნოემბერი და მეტი", მაგრამ შემდეგ ჯგუფის სახელდებად „ქალთა მოძრაობა" შეირჩა. პატარაიას თქმით, ჯგუფის წევრები აცნობიერებდნენ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს ერთი ჯგუფისთვის იდეალური სახელი არ იყო, თუმცა მეორე მხრივ, მათ სურდათ ამ ცნების დანერგვა ადამიანთა ცნობიერებაში. პატარაიამ ასევე აღნიშნა, რომ მას ახარებდა ჯგუფის სიჭრელე და ის, რომ ჯგუფში მხოლოდ პროფესიული აქტივისტები არ იყვნენ. შემდგომში ონლაინ-ჯგუფი კიდევ უფრო ღია გახდა და იქ ამატებდნენ ყველას, ვისაც ქალთა საკითხები აინტერესებდა. პატარაიას თქმით, „ქალთა მოძრაობა" ფემინისტური ჯგუფია, მაგრამ მისი ყველა წევრი ფემინისტი არ არის, ფემინისტის იდენტობა, როგორც ბარიერი შეგნებულად მოისპო. შედეგად, „ქალთა მოძრაობა დღემდე არის ყველაზე დიდი თვითორგანიზებული ჯგუფი, რომელიც შედგება მხოლოდ ქალებისგან".

იდა ბახტურიძე იყო როგორც ფდჯ-ს, ასევე ქალთა მოძრაობის წევრი, თუმცა კონფერენციაზე პლატფორმა „ქალები საქართველოდან" წარმოადგინა. თავიდან, მან მობილიზაციის მიმართ ფდჯ-სა და „ქალთა მოძრაობის" დამოკიდებულება შეაჯამა. მან აღნიშნა, რომ ფდჯ-ის აქტივისტები NGO-იზაციის პროცესს და NGO აქტივიზმს აკრიტიკებდნენ. ერთ-ერთი მთავარი კრიტიკა ის იყო, რომ არასამთავრობო ორგა-ნიზაციებმა ქალთა ფართო მასების მობილიზაცია ვერ მოახერხეს. მიუხედავად ამისა, მობილიზაციაზე ფდჯ-ც არ მუშაობდა. მეორე მხრივ, „ქალთა მოძრაობას" ჰქონდა მობილიზაციის გარკვეული მცდელობები, რაც თავიდან უფრო წარმატებული იყო. ბახტურიძე იხსენებს, რომ პირველ აქციაზე ქალები ქუჩაში 25 ქალაქში გამოვიდნენ, მათ შორის ისეთ ქალაქებში, სადაც იქამდე ქალთა უფლებების შესახებ არანაირი აქცია არ ჩატარებულა. მიუხედავად ამისა, შემდგომში ჯგუფი მობილიზაციის კუთხით წარმატებებს ვერ აღწევდა. ასევე გამოჩნდნენ სხვა იდეოლოგიურ პლატფორმებზე მდგომი ფემინისტური ჯგუფები. ბახტურიძის თქმით, ეს მრავალფეროვნება პოზიტიური მოვლენაა,

თუმცა მეორე მხრივ, მოძრაობა გახლიჩა და გაერთიანება გაართულა. მისი თქმით, ეს ჯგუფები სოლიდარობას და მობილიზებას ხელს უშ-ლიდნენ, რადგან ეს მრავალფეროვნების ჩაკვლად და მოძრაობის ჰომოგენიზაციად მიაჩნდათ.

შემდეგ, ბახტურიძემ ისაუბრა უშუალოდ პლატფორმაზე „ქალები საქართველოდან". მისი თქმით, ავტორებს გაუჩნდათ შეგრძნება, რომ მოძრაობის შიგნით მიმდინარე იდეოლოგიურ დავებსა და კონფლიქტებში აქტივისტებს დაავიწყდათ, რომ საჭიროა სხვა ქალებთან დიალოგი. ეს პლატფორმა მნიშვნელოვანია, რადგან აქტივისტებსა და დანარჩენ ქალებს შორის კომუნიკაციის „ტრეინინგის ენას" და კონფერენციებს სცდება და წინ ქალების გამოცდილებებს წამოსწევს. ბახტურიძემ აღნიშნა, რომ სწორედ გამოცდილებების გაზიარება, ცოცხალი ადამიანების ისტორიები და არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები და კვლევებია საჭირო თანაგრძნობისა და სოლიდარობის გასაღვივებლად. ბახტურიძემ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ეს პლატფორმა არ არის კაცების, არამედ ის ემსახურება ქალებს შორის დიალოგს და მათი ცნობიერების ამაღლებას.

ნათია ქარჩილაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მისი თქმით, ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა იმ მშრომელი ქალებისთვის, რომელთაც კაცებთან შედარებითაც დაბალი ხელ-ფასები აქვთ. მან აღნიშნა, რომ თბილისელი აქტივისტების ფემი-ნიზმი გაუცხოებულია ისეთი ქალებისგან, როგორებიც არიან გა-რემოვაჭრეები ან მასწავლებლები. ეს ქალები ყოველდღიურად იბრძვიან გადარჩენისთვის და მათ ასევე არ აქვთ წვდომა ფეისბუქზე და საჯარო სივრცეზე. ქარჩილაძის აზრით, აქტივისტების ურთიერთობა დაბალი სოციალური ფენებისა და რეგიონებში მცხოვრებ ქალებთან არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ტრენინგებით და საჭიროა უფრო ხშირი კომუნიკაცია. მისი თქმით, ფემინისტურ მოძრაობას ამ ქალებს ნაციონალისტური და კონსერვატიული ჯგუფები ართმევენ და მოძრაობამ ისინი უნდა დაიბრუნოს, ამისთვის კი აქცენტები ეკონომიკურ საკითხებზე უნდა გაკეთდეს. ქარჩილაძემ აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის ან რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები მნიშვნელოვანია, მაგრამ „მშრომელ ჭიათურელ ქალს ძალიან უჭირს ამის გაგება". მისი აზრით, ამ ქალებისა და აქტივისტების გაერთიანება

შესაძლებელია სიღარიბესა და სოციალურ უთანასწორობასთან და-პირისპირებით.

აქტივისტებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რა სირთულეებს და გამოწვევებს აწყდებიან აქტივიზმში. ნინო გამისონიამ ხაზი გაუსვა შიდა კონფლიქტების პრობლემურობას. მისი აზრით, მთავარია მიზოგინიასა და ჰომოფობიასთან ბრძოლა და ამ დროს პიროვნულმა ფაქტორებმა უკან უნდა დაიწიოს, ასევე საჭიროა კამათის და დისკუსიის კულტურის განვითარება და შეურაცხყოფების თავიდან არიდება. მიუხედავად იმისა, რომ „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი" დღესაც არსებობს, ჯგუფმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და იქ ძველი წევრები ნაკლებად არიან. „ამ ჯგუფის არსებობა გადაჰყვა პირად კონფლიქტებს", – აღნიშნა გამისონიამ. ბაია პატარაიამ აღნიშნა, რომ მისთვის შიდა კონფლიქტები ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე გარეშე პირებთან დაპირისპირება. მან ყურადღება გაამახვილა ფემინისტებში ერთმანეთის მიმართ ბულინგისა და ფსიქოლოგიური ძალადობის პრობლემაზე. ნათია ქარჩილაძის თქმით, აქტივისტურ ჯგუფებთან ურთიერთობისას მისთვის სირთულეს იდეოლოგიური წინააღმდეგობები წარმოადგენს. მისთვის ფემინიზმი ერთი მხრივ პატრიარქატთან ბრძოლას ნიშნავს, მეორე მხრივ კი – კაპიტალიზმთან, მეინსტრიმული ფემინიზმი კი აქცენტს უფრო კულტურულ ასპექტებზე აკეთებს. იდა ბახტურიძის თქმით, მისთვის გამოწვევაა „ქალები საქართველოდან" პლატფორმაში მონაწილე ქალების დაცულობა, რომ ისინი არ გახდნენ ბულინგის მსხვერპლნი. ეს დიდ წინდახედულებას, სიფრთხილეს და მოქნილობას და შესაბამისად, აქტივისტისგან დამატებითი შრომის გაწევას მოითხოვს.

რა უშლის ხელს გაერთიანებას და სოლიდარობას? აქტივისტებმა ამ კითხვასაც უპასუხეს. ბაია პატარაიამ აღნიშნა, რომ ქალებს გაერთიანება ზოგადად უჭირთ, განსხვავებით კაცებისგან, რომლებიც ადვილად ერთიანდებიან. ქალებს უჭირთ იერარქიაში მუშაობა და ლიდერის გამოკვეთა, ამის საფუძველი კი ის არის, რომ ქალებს ინდივიდებად და კონკურენტებად ზრდიან. კაცებს თავიდანვე „ძმობას", ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას ასწავლიან, ქალებს კი ზრდასრულ ასაკში უწევთ იმის გადააზრება, რომ „დობა" არსებობს და სოლიდარობა მნიშვნელოვანია. ნინო გამისონიამ პრობლემად ქალთა ჯგუფებში სტრატეგიის არქონა დაასახელა. იდა ბახტურიძის აზრით, სოლიდარული გაერთიანება ვერ ხერხდება, რადგან ეს ვიღაცებს

არ უნდათ. მისი თქმით, ასეთი ადამიანები სხვებს პრივილეგიების გამო ამუნათებენ და გაერთიანებაზე უარს იმისთვის ამბობენ, რომ მოძრაობის მრავალფეროვნება არ დათმონ. ნათია ქარჩილაძემ აღნიშნა, რომ მოძრაობა ჯერაც ვერ შეთანხმდა ისეთ მიზანზე, როგორიცაა ქალის ეკონომიკური და კულტურული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა. გაერთიანებას სწორედ ეს შეუთანხმებლობა, იდეოლოგიური ჩამოუყალიბებლობა აფერხებს.

მეორე პანელის შეჯამება

ფემინისტური მოძრაობა „ქვემოდან", მოქმედებები, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებს და საქმიანობას გასცდა და ქუჩებში გადანაიცვლა, 2011 წელს „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის" ფორმირებით დაიწყო, მას მოჰყვა „პარტიზანი გოგოები" და უფრო მოგვიანებით კი „ქალთა მოძრაობა". მეორე თაობის ბევრი ფემინისტი ამ ჯგუფებისა და ინიციატივების შემოქმედი და მონაწილეა. დავაკვირდეთ, როგორ შეაფასეს პანელზე წარმოდგენილმა აქტი-ვისტებმა ამ ჯგუფების წარმატებები თუ წარუმატებლობები.

თავისთავად წარმატებად არის მიჩნეული ფემინისტური პროტესტის იმგვარი ფორმების შექმნა, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ამ შემთხვევაში ეს არის რადიკალური და რეაქციული აქტივიზმი, ქუჩის პროტესტი, საპატრიარქოსთან რადიკალური დაპირისპირება. გარდა ამისა, ითქვა, რომ „ფემინისტების დამოუკიდებელმა ჯგუფმა" ფემინიზმისთვის კარგი სახელის დამკვიდრება, მისი ლეგიტიმურად ქცევა მოახერხა. უკვე „ქალთა მოძრაობის" შემთხვევაში ბაია პატარაია წარმატებად მიიჩნევს იმას, რომ ჯგუფმა/ინიციატივამ ბევრი სხვადასხვანაირი ქალის დაინტერესება მოახერხა. მისი თქმით, ფემინისტურ ჯგუფში ყოფნისთვის ფემინისტური იდენტობა საჭირო აღარ არის, რამაც მობილიზაცია გაამარტივა და ჯგუფის წევრების რაოდენობა გაზარდა. იდა ბახტურიძემ პლატფორმის „ქალები საქართველოდან" წარმატებად დაასახელა ქალთა გამოცდილებების წინწამოწევა და საჯარო სივრცეში ფემინიზმის „ცოცხალი" სუბიექტების გამოჩენა, საპირისპიროდ კვლევებისა და სტატისტიკური მონაცემებისა. ასევე, ზოგად წარმატებად არის მიჩნეული კაცებისგან დამოუკიდებელი პლატფორმებისა და ჯგუფების შექმნა.

მეორე მხრივ, წარუმატებლობად მოიაზრება ის, რომ მიუხედავად

რადიკალურობისადა NGO-ებისმიმართკრიტიკულობისა,„ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი" მობილიზაციაზე პრაქტიკულად არ მუშაობდა, „ქალთა მოძრაობამ" კი მიუხედავად ქალთა თავდაპირველი მასშტაბური დაინტერესებისა, შემდგომში ეს რესურსი დაკარგა. აღინიშნა ასევე ახალი ფემინისტური ჯგუფების გამოჩენის საკითხი, რის მიმართაც მეორე თაობის აქტივისტებს ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ. ისინი, ერთი მხრივ, აღნიშნავენ, რომ ეს პოზიტიური მოვლენაა, თუმცა მეორე მხრივ, ფიქრობენ რომ ეს ის მრავალფეროვნებაა, რომელიც გაერთიანებას და მობილიზაციას ხელს უშლის. ნათია ქარჩილაძემ, რომელიც პანელზე მესამე თაობას წარმოადგენს, ფემინისტური მოძრაობის მარცხად გამოკვეთა აქტივისტების გაუცხოება დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ან/და რეგიონებში მცხოვრები ქალებისგან. ქარჩილაძე წარუმატებლობად ხედავს იმას, რომ ფემინისტური მოძრაობა ეკონომიკურ საკითხებზე არ ამახვილებს ყურადღებას და სხვა ქალებთან სიღარიბესთან საბრძოლველად არ ერთიანდება.

ბაია პატარაიამ „ქალთა მოძრაობის" სიჭრელე და ღიაობა მის წარმატებად დაასახელა. გარდა ამისა, პატარაია და ბახტურიძე ფიქრობენ, რომ აქტივისტებს შორის შეთანხმების მიღწევა კონ-კურენციისა და „დობის" კონცეპტთან გაუცხოების გამო ვერ ხერხდება. თუმცა, დანარჩენი მომხსენებლების საუბრიდან გამომდინარე, გა-მოკვეთილი და შეთანხმებული იდეოლოგიის არქონა, ფემინისტის იდენტობაზე შეუთანხმებლობა, ან სულაც მისი უგულებელყოფა თავს იჩენს, როგორც სისუსტე. ნინო გამისონიამ ისაუბრა იმაზე, რომ „ფე-მინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი", სადაც ბევრი სხვადასხვანაირი ქალი ერთიანდებოდა, პირადი კონფლიქტების გამო დაიშალა, პირადი კონფლიქტები და დაპირისპირებები პრობლემად სახელდება „ქალთა მოძრაობის" ფარგლებშიც. ეს მიუთითებს, რომ აქტივისტებს შორის ფემინიზმზე ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს, ან „ყველას თავისი ფემინიზმი აქვს" და იდეოლოგიური თანხმობის არქონა აქტივისტებს ერთმანეთისგან თიშავს. იდა ბახტურიძეს მიაჩნია, რომ სოლიდარობა ერთი საერთო მიზნის ირგვლივ გაერთიანებას ნიშნავს, თუმცა ყურადღების მიღმა ტოვებს იმას, საიდან მოდის კონკრეტული მიზნები, რა იდეოლოგიურ საფუძველს ეფუძნება ისინი და რამდენად იყვნენ ჩართულნი მის შემუშავებაში სხვადასხვა ჯგუფები. ამ კუთხით იდეოლოგიურ შეუთანხმებლობაზე ყურადღება გაამახვილა ნათია

ქარჩილაძემ, როცა აღნიშნა, რომ მისთვის ფემინიზმი პატრიარქატთან და კაპიტალიზმთან ბრძოლას ნიშნავს, თუმცა, ხშირად ამაზე სხვა აქტივისტებთან თანხმობას ვერ აღწევს.

ფემინისტურმა ჯგუფებმა ქართულ საზოგადოებაში ახალი, განსხვავებული პროტესტის ფორმები და შინაარსები შემოიტანეს. მათ მოახერხეს ფემინიზმის ლეგიტიმიზაცია და განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა – ფემიციდის შემთხვევების წინააღმდეგ ქალთა მასშტაბური პროტესტის ორგანიზება. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოძრაობამ სტაგნაცია განიცადა. „ქალთა მოძრაობამ", რომელმაც მოძრაობაში დომინაცია მოიპოვა, ცნობიერების ამაღლებაზე სიღრმისეულ მუშაობას „ღია მობილიზაციის" პოლიტიკა ამჯობინა. მობილიზაციის ამ ფორმამ მოიცვა იდეოლოგიურად სრულიად განსხვავებული ფემინისტები და ის ქალებიც, ვინც ფემინისტად არ იდენტიფიცირდებიან; გარდა ამისა, უპირატესობა მიენიჭათ იმ ქალებს, ვისაც წვდომა აქვთ ფეისბუქზე და საჯარო სივრცეზე. ამან „ქალთა მოძრაობა" შედარებით პრივილეგირებულ ქალთა ჯგუფად აქცია, ხოლო „არააქტივისტების" ან დაბალი სოციალური ფენების ქალთა მონაწილეობა გამოირიცხა. „ქალთა მოძრაობის" ლიდერებში ერთგვარი დაბნეულობა და წინააღმდეგობა გამოიწვია ისეთი ჯგუფებისა და ინდივიდების გამოჩენამ, რომლებიც ჩამოყალიბებული, მემარცხენე იდეოლოგიური პოზიციებიდან მუშაობას ან/და მოძრაობის მობილიზაციის ფორმების ცვლილებას მოითხოვენ. მეორე მხრივ, „ქალთა მოძრაობის" ღიაობის პოლიტიკამ გარკვეული სივრცეები გახსნა ამ აქტორების ინტეგრაციისა და აქტივისტებს შორის დიალოგისთვის. აღნიშნული ჯგუფების საქმიანობა აჩვენებს, რომ მთლიანობაში, მოძრაობა ავტონომიურობის ზრდაზეა მიმართული, თუმცა ეს პროცესი წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ამჟამად კრიზისის გამოხატულებაა მოძრაობის სტაგნაცია, იდეოლოგიური გაურკვევლობა და მოძრაობის შიგნით მიმდინარე დავები.

მესამე პანელი: ქალთა ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გაძლიერება

მესამე პანელზე წარმოდგენილნი იყვნენ მარინა თაბუკაშვილი (ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს" ქალთა პროგრამის კო-

ორდინატორი 2000–2006 წლებში, ფონდი „ტასოს“ თანადამფუძნებელი და გენერალური დირექტორი), გვანცა ხონელიძე („ქალთა მზერა”), რუსუდან გოცირიძე (ევანგელურ–ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, ფემინისტური თეოლოგიის ქართული კურსის შემქმნელი), ნუკრი ტაბიძე (გენდერის მკვლევარი, დამოუკიდებელი აქტივისტი, ქვიარ ფემინისტი). პანელს მოდერაცია გაუწია ნინო ლეჟავამ (ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დირექტორი, მწვანე მემარცხენე ფემინისტი).

მარინა თაბუკაშვილმა თავის მოხსენებაში სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროგრამის ფარგლებში გადაწყდა სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებისთვის ფინანსების მიმართვა. თაბუკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ამ ქალებთან კომუნიკაციას, რადგან ისინი „თავიანთი კონტექსტის ექსპერტები” არიან. ქალებთან მუშაობა სოციალური მობილიზაციის მეთოდით მიმდინარეობს. გრანტების, სწავლებისა და მხარდაჭერის მეშვეობით, სხვადასხვა თემებში ჩნდება ქალთა ეფექტური ჯგუფები. ამ ჯგუფების რეპუტაცია მაღლდება და ხშირად სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ნაცვლად მათ მიმართავენ. აგრეთვე, ამ ქალებით პოლიტიკური პარტიები ინტერესდებიან და სთხოვენ მათ, რომ სიაში ჩაეწერონ. თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავს პროექტებზე სათემო ორგანიზაციები მუშაობენ, სათემო ორგანიზაციის კონცეპტი ნიშნავს, რომ ისინი მუშაობენ ქალებთან ერთად და არა – „ქალებისთვის”. მოხსენებიდან იკვეთება, რომ რესურსებზე და ცოდნაზე წვდომა ქალებს თემის ლიდერებად აქცევს, რაც პოლიტიკურ გაძლიერებასაც განაპირობებს და შესაძლებელს ხდის, რომ მათ თავიანთი ხმა თემის ინტერესებისთვის გამოიყენონ.

გვანცა ხონელიძემ სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელობასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ იგი მხარს უჭერს წარმომადგენლობით სისტემაში ქალებისთვის კვოტების შემოღებას. ადრე ეს საკითხი პრიორიტეტულად არ მიაჩნდა, თუმცა, შემდგომში აზრი შეიცვალა და ახლა ფიქრობს, რომ კვოტები იკვეთება ქალთა სოციალური გაძლიერებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხთან. ხონელიძემ აღნიშნა, რომ მისი ხედვით, ეკონომიკური გაძლიერება სამ

კომპონენტს მოიცავს: 1. წვდომა საკუთრებაზე, განსაკუთრებით მიწაზე; 2. საცხოვრისის უფლების განხორციელება; 3. დანაზოგის შექმნის შესაძლებლობა. მისი თქმით, ფემინისტებმა სახელმწიფოს გარკვეული სოციალური პოლიტიკის გატარება და აღნიშნულ ასპექტებში ქალთა გაძლიერება უნდა მოსთხოვონ. ხონელიძემ აღნიშნა, რომ ქართულ სახელმწიფოს გადანაწილების პოლიტიკა არ აქვს, რაც მძიმედ აისახება ქალებზე. მაგალითად, დღესდღეობით ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად მხოლოდ დროებით თავშესაფრებში შეუძლიათ წასვლა, ისინი ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ვერ იძენენ, სახელმწიფო კი მათ გაძლიერებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ხონელიძის თქმით, ფემინისტური მოძრაობის მოთხოვნა სახელმწიფოს მიმართ უნდა იყოს არა მხოლოდ კვოტები ქალებისთვის, არამედ ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და გადანაწილების სხვა პოლიტიკების ფემინისტური პერსპექტივიდან შეთავაზება. აქ ასევე შესაძლებელია კეთილდღეობის სახელმწიფოების უკვე არსებული მოდელების გამოყენება.

რუსუდან გოცირიძის მოხსენება ქალის გაძლიერებაში რელიგიის როლს ეხებოდა. მან აღნიშნა, რომ რთულია, რელიგიაზე ამ კუთხით ილაპარაკო, როცა საუკუნეების მანძილზე რელიგია ქალის ჩაგვრისა და დაქვემდებარებისთვის გამოიყენებოდა. თუმცა, მეორე მხრივ, პატრიარქატს მრავალი სახე აქვს და სეკულარულ კულტურაში ქალი ისევე შეიძლება იყოს ჩაგვრის მსხვერპლი, როგორც – რელიგიურში. გოცირიძემ მუსლიმი ქალების მაგალითზე განიხილა რელიგიის როლი ქალის დაქვემდებარებასა თუ ემანსიპაციაში. ჰიჯაბიან ქალს ევროპული სეკულარული კულტურა ავტომატურად ჩაგრულად აღიქვამს, თანაც ეშინია მისი. თუმცა ჰიჯაბიც და სხვა სამოსიც მნიშვნელობას ქალის არჩევანისა და ძალაუფლებრივი მიმართებების კონტექსტში იძენს. გოცირიძემ ირანში მიმდინარე ჰიჯაბის მოხსნის კამპანია ახსენა. ამ შემთხვევაში ეს ქმედება ქალებისგან მოდის და სახელმწიფოსა და რელიგიური ძალაუფლების მიმართ წინააღმდეგობაა. თუმცა, სხვა კონტექსტია, როდესაც ევროპაში მუსლიმ ქალს გახდას „თეთრი პოლიციელი" აიძულებს. ამ შემთხვევაში, ეს ქალის ემანსიპაციის ნიშანი არ არის. გოცირიძემ ახსენა ქართველი ახალგაზრდა ქალებიც, რომლებმაც ჰიჯაბი დაიხურეს. მისი თქმით, ქართულ რეალობაში ასეთ ნაბიჯს გაბედულება სჭირდება და ამის გამო, ეს ქალები ხშირად სამსახურის შოვნის შანსს და სოციალურ აღიარებას კარგავენ. გოცირიძემ აღნიშნა, რომ ფემინისტი აქტივისტები რელიგიური თემის

წარმომადგენელ ქალებს ხშირად გარკვეული კლიშეებით უყურებენ. სასურველია, ფემინისტებმა მათთან ისაუბრონ, წინასწარგანწყობების გარეშე მოუსმინონ და მათი სათქმელი გაიგონ. არსებობს შანსი, რომ რელიგია ქალის გაძლიერებისთვის იქნას გამოყენებული და ფემინისტებმა ამას ხელი უნდა შეუწყონ. ამისთვის ერთ-ერთი გამოსადეგი ინსტრუმენტი ფემინისტური თეოლოგიის ტექსტების თარგმნა და გავრცელებაა.

ნუკრი ტაბიძე ფემინისტური მოძრაობის შიგნით მიმდინარე პროცესებს შეეხო. მისი თქმით, ქალთა უფლებებზე მუშაობა 1990-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა, ამ მუშაობას ხშირად „ფემინისტურს" ვერც ვუწოდებდით, გარდა ამისა, ქალთა ჯგუფები ერთმანეთისგან გათიშული იყო. ამისგან განსხვავებით, დღესდღეობით ფემინისტი აქტივისტები ერთმანეთთან უფრო ინტენსიურ დიალოგში არიან. მოძრაობაში მრავალფეროვნების გაჩენა დადებითი მოვლენაა და აქტივისტების მიზანი არა გაერთიანება, არამედ მრავალფეროვნების ერთმანეთზე მორგება უნდა იყოს. ტაბიძის თქმით, ამ ეტაპზე ფემინისტური მოძრაობა შედგა, თუმცა მისი განვითარება არა სწორხაზოვანი, არამედ სპირალურია. მან ისაუბრა მოძრაობის შიგნით არსებულ გამოწვევებზეც; აღნიშნა, რომ 1990-იანი წლებიდან დღემდე, მოძრაობის ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა NGO-იზაცია. გარედან დაფინანსებული აქტივიზმი ხშირად ადგილობრივ კონტექსტს მოურგებელია. ფემინისტი აქტივისტებისთვის ამ კონტექსტისა და დონორების გაშუალება რთული სამუშაოა, აქტივიზმისთვის ადგილობრივი რესურსების მოძიება კი პრობლემურია. ტაბიძემ ასევე ისაუბრა ინტერსექციურობაზე და იმაზე, რომ მოძრაობა ქალებში არსებულ მრავალფეროვნებას ჯერაც ვერ ასახავს. მისი თქმით, მოძრაობა სისნორმატიულია და ტრანს-საკითხები განყენებულ თემად რჩება. ლესბოსელ და ტრანსგენდერ თემს არ აქვს წვდომა რესურსებზე, ამიტომაც ვერ ორგანიზდება და დღის წესრიგზე გავლენას ვერ ახდენს. მოძრაობას ტრანსგენდერი ქალები მხოლოდ მათი მკვლელობების დროს ახსენდება. „გვამს გვამზე რომ გვიდებენ, მაშინ გვახსენდება, რომ საერთოდ არსებობენ". ამ შემთხვევებში, არასამთავრობო სექტორი მათზე მსხვერპლის პოზიციიდან საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალები ყოველდღიურად ბევრს იბრძვიან, ამაზე აქცენტი არ კეთდება.

მესამე პანელის შეჯამება

მომხსენებლებმა ქალთა გაძლიერების სხვადასხვა ასპექტი და ხედვა წარმოგვიდგინეს. წარმოდგენილი საკითხების მრავალფეროვნება ასახავს მიმდინარე მრავალმხრივ ფემინისტურ მუშაობას და მეორე მხრივ, სხვადასხვა მიმართულებების კიდევ უფრო მეტი განვითარებისა და გადაკვეთის საჭიროებას გამოკვეთს. ეს პანელი გარკვეულწილად პასუხობს კითხვას, რა გამოწვევები ან წარმატებები არსებობს ქალთა გაძლიერების კუთხით.

მარინა თაბუკაშვილის მოხსენებამ გამოკვეთა, რომ ქალები, რომლებსაც რესურსებსა და ცოდნაზე მეტი წვდომა ეძლევათ, არა მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერდებიან, არამედ მათ აქვთ პოტენციალი, რომ გზა გაიხსნან პოლიტიკური მონაწილეობისკენ და თავიანთი თემის ინტერესების რეპრეზენტაცია შეძლონ. გვანცა ხონელიძე ქალების ფუნდამენტური ეკონომიკური გაძლიერების გზად ხედავს გადანაწილების პოლიტიკას და კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალურ პასუხისმგებლობას. რუსუდან გოცირიძემ ხაზი გაუსვა იმ პოტენციალს, რომელიც რელიგიაში არსებობს, რათა იგი ქალის უფლებების აღიარებისა და კულტურული გაძლიერებისთვის იქნას გამოყენებული. ნუკრი ტაბიძემ აღნიშნა, რომ ერთი მხრივ, ფემინისტური მოძრაობა შედგა, რადგან აქტივისტებს შორის დღეს მეტი კომუნიკაცია და დიალოგია, ვიდრე ადრე, თუმცა მეორე მხრივ, ქალების გაძლიერებას ხელს უშლის მოძრაობის NGO–იზაცია, ადგილობრივი რესურსების მოძიების სირთულე და ქალთა გარკვეული ჯგუფების/თემების მოძრაობიდან გარიყულობა. ამის მაგალითია ტრანსგენდერი ქალების თემი, რომელსაც NGO–იზაცია ნაკლებად შეეხო და ვერც ალტერნატიული რესურსების მოძიება შეძლო. გარდა ამისა, მათ გაძლიერებას ხელს ისიც უშლის, რომ მოძრაობა მათ მხოლოდ „მსხვერპლებად" წარმოადგენს და „მებრძოლებად" არ აღიარებს.

თითოეული მოხსენება მოძრაობის დღის წესრიგის ავტონომიურობისა და საზოგადოებაში დემოკრატიისკენ სწრაფვას გამოხატავს, თუმცა, მეორე მხრივ, მთლიანობაში ეს მოხსენებები მოძრაობის გამოწვევებს უფრო ასახავს, ვიდრე წარმატებებს. მაგალითად, თაბუკაშვილის მოხსენების მიხედვით, არსებობენ ქალები, რომლებიც მზად არიან პოლიტიკური მონაწილეობისთვის. მიუხედავად ამისა,

წარმომადგენლობით სისტემაში ასეთ ქალებს ჯერაც ვერ ვხედავთ. ეს ბადებს კითხვებს: რა უშლით ქალებს ხელს, რომ თავიანთი პოტენციალი განახორციელონ? შეიძლება ის, რომ კვოტები ამ პრობლემის მოგვარების მექანიზმი იყოს?

დანარჩენი მოხსენებები კი გვაჩვენებს, რომ ფემინისტური მოძრაობა:

- ✔ ყურადღებას არ უთმობს გადანაწილების პოლიტიკის საჭიროებას და კეთილდღეობის სახელმწიფოს საკითხს;
- ✔ გაუცხოებულია რელიგიური თემების წარმომადგენელი ქალებისგან, მათში არსებულ პოტენციალს არ აღიარებს და არ/ვერ იყენებს;
- ✔ ექვემდებარება NGO–იზაციას, რაც შესაბამისი რესურსის არმქონე ქალთა თემებს, მაგალითად ტრანსგენდერებს, მოძრაობიდან რიყავს ან/და მათთვის გამაძლიერებელ რეპრეზენტაციას ვერ უზრუნველყოფს.

დასკვნა

შევაჯამებ აქტივისტთა მიერ დასახელებულ წარმატებებსა და წარუმატებლობებს და თაობებს შორის არსებულ მიმართებებს.

წარმატებები. პირველ პანელზე წარმატებად დასახელდა ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა და ამ კანონთა აღსრულების დაწყება. მეორე პანელზე გამომსვლელი აქტივისტების აზრით, წარმატებაა პროტესტის ახლებური ფორმების წარმოება (რადიკალური და რეაქციული აქტივიზმი, ქუჩის პროტესტი...); ფემინიზმის ლეგიტიმიზაცია; ფემინისტური მიზნების ირგვლივ სხვადასხვანაირი ქალების, მათ შორის არაფემინისტების გაერთიანება; ქალთა გამოცდილებების საზოგადოებამდე მიტანა და ამ გზით სოლიდარობის გაღვივება; კაცებისგან დამოუკიდებელი ჯგუფებისა და პლატფორმების შექმნა. მესამე პანელზე წარმატებად აღინიშნა სხვადასხვა თემებში ქალთა გაძლიერება და მათი მომზადება პოლიტიკური მონაწილეობისთვის.

წარუმატებლობები. პირველ პანელზე წარუმატებლობად დასახელდა კანონმდებლობა, რომელიც მხოლოდ სასჯელზე ორიენტირებულ მიდგომას აწარმოებს და ქალებს არ აძლიერებს. აქედან გამომდინარე, წარუმატებლობად არის მიჩნეული ის, რომ ფემინისტურ მოძრაობა გენდერული თანასწორობისთვის გადანაწილების მოთხოვნის გარეშე იბრძვის. მოძრაობის წარუმატებლობად დასახელდა ასევე სისნორმატიულობა, ტრანსგენდერი ქალების მარგინალიზაცია, სექსსამუშაოს დაინტერსექციური ჩაგვრის საკითხების აუთვისებლობა. მეორე პანელზე წარუმატებლობად დასახელდა მობილიზაციაში განცდილი მარცხი, მობილიზაციის პროცესში დაბალი სოციალური ფენებისგან გაუცხოება და მოძრაობის შიგნით იდეოლოგიური უთანხმოება ან ჩამოუყალიბლებობა. მესამე პანელზე წარუმატებლობად მოინიშნა გადანაწილების პოლიტიკის საჭიროების უგულებელყოფა; რელიგიური თემების ქალებისგან გაუცხოება და მათთან სათანადო კომუნიკაციის არარსებობა; მოძრაობის NGO–იზაცია, სისნორმატიულობა და იმგვარი ინტერსექციური პოლიტიკის არარსებობა, რომელიც ტრანსგენდერი ქალების ინკლუზიას და გაძლიერებას გამოიწვევს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოძრაობას აქვს გარკვეული მიღწევები გენდერული თანასწორობის საკითხთა ინსტიტუციონალიზაციაში, ცნობიერების ამაღლებასა და მობილიზაციაში, ავტონომიურობისთვის ბრძოლაში. მეორე მხრივ, მოძრაობის გამოწვევებად რჩება გადანაწილების უგულებელყოფა, ინტერსექციური პოლიტიკის ნაკლებობა – მთელი რიგი ნაკლებად პრივილეგირებული და მარგინალიზებული ქალებისგან გაუცხოება და მეტი ავტონომიურობა – ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული დღის წესრიგის წარმოების უნარი.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული წარმატებები და წარუმატებლობები ხანდახან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, მაგალითად: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობა/სასჯელზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ქალებს არ აძლიერებს; ფემინისტური მიზნების ირგვლივ სხვადასხვანაირი ქალების გაერთიანება/იდეოლოგიური უთანხმოება და ჩამოუყალიბლებობა; კაცებისგან დამოუკიდებელი ჯგუფების შექმნა/სისნორმატიულობა.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე თაობა სარგებლობს პირველი თაობის მონაპოვრებით, შეინიშნება თაობათაშორისი თანამშრომლობის

ნაკლებობა და მეორე თაობის მთავარი აქტივისტური ჯგუფებიდან („ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი", „ქალთა მოძრაობა") პირველი თაობის გარიყულობა. მეორე მხრივ, მეორე და მესამე თაობას შორის დიალოგი ბევრად ინტენსიურია, თუმცა ეს დიალოგი ხშირად არცთუ პროდუქტიულია, რადგან მესამე თაობა კრიტიკულია მეორე თაობის მიმართ, მეორე თაობა კი ცდილობს, ახალი „მრავალფეროვნება" თავის მიზნებს დაუქვემდებაროს. მთლიანობაში, თაობებს შორის გათიშულობა თვალსაჩინოა, თუმცა არა – საბოლოო და გადაუჭრელი.

წარმატებებზე ძირითადად პირველი და მეორე თაობის წარ–მომადგენლები საუბრობენ, წარუმატებლობებსა თუ გამოწვევებს კი ყველაზე მეტად მესამე თაობის წარმომადგენლები გამოკვეთენ. ერთი მხრივ, ეს მესამე თაობის ფემინისტების მეტ კრიტიკულობაზე მიანიშნებს, თუმცა მეორე მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ ამ ჯგუფს ჯერ ბევრი არაფერი აქვს ისეთი, რასაც საკუთარ თავს მიღწევად ჩაუთვლიდა. ახალი თაობის ფემინისტთა კრიტიკა მოძრაობის ჯერაც გამოუყენებელი პოტენციალია და შესაძლოა გახსნას გზა მოძრაობის განვითარებისთვის.

აქტივისტთა სამივე თაობისთვის პრობლემურია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დონორებზე დამოკიდებულება და მათგან ავტონომიურობის მიღწევა. ავტონომიურობაზე მოთხოვნა იზრდება: როდესაც ფემინისტები ყოველდღიური მუშაობის დროს აწყდებიან პრობლემებს, რომლებსაც დონორების მიერ ნაკარნახევი პოლიტიკა ვერ აგვარებს; როდესაც იზრდება ან/და თვისებრივად იცვლება მობილიზაციის შესაძლებლობები; როდესაც მოძრაობაში ჩართვას ცდილობენ იმ თემებისა და ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც ინტერსექციურ ჩაგვრას ექვემდებარებიან. მსგავსი ცვლილებები და ჩართულობა მოძრაობას არსებითი გარდაქმნისკენ უბიძგებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ალტერნატიული რესურსების არარსებობა ამ გარდაქმნას აბრკოლებს. შესაბამისად, ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად შეძლებს მოძრაობა ავტონომიურობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ბიბლიოგრაფია

მელაშვილი, თამთა. 2014. „თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში". მოძიებულია: http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/25/tanamedrove-peministuri-aktivizmi-sakartveloshi

საფარი. 2017. კონფერენცია „თაობათშორისი დიალოგი ფემინისტურ წარმატებასა და წარუმატებლობაზე" (ვიდეო). მოძიებულია: http://sapari.ge/archives/3763

„სახელმწიფო ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ: სამოქმედო გეგმის ანალიზი და ნეოკოლონიური მმართველობის კრიტიკა ფემინისტური პოზიციიდან". 2017. მოძიებულია: https://emc.org.ge/2017/04/19/emc-253/

ჰარინგტონი, ქეროლ. 2013. „Governmentality და ქალთა ტრანსნაციონალური მოძრაობების ძალაუფლება". თარგმანების კრებული, მთარგმნელი აია ბერაია, 133–149. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). მოძიებულია: https://emc.org.ge/2017/04/04/emc-244/

Barker, Colin. 2013. "Class Struggle and Social Movements". In Marxism and Social Movements, eds. Colin Barker, Laurence Cox, John Krinsky and Alf Gunvald Nilsen, 41-62. Leiden: Brill.

Berge, Bruce, L. 2001. "Ethnographic Field Strategies". In Qualitative Research Methods for the Social Sciences (Fourth Edition), 133-177. Boston: Allyn and Bacon.

Creswell, John, W. 2012. "Ethnographic Designs". In Educational Research: Planning, Conducting, and Evaluating Quantitative and Qualitative Research (Fourth Edition), 461-500. Boston: Pearson.

Foucault, Michel. 1991. Governmentality. In The Foucault effect: Studies in governmentality, eds. Graham Burchell, Colin Gordon and Peter Miller, 87-104. Chicago: The University of Chicago Press.

Harding, Sandra. 1992. "Rethinking Standpoint Epistemology: What is "Strong Objectivity?" The Centennial Review, 36(3): 437-470.

Molyneux, Maxine. 1998. "Analysing Women's Movements". მოძიებულია: https://www.academia.edu/5494500/Analysing_Womens_Movements

Tilly, Charles. 2004. Social Movements, 1768-2004. Boulder: Paradigm Publishers.

ფემინისტური ლიტერატურა

„ფემინისტური დღიურების“ შესახებ

ფემინისტური დღიურები მიზნად ისახავს, სხვადასხვა თაობის ფემინისტებმა ერთმანეთს და სხვა დაინტერესებულ აუდიტორიას გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, მოსაზრებები ქალთა მოძრაობის განვითარებაზე, სირთულეები თუ იმედები.

გამოვყავით ფემინისტ აქტივისტთა სამი თაობა. თაობების დიფერენცირება არ ხდება ასაკით, არამედ ფემინისტური აქტიურობის დასაწყისით. ამრიგად, პირველი თაობის გააქტიურების პერიოდი 1990-იანი ან/და 2000-იანი წლებია, მეორე თაობის – დაახლოებით 2011 წელი, მესამე თაობისა კი – დაახლოებით 2015 წელი. მიუხედავად ამგვარი ფორმატისა, ჩვენ არ ვისახავთ მიზნად თაობების ჰომოგენიზაციას თუ ესენციალიზაციას, თაობებად დაყოფა პირობითია და მოცემულ შემთხვევაში ანალიტიკურ მიზნებს ემსახურება.

თაობების გამოყოფის შემდეგ შევადგინეთ შესაბამისი სიები. სამივე თაობამ მთლიანობაში ასამდე აქტივისტი შეადგინა. ამ სიების საფუძველზე ერთგვარი შიდა არჩევნები ჩატარდა. აქტივისტებს შესარჩევი კრიტერიუმები მივაწოდეთ და ვთხოვეთ, ამის საფუძველზე ხმა მიეცათ თავიანთი თაობის აქტივისტებისთვის, რომლებიც შემდეგ „ფემინისტურ დღიურებს” დაწერდნენ. თითოეული თაობიდან შეირჩა ის ხუთი აქტივისტი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა – პირველი თაობიდან: ეკა აღდგომელაშვილი, ლელა გაფრინდაშვილი, ლიკა ნადარაია, მარინა თაბუკაშვილი და თამარ საბედაშვილი; მეორე თაობიდან: ანუკ ბელუგა, მარიამ გაგოშაშვილი, ნათია გვიანიშვილი, თამთა მელაშვილი, ბაია პატარაია. მესამე თაობიდან: მაია ბარქაია, მარი კურტანიძე, ფატიმა რომანოვა, ალა პარუნოვა, ნუკრი ტაბიძე. მთლიანობაში, ანუ სამივე თაობიდან, ეს თხუთმეტი ფემინისტი დასახელდა. შემდეგ ეტაპზე ამ თხუთმეტ აქტივისტს დაეგზავნა ჩვენ მიერ წინასწარ მომზადებული კითხვარი (იხილეთ დანართი 1). უმრავლესობამ დღიურის წერისას სწორედ ამ კითხვარით იხელმძღვანელა. გთავაზობთ იმ დღიურებს, რომლებიც ფემინისტებმა დაწერეს ამ პროექტის ფარგლებში.

დაწერილი დღიურები 12 აქტივისტმა მოგვაწოდა. გთავაზობთ ამ დღიურებს უცვლელად. ჩვენ არ ვერევით ავტორების სტილში. ტექსტებმა მხოლოდ კორექტურა გაიარეს. ვინაიდან მიგვაჩნია, რომ თითოეული ავთენტური, ინდივიდუალური სტილი, ენა და ხმა საუკეთესოდ მიიტანს მკითხველამდე ავტორთა პიროვნებებს, პოზიციებსა და სათქმელს.

დანართი 1. კითხვარი

ფემინისტური ბრძოლის დასაწყისი

1. გვიამბეთ, როგორ ჩაერთეთ საჯაროდ ფემინისტურ ბრძოლაში და როდის განსაზღვრეთ საკუთარი თავი ფემინისტად? რა საკითხები გაწუხებდათ ყველაზე მეტად, რამაც განაპირობა თქვენი აქტივიზმში ჩართვა? რის წინააღმდეგ დაიწყეთ ბრძოლა?

ფემინისტური დღის წესრიგი/ცვლილება დროში

2. რომელი საკითხებია, რომლებსაც ფემინისტური ბრძოლის დასაწყისში აყენებდით დღისწესრიგში, შეიცვალა თუ არა ეს საკითხები? როგორ იცვლებოდა თქვენი დღის წესრიგი ამ ხნის განმავლობაში? რა დამოკიდებულება და მიმართებები გაქვთ სხვა ფემინისტებთან ან სხვა აქტივისტურ ჯგუფებთან?

გამოწვევები/სირთულეები

3. რა იყო ან არის თქვენი მთავარი გამოწვევები/დაბრკოლებები აქტივიზმში ყოფნისას? გთხოვთ, გაგვიზიარეთ მიღებული გამოცდილება (lessons learnt).

ფემინისტური ბრძოლის წარმატების მაგალითები

4. თქვენი აზრით, რამდენად ახდენენ ფემინიზმი და ფემინისტები გავლენას სოციალურ, ეკონომიკურ ან კულტურულ ცვლილებებზე? როგორ წარმოგიდგენიათ ქართულ კონტექსტში ფემინისტური პოლიტიკის წარმატება? გვაქვს ამგვარი წარმატებების მაგალითები?

თაობათშორისი განსხვავებები

5. დამოუკიდებელი (პოსტსაბჭოთა) საქართველოს ისტორიაში უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ფემინიზმის რამდენიმე ეტაპზე და რამდენიმე თაობაზე. რა არის ამაზე თქვენი რეფლექსია? როგორ ფიქრობთ, რა თვისებრივი განსხვავებები ან მსგავსებები იყო ამ ეტაპებს შორის, რა განასხვავებთ თაობებს/მათი ბრძოლის მეთოდებს ერთმანეთისგან? ახერხებენ თუ არა ისინი ცვლილებების მოტანას?

საბოლოო ხედვა

6. როგორ გესახებათ ფემინიზმის აქტივიზმის სასურველი განვითარება? რომელ თემებზე უნდა მოხდეს ყურადღების გამახვილება.

პირველი თაობა

მარინა თაბუკაშვილი

სამუშაონი და ღლენი

ნატალია ზაზაშვილის ხსოვნას ეძღვნება

ჩემი ფემინიზმი, მახსოვს, დაიწყო სადღაც XX საუკუნის 60-იანი წლების შუისკენ, სოხუმის I საშუალო სკოლაში, როცა გოგოებისა და ბიჭების „ბრძოლაში“, რაც ძალიან ბუნებრივია დაახლოებით VI კლასელობის ასაკიდან, წამოგვაძახეს, მაშ რატომ არიან გამოჩენილი ადამიანები სულ კაცებიო. მაშინ კი როგორღაც გავუმკლავდით, ან – გვეგონა, რომ გავუმკლავდით, მაგრამ ჩემთვის დარჩა მნიშვნელოვან კითხვად, რომელსაც სრული პასუხი, უკვე როგორც ფილოლოგმა და ხელოვნებათმცოდნემ, იმავე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გავეცი.

დიდი საქმეა განსაზღვრება, ოღონდ არა მაინცდამაინც საკუთარი თავისა ფემინისტად, არამედ უფრო, საკუთარი თავისა ფემინიზმში, ამიტომ – ფემინიზმის განსაზღვრება ისე, რომ იქ აღმოაჩინო აზრიც, შესაძლებლობებიც და ასპარეზიც სამოქმედოდ. ანუ – რამდენად და როგორ იტევს და ალაგებს ეს სივრცე ყველაფერს, რაც ამ, ჩაფიქრების, მომენტისთვის იცი, გრძნობ, განიცდი და გინდა. გასაგებია, რომ „ფემინიზმი“ არაა ერთადერთი სიტყვა, რომელსაც ამგვარად მისწრაფული ადამიანი ხვდება და უფიქრდება, არამედ – „სამართლიანობა“, „პატიოსნება“, „ღირსება“, „პასუხისმგებლობა“, გულწრფელობა და სხვა მრავალი მისთანა, ხოლო მთავარი ისაა, რომ ცნებები ხელახლა განისაზღვროს, ანუ – გათავისუფლდეს იმ საზღვრებისგან, რაც მათ სიტყვების მომხმარებლებმა ამოუშენეს. ასეთი კედლების მშენებლობები მიმდინარე და განუწყვეტელი პროცესია, ხოლო გამათავისუფლებლები – იშვიათად, მაგრამ არიან. ცხადი ისაა, რომ თუ ცნებები განსაზღვრულია, კედლები – დანგრეული, რაღა მნიშვნელობა აქვს, თუ რას არქმევ (ან რას ირქმევ), ხოლო მნიშვნელობა აქვს – სად მიდიხარ, ანუ – რას და როგორ აკეთებ.

ბრძოლაში პირველი საჯარო ჩართვა, ოღონდ მართლა საჯარო, და

მართლაც – ბრძოლა (რომელშიც ყოფილმა კავალერისტმა და მაშინ – „უშიშროების“ სამსახურის პირველმა პირმა „ხალხის მტრები“ გვიწოდა), იყო ჩვენი ჯგუფის მუშაობა ე. წ. ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობის გასაჩერებლად. 1987 წელს გავაჩერეთ (აღწერილია 2006 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ზალიკოს საქართველო“). როგორც მერე მივხვდით, ეს იყო სამოქალაქო საზოგადოების პირველი დიდად ეფექტური პროექტი, ხოლო ჩვენ – „ენჯეო“ ვყოფილვართ. ამ „ენჯეოს“ ლიდერზე რომ ვუყვებოდი 1995 წლის მარტში ამერიკაში მეგობრებს, ფემინისტი ყოფილაო, მეუბნებოდნენ; ხოლო როცა, 2014 წლის 30 ოქტომბერს, ხორვატიაში, ევროპული ქალთა ფონდების კრებამ ფემინისტის მახასიათებლები ჩამოვწერეთ, არაჩვეულებრივად კარგი და საინტერესო მშრომელი ადამიანის პორტრეტი გამოვიდა.

ჩემს პირველ დიდ შრომას ქალებისთვის ერქვა 13–თვიანი პროექტი „ტრენინგები და შესაძლებლობების ზრდა უმუშევარი ქალებისთვის რუსთავში“ (1998–99 წლები), ევროკავშირის ფული იყო, ხოლო წამყვანი ორგანიზაცია – ფრანგული, საერთაშორისო და ჰუმანიტარული, რომელშიც 1996 წლიდან ვმუშაობდი. ძალიან კარგი გუნდი გვყავდა, დიდი უმუშევრობა იყო მაშინ და ამანაც ხელი შეგვიწყო: საუკეთესო ხალხი ჩაგვყავდა რუსთავში ყოველდღე მასწავლებლებად. ბევრ ისეთსაც ვაკეთებდით სტუდენტებთან ერთად, რაც სულ არ ეწერა პროექტში, ჰუმანიტარულს და სამედიცინოს – თბილისიდან ექიმების ბრიგადა ჩამოგვყავდა ბავშვებისთვის, ოფისში სინჯავდნენ, ხოლო ჩვენს ქალებს სახლებიდან მოჰქონდათ ტახტები და სამზითვოდ გადანახული ზეწრები... მეორე ცვლა დავიმატეთ რომ მეტი ქალისთვის გვესწავლებინა კომპიუტერულ კლასში, ჩვენი პროექტის პირველი ნაკადის ორი ნასტუდენტარი ასწავლიდა და გამოვიდა, რომ სავალდებულო 60–ის ნაცვლად 200–მდე ქალმა მიიღო დასაქმების შესაძლებლობა, ოღონდ, უმეტესად თბილისში: პოსტინდუსტრიულ რუსთავში არაფერი ხდებოდა, და თუ ხდებოდა, იქ მეტი იყო ისეთი, მუქთად რომ ამუშავებენ ქალებს თვეობით, ხელფასის მოლოდინში, და მერე – სხვებს. პროექტის დასრულების შემდეგ რამდენიმე თვე ვადევნებდი თვალს (დავთქვით და მირეკავდნენ) და დასაქმებამ, შედეგმა, იმ პერიოდში 80%–ს მიაღწია. გვინდოდა მუშაობის გაგრძელება რუსთავში, ქალთა ბიზნესის განვითარების პროგრამით, სრულებით გვქონდა ნდობა (ეს – უმნიშვნელოვანესი და უძნელესი შრომა, რაც

ვერასდროს ისახება პროექტების ანგარიშებში), ხალხს ვიცნობდით, გვიცნობდნენ, მაგრამ – არა. დონორი ორგანიზაცია პერიოდულად მოითხოვდა პროექტის გადაკეთებას, ვიღაცეების ჩართვას (არადა, იმ ვიღაცეებსაც ვიცნობდით რუსთავიდან), ბოლო შეხვედრაზე – ჩვენს პროექტს უკვე ვეღარ ვცნობ და კარგად იყავით–მეთქი.

ამასობაში, 1999 წლის 26 აგვისტოს, ჩეჩნეთის მეორე ომი დაიწყო და ამჯერად საქართველოს მთავრობამ ჩეჩენ ლტოლვილებს საზღვარი გაუხსნა; გადმოსვლაც არ იყო მარტივი საქმე და ჩვენები შველოდნენ. იმ 10000–ზე მეტი ადამიანიდან, ვინც მაშინ საქართველოში ჩამოვიდა, ორი ახალგაზრდა კაცი ჩვენს სახლს გაუშინაურდა, ვლაპარაკობდით. დიდი კითხვები მახსენდება. ისინი: რატომ გვეხმარებით, ჩვენ ხომ აფხაზების მხარეზე ვიბრძოდით თქვენს წინააღმდეგ? (და სინანული); როგორ გვენდობით, ჩვენ ხომ თქვენი ნათესავები არ ვართ? მე: რა იყო ეს ხალხის მოტაცება, პირველი ომის დროს მთელი მსოფლიო თქვენს მხარეს იყო... კარგი პასუხი მივიღე და ბევრჯერ მაქვს მოყოლილი ჩვენშიც და უცხოეთშიც... იმდენი ვილაპარაკეთ, სანამ დუისში საგანმანათლებლო ცენტრის მოწყობა–ამუშავებაზე არ შევთანხმდით, თან შევიამხანაგეთ თბილისში მცხოვრები ახალგაზრდა ჩეჩენი ქალი, ერთ–ერთის ნათესავი. პროექტი დავწერე და მე და ზალიკომ მივაკითხეთ მიშა ჩაჩხუნაშვილს, ჩვენს მეგობარსა და „სოროსის“ ფონდის დირექტორს. პროექტი დაფინანსდა, მე და ზალიკომ მოხალისეობის წერილს მოვაწერეთ ხელი, ჩვენი თხოვნით „სოროსის“ ბიჭებმა გუნდს კომპიუტერთან მუშაობა ასწავლეს, დუისში ცენტრი გაიხსნა, გახსნაზე თბილისიდან მიშასთან და ზალიკოსთან ერთად ჩავიდნენ ადამიანები, ვინც მზად იყო მოხალისეობრივად ემუშავა ლტოლვილებთან; კი გახსნეს (ერთი სურათი შემომრჩა), მაგრამ ატყდა სროლა...

ამ ურთიერთობის დროს ბ–ნ მიშასგან ფონდში სამსახურის დაწყების წინადადება მივიღე და ვაშინგტონში ერთთვიანის მომზადების მერე გავხდი დაწყებითი კლასის მასწავლებელთა გადამზადების ხელმძღვანელი არაჩვეულებრივ პროგრამაში სახელად „ნაბიჯ–ნაბიჯ“, რომელიც, თავის მხრივ შედიოდა ფონდის დიდ საგანმანათლებლო პროგრამაში – „მეგა პროექტი“. ცხადია, ვღელავდი, მაგრამ მოვალეობების აღწერილობა რომ მივიღე, დირექტორთან შევედი და ვეუბნები, არ ყოფილა–მეთქი ბევრი სამუშაო, და, ღმერთო, რამდენჯერ (და სულ) გამართლდა, რაც მაშინ მიპასუხა: სამუშაო იმდენია,

რამდენსაც შენს თავზე აიღებო. მართლაც ბევრი იყო, ძირითადად მასწავლებლებთან ვმუშაობდით (მაგრამ ასევე – პედაგოგიურ ინსტიტუტთან, სამინისტროსთან, გამომცემლობებთან...), არსი: თითოეული (და არა საშუალო არითმეტიკული) ბავშვის განვითარება.

მასწავლებელი ქალები სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, ასობით. გავლენის უზარმაზარი შესაძლებლობები, საინტერესო ხალხი, ვისაც ასწავლი და ისიც გასწავლის, გენდობა და მოგყვება. მაგრამ სხვანაირებიც იყვნენ, სკოლების (პარტბილეთდაყრილ და ახლადგამართლმადიდებულ) დირექტორებს შორის, ძირითადად. აქ ვისწავლე რა არის ტრენერობა, ცოდნასთან ერთად ენერგიის გაცემა და არტისტიზმიც.

ჩემი მუშაობა ფონდში „ღია საზოგადოება – საქართველო“ 2000 წლის 2 იანვარს დაიწყო, ხოლო მარტში ქალთა პროგრამის „შეთავსება“ მთხოვეს და შევითავსე. პროგრამა 2 წლის დაწყებული იყო: ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორუფლებიანობის მრავალსაფეხურიანი სწავლებებით და 2 დიდი პროგრამით, აგრეთვე სამგზავრო გრანტებით. როგორც კი ფონდში მივედი (მაშინ ვაკის პარკთან გვქონდა ოფისი), ბიბლიოთეკას მივაკითხე რომ რამე წამეკითხა ჯორჯ სოროსზე და მისი დაწერილიც, და ერთ მის სტატიაში მივაგენი ისეთ წინადადებას, რომელიც სულ, და ახლაც სახელმძღვანელოა ჩვენი გუნდისთვის, თან – უფრო და უფრო მზარდად. მივაგენი–მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ იქ სხვა მრავალიც საგულისხმო ეწერა, მაგრამ ეს – ვიცანი, რაკი უკვე მქონდა მეხსიერებაში „შენახული“ საამისო საფუძველი: რომელიღაც კლასში, იგივე სკოლაში, იმ დროს, როცა ნიუტონის კანონებს ასწავლიან ფიზიკაში, რაც, როგორც ჩანს, ემთხვევა ადამიანის ცხოვრების იმ ხანას, როცა თავის თავს არკვევს და ძალიან უნდა ეს თავი წესრიგში (და მის ნაწილად) აღმოაჩინოს (და არა – ქაოსში), ახალგაზრდა დათო გაბუნია, ფიზიკის მასწავლებელი (ჩურჩულებდნენ, ლექსებს წერსო), დიდი გატაცებით და ენერგიულად გვიხსნიდა ნიუტონის კანონებს, რაღაცნაირად „გამოჰყავდა“ ეს კანონები დაფაზე, და რომ გამოიყვანდა – მოგვიტრიალდებოდა და გაირინდებოდა, როგორც – ბედნიერი. ვბედნიერდებოდი მეც, აღტაცებული იმით, რომ რაკი გამოვიდა, ანუ – არის, წესრიგი ყოფილა ჩემთვის, ყველასთვის და ყველაფრისთვის. მაგრამ: დათო ხმას იღებდა ფრაზით – ეს კანონი არასდროს მუშაობს ბუნებაში, და რატომ? არის

ხელისშემშლელი ძალები – მთელი სია, პირველი, მახსოვს – ხახუნისა. ხოლო ბატონი სოროსი იმ სტატიაში ამბობდა, ალბათ ფულის კეთების შესახებ: საკმარისი არაა ეკონომიკის კანონების ცოდნა, საჭიროა ცოდნა იმისა, თუ რა უშლის ხელს ამ კანონების განხორციელებასო... აქ კიდევ ერთ კაცს ვახსენებ: ბორის პასტერნაკს უწერია უბის წიგნაკში: ქაოსი შემოქმედებაში უნდა გამოატაროო. ანუ – მუშაობა, შემოქმედება და მოქმედება კოსმოსისთვის.

2 წლის განმავლობაში ვმუშაობდი „ნაბიჯ-ნაბიჯში“ და თან – ქალთა პროგრამის კოორდინატორად, მერე „ნაბიჯ-ნაბიჯი“ ფონდიდან გამოდიოდა (როგორც ჩვენ, ქალთა პროგრამა გამოვედით 2006 წლის ბოლოს) და შემომთავაზეს – გავყოლოდი, მაგრამ ისინი მთელი გუნდი იყვნენ, ქალთა პროგრამაში კი მარტო ვიყავი, ბევრი საქმე მქონდა, ბევრიც – წამოწყებული, დასამთავრებელი, დაგეგმილი, ურთიერთობები, პარტნიორების და სხვ., დავრჩი.

პროგრამა იზრდებოდა, საქმე ბევრდებოდა და ჩვენი ნიუ-იორკელი დირექტორი დაჟინებით მოითხოვდა ფონდისგან ჩემთვის ასისტენტის აყვანას. 2004 წლის ზაფხულში დავით გაბუნია (მაშინ – ჰარი პოტერის ახალგაზრდა მთარგმნელი, ახლა – ცნობილი მწერალი) შემოუერთდა პროგრამას, 2005-ში – ცისანა გოდერძიშვილი, რომელიც მანამდე ჩვენი გრანტის მიმღები იყო მეხსიერების კვლევის ცენტრის (ზეპირი ისტორიები) დაარსების პროექტით. ამ ცენტრთან ერთად შემოვიერთეთ. რას ვაკეთებდით? ამ გრძელ სიტყვას მოკლედ ვიტყვი (უფრო გრძლად გამოქვეყნებულია „ფონდის ტასო“ 2007-2010 წლების საანგარიშო წიგნში, სათაურით – „წინაისტორია“), გადმოვიწერ 2006 წლის დოკუმენტიდან:

- ✔ სასარგებლო ინფორმაციის გავრცელება და ქალთა მოძრაობის კონსოლიდაცია (2000 წლიდან);
- ✔ ქალთა უფლებები, ძალადობა ოჯახში (1999 წლიდან);
- ✔ ქალთა უფლებები, ტრეფიკინგთან ბრძოლა (დაიწყო 1999, განახლდა 2004 წლიდან);
- ✔ სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და საზოგადოებრივი აქტივიზმის მხარდაჭერა (2004 წლიდან);
- ✔ გენდერული კვლევების განვითარება (2000 წლიდან);
- ✔ პროგრამა „განათლება უფლებამოსილებისთვის“ თბილისში და

საქართველოს რეგიონებში (2000 წლიდან);

- ✔ ქალთა კვლევების განვითარება (ქალთა ზეპირი ისტორიები), 2001 წლიდან;
- ✔ რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (2005 წლიდან);
- ✔ გენდერული წონასწორობისკენ მიმართული ეროვნული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა;
- ✔ თანამშრომლობა „ალკოჰოლისა და ნარკოტიკების რეგიონალურ პროგრამასთან“ (სტეფან ბატორის სახ. ფონდი, პოლონეთი) ოჯახური ძალადობის სფეროში და პროგრამა „ატლანტისის“ განავითარებლად საქართველოში (2003 წლიდან);
- ✔ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება პუბლიკაციების გზით (2000 წლიდან) და დოკუმენტური ფილმების წარმოებით (2001 წლიდან);
- ✔ ქართველ ლიდერთა ჩართვა გლობალურ ქალთა მოძრაობაში (სამგზავრო გრანტები, 1998 წლიდან);
- ✔ ქალთა პროგრამის, ქალთა პროგრამისგან მხარდაჭერილი ორგანიზაციების, და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით გამოქვეყნებული ლიტერატურის მიზნობრივი დარიგება.

ეს ყველაფერი ხორციელდებოდა გრანტის გაცემით და ე.წ. შერეული პროექტებით: ანუ – ოპერაციული და გრანტგამცემი საქმიანობის კომბინაცია.

2003 წლიდან მოყოლებული, როცა ქალთა პროგრამამ დაიწყო დამოუკიდებელ ორგანიზაციად ტრანსფორმაციის პერსპექტივაზე ზრუნვა, ფილანთროპია, ფონდი ისახებოდა ერთადერთ ორგანიზაციულ ფორმად (საქართველოში ეს შესაძლებელია მხოლოდ წესდების „ძალით“, საქმიანობად ჩაწერ – გავცემ გრანტებს), რომელიც, დაგროვებული გამოცდილებისა და არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, შესაფერისი იქნებოდა ქალთა პროგრამის მისიის გასაგრძელებლად. გამოცდილების ზრდამ და პროგრამული მიმართულებების გაფართოებამ, ასევე ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამის მიერ გაწეულმა დახმარებამ (ეროვნული ფონდების ქალთა პროგრამების კოორდინატორებისთვის სხვადასხვა წლებში ჩატარებული საგანგებო ტრეინინგები ქალთა ფონდების მართვის თემაზე) ეს შესრულებადი გახადა. იგივეს ადასტურებდა განხორციელებადობის 2006 წელს ჩატარებული კვლევა (ეკატერინე

აღდგომელაშვილი, ნინო დურგლიშვილი).

ძირითადი თემა, რომელიც ქალთა პროგრამამ „ფონდში ტასო“ გადმოიტანა, იყო სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერება, მათი საზოგადოებრივი აქტივიზმი. ეს ისტორია 2003 წელს დაიწყო, 2004 წლის სტრატეგიის წერისას, ითქვა, რომ ქვეყანაში მცხოვრებ ქალთა უმრავლესობა, სოფლებში მცხოვრებნი, გარიყულია დემოკრატიზაციის პროცესისგან და უკეთეს შემთხვევაში, იშვიათად და ეპიზოდურად, ქალაქად მცხოვრები ექსპერტების ტრენინგ-სემინარების მონაწილეებს წარმოადგენენ; დროა ის რესურსი (თბილისში არსებული ქალთა ორგანიზაციები), რომელიც, მათ შორის ჩვენი პროგრამის მუშაობითაა შექმნილი, სოფლად ქალთა მოძრაობის წამოსაწყებად და გასა-ვითარებლად მივმართოთ. 2004 წლიდან მრავლდება სოფლელ ქალთა შემოსავლის მომტანი საქმიანობისთვის გამიზნული გრანტები და, 2005 წლიდან, გრანტის მიმღებთათვის ტარდება არა მხოლოდ მცირე ბიზნესის მართვის, არამედ აგრეთვე – ქალთა უფლებების 6-დღიანი სკოლები, სადაც ტრენერებად გამოდიან იმ ორგანიზაციის ლიდერები, რომელთაც, მათ შორის ჩვენი მხარდაჭერით, შეუძლიათ არა მხოლოდ სწავლება, არამედ – დახმარების გაწევაც: ოჯახში ძალადობის, ადა-მიანებით ვაჭრობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, დასაქმების სფეროებში. 2006-8 წლებში მუშაობს პროგრამა „სოფლად მცხოვრებ ქალთა სოციალური პასუხისმგებლობის ცენტრები“. 2007 წლის ნოემბერში ქვეყნდება „სოფლის ღირსება“, ფონდის სერიის „ქალთა მეხსიერება“ VI წიგნი (იმავე წელს – „საკუთარი ოთახი“, „ფემინისტური ბიბლიოთეკის“ I წიგნი). 2008 წელს „ფონდი ტასო“ ატარებს სამშვიდობო კამპანიას ფილმით „ჯოჯოხეთს წარტყვევნა“ და აგროვებს ხელმოწერებს სამშვიდობო მოწოდებაზე, შემდეგ კი სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან, მოქალაქეებთან და თავის სოფლად მცხოვრებ პარტნიორებთან ერთად ეხმარება დევნილ მოსახლეობას ჯერ თბილისში, შემდეგ კი მათი დაბრუნების გაპარტახებულ ადგილებზე. წლის ბოლოს ფონდი გადაწერს თა-ვის სტრატეგიას და ქალთა პრიორიტეტულ ჯგუფად სოფლად მცხოვ-რებლებთან ერთად დევნილებსაც აცხადებს.

2009 წელს ფონდი წევრიანდება საერთაშორისო ქსელში „ფონდე-ბი მშვიდობისთვის“ და ამ ქსელის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებს ფონდების დიდ შეკრებაში კაიროში. აქ პირველად, ფონდი

ეცნობა სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობის ფილანთროპიის ფილოსოფიას (თავისთავად – ახალს), და როგორც სოფლებში მომუშავე პრაქტიკოსი, ხედავს თავის ადგილს ფილანთროპიული საქმიანობების მატრიცაში და შესაძლებლობებსაც.

შესაძლებლობებს 2010 წელს ხსნის გაეროს ქალთა ორგანიზაციის 6–წლიანი პროექტი, რომელშიც „ფონდს ტასო" დევნილ, კონფლიქტებით დაზარალებულ და ეთნიკური უმცირესობების სათემო მობილიზაცია ევალება (https://www.youtube.com/watch?v=1poslV28Jsk)[1].

სოციალური მობილიზაციის გამოყენებითი მეთოდი, რომელიც ყირგიზმა ექსპერტებმა გვასწავლეს, მიზნად სიღარიბის დაძლევას გულისხმობდა. საქართველოში, პასუხად მოსახლეობის უმრავლესობის სოციალური და პოლიტიკური ინერტულობის პრობლემისა, სათემო მობილიზაციის მიზნად დაისახა მონაწილეობითი დემოკრატიის მშენებლობა ქალთა ლიდერობით. სათემო მობილიზაცია, აქცენტით ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენა–განვითარებაზე, იძლევა მრავალ, მათ შორის – დაუგეგმავ შედეგებს, რომელთა შორის პოლიტიკური მონაწილეობაცაა, ეკონომიკური განვითარებაც და დასაქმებაც. საბოლოოდ, სათემო მობილიზაცია, რა თქმა უნდა, რომ პოლიტიკური პროგრამაა, ამ სიტყვის იმ, თავდაპირველი მნიშვნელობით, რაც მოქალაქეობაზე მიუთითებს, დემოკრატიულ მართვაზე; ანუ, ჩვენს შემთხვევაში – სათემო მობილიზაციის პროცესში მომზადებული და მოქმედი ხალხის ჩართულობით.

დემოკრატია ის მიზანია, რომელიც, მსგავსად თავისუფლების, მშვიდობის, სამართლიანობისა და სხვა გარდუვალი ფასეულობებისა, არასდროს მიიღწევა საბოლოოდ და სრულად, შესაბამისად – მობილიზაცია დემოკრატიისთვის არის დაინტერესებული, პატიოსანი, პასუხისმგებელი და დაუზარელი ხალხის გრძელვადიანი, უწყვეტი და თანმიმდევრული პროექტი. კულტურა, თავისი გარდუვალი ფასეულობებით, დემოკრატიული განვითარებისკენ, მშვიდობისა და სამართლიანობისკენ მიმართულ მობილიზაციაში ჩართულ ადამიანთა უღალატო მხარდამჭერია. ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მობილიზაციის, როგორც საგანმანათლებლო ფილოსოფიის საწყისს ყოველი მძებნელი იპოვის თავის ეროვნულ სულიერ

[1] ამ ფილმის ინგლისური ვერსია: https://www.youtube.com/watch?v=wPd6KzTIGf0

კულტურაში, ხოლო კარგად ძებნით – სოციალური ანთროპოლოგიის ფაქტებშიც, და არა მხოლოდ სოკრატეს ფილოსოფიაში, სადაც ეს საწყისები, განსაკუთრებით კი – აქცენტი ადამიანის ზრდაზე საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების ამუშავებით – ნამდვილად იკითხება. სოციალური მობილიზაცია, როგორც სახელმძღვანელო მეთოდი, ცვალებადია არსებული სამიზნე მდგომარეობის (კონკრეტული კონტექსტის) შესაბამისად და, საბოლოოდ, იმის მიხედვით, თუ როგორია იმ ადამიანების თავისუფლების ხარისხი, ვინც სოციალურ მობილიზაციას, როგორც განვითარებას და მოქმედებას, იაზრებს, გეგმავს და ახორციელებს. ამას მხოლოდ ჩვენი ფონდის გუნდზე არ ვამბობ, არამედ მათზე, ვისთან ერთადაც ვმუშაობთ – პროგრამის მონაწილე პარტნიორებზე, ქალებზე.

„ფონდმა ტასო“, წინარე, მათ შორის სათემო მობილიზაციას დაფუძნებული პროგრამების შედეგებს (ადამიანებს, სოფლად მცხოვრები შვილობილი ორგანიზაციების, ქალების მზადყოფნას) სოციალური სამართლიანობის და მშვიდობის კონცეპტი დაუკავშირა და, 2011 წლის ბოლოს, ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ და „ქალთა გლობალური ფონდის“ მხარდაჭერით, შეძლო დაწყება გრძელვადიანი პროგრამისა სამუშაო მიმართულებებით: ცოდნის გავრცელება ფილანთროპიის შესახებ; ახალგაზრდა მოხალისეთა ჯგუფების საქმიანობის მხარდაჭერა; სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობის ფილანთროპიის კანონმდებლობა საქართველოსთვის; სათემო ფილანთროპიის ქსელის ჩამოყალიბება და მათი ფილანთროპიული პრაქტიკის მხარდაჭერა; სასწავლო ფილმი ფილანთროპიაზე და კანონის აუცილებლობაზე[2].

ვრცლად ეს ყოველივე მოთხრობილია წიგნში „18818 ქართულად“, სადაც, წინასიტყვაობაში ითქმის: წიგნის კეთების საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია თუ „რისი თქმა სურდა პოეტს“, მაგრამ არანაკლებ, და ეგებ განმსაზღვრელადაც, თუ რისი გაგონება სურდა მკითხველს. სურვილების დამთხვევა ძნელი და გრძელვადიანი სამუშაოა, ვადები, როგორც ყოველთვის – შეზღუდული, ხოლო საჭიროება – დიდი. ამიტომ მაქსიმალური თავდადებით ვეცადეთ ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისთვის მიგვეახლოვებინა სხვადასხვა დონეების,

[2] ფილმის ინგლისური ვერსია: https://www.youtubcome./watch?v=gIwVrlgZ9_4

სექტორების, შტოებისა და განზომილებების ხალხი. წიგნს 30-ზე მეტი ავტორი ჰყავს, უცხოელი და ჩვენი, და მათ შორის სათემო ფონდის სამი ლიდერი.

ფონდმა, სათემო ფილანთროპიის ქსელის წევრებთან ერთად, 2013 წლიდან სათემო ფილანთროპიის მხოლოდ სამი ციკლის ჩატარება შეძლო, მათ შორის, 2016 წლის ციკლისა – არასრულად (მხოლოდ 6 სათემო ფონდის დაფინანსება შევძელით, ისევ – ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით). სულ სათემო ფონდებმა, დღემდე, 90 გრანტი გასცეს (საერთო თანხა: 84 778 ლარი), ანუ – დიდი შედეგი მცირე ფულით. შედეგები სრულიად არაჩვეულებრივია, რადგან: სათემო ფონდმა უკეთ იცის, თუ რა პრობლემებია თემში და ისიც, თუ – რა ადამიანური რესურსია (რომელსაც ფონდი, მათ შორის – თავად ქმნის და აძლიერებს); სათემო ფონდის გრანტის მიმღები უფრო მოწადინებულია იმიტომ, რომ საქმეს „თავის სახლში“ აკეთებს (ჩემი თემი!); კეთილსინდისიერი შესრულება იმითაცაა უზრუნველყოფილი, რომ პროცესს უყურებს, და მონაწილეობს კიდეც, თემი; თვითმმართველობა ხედავს, თუ რა შესაძლებლობებს ხსნის სათემო ფილანთროპია და მზადდება სათემო ფონდის საქმიანობის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან მხარდაჭერის საფუძვლები; თავის მხრივ, სათემო ფონდი, როგორც თემის წარმომადგენელი, თავის გრანტის მიმღებ პარტნიორებთან და აქტივისტებთან ერთად, ერევა მუნიციპალური ბიუჯეტირების პროცესში თავისი თემებით და საკითხებით.

სათემო ფილანთროპია ზრდის თემის კეთილდღეობის ხარისხს და ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის ხარისხსაც, ნერგავს მოხალისეობის კულტურას, აჩენს მცირე სახსრებით სერიოზული შედეგების მიღწევის მაგალითებს და გასაზიარებელ გამოცდილებას. სათემო ფილანთროპიას შეუძლია ქვეყნის გეოგრაფიული „დაფარვა“ და სოციალური მოძრაობის გამოწვევა. ანუ – სათემო ფილანთროპიას შეუძლია იმ კანონების განსაზღვრება, რომელთა ამოქმედებას ხელს სხვადასხვა ძალები უშლის, მათ შორის – პირქარი.

ღიკა ნადარაია

ფემინიზმი და სახელმწიფოებრიობის განვითარება

თუ გვინდა განვსაზღვროთ, რა ადგილი ეკავა ამა თუ იმ მოძრაობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საჭიროა განვიხილოთ იგი ქვეყანის შიდაპოლიტიკური ვითარების და საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგის კონტექსტში.

ამგვარი მსჯელობით, ქალთა წინსვლაზე მიმართული, თუ გსურთ ფემინისტური მოძრაობის, შემდეგ ეტაპებს გამოვყოფდი საქართველოში: შევარდნაძის მმართველობის ეტაპს, სააკაშვილის მმართველობის ეტაპს და „ოცნების" მმართველობას, რადგან მხოლოდ ქვეყნის მდგომარეობის ანალიზის ჩარჩოში შეგვიძლია განვიხილოთ ფემინისტური მოძრაობის წარმატება თუ წარუმატებლობა.

„ოცნების" მმართველობის პერიოდი შეიძლება ჩაიშალოს კიდეც, რადგან ამ ეტაპზე დაიწყო ფემინისტური დღის წესრიგის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის დაჩქარება.

ამ „დღიურებში" ჩვენი ქვეყნის ფორმირების პირველ პერიოდს არ შევეხები, თუმცა ამ პერიოდშიც არსებობდა გარკვეული სახის ქალთა აქტივიზმი.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ცნება „ქალის წინსვლაზე მიმართული მოძრაობა„ ყოველთვის არ არის ფემინისტური მოძრაობის ტოლფასი – ფემინისტური მოძრაობისთვის, რა მიმართულებისაც არ უნდა იყოს ის, ქალის დისკრიმინაცია საზოგადოებაში ყველა არსებული უთანასწორობის მთავარი მიზეზია და მთავარი ადგილი უკავია მსოფლხედველობაში. მაგრამ, ასევე ფაქტია, რომ დღეს, როგორც არასდროს, მოხდა ამ ორი მოძრაობის შერწყმა, რაც განაპირობა ფემინისტური მოთხოვნების პროგრამულმა გაწერამ.

პირადად მე, შევარდნაძის მმართველობის პერიოდს „ფემინისტურ გამოღვიძებას" ვუწოდებდი. იგი ვითარდება ქვეყანაში მიმდინარე საერთაშორისო ნორმების აღიარების და დანერგვის ფონზე. 1994 წელს, საქართველომ CEDAW კონვენციის რატიფიცირება მოახდინა,

1995 წელს საქართველოს დელეგაცია პეკინის კონფერენციას დაესწრო. ამას მოჰყვა ქალის დისკრიმინაციაზე მსჯელობის დაწყება სახელმწიფო დონეზე, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და ქალთა წინსვლაზე მიმართული ღონისძიებების გატარება. ასევე, დაიწყო პირველი ქალთა ორგანიზაციების და ქსელების ჩამოყალიბება. მათ შორის ჩამოყალიბდა პირველი ფემინისტური ორგანიზაციაც „ფემინისტური კლუბი"[3].

ამ პერიოდში მოღვაწე აქტივისტები და მეცნიერები ალბათ დამეთანხმებიან, რომ მაშინ მოძრაობის უპირველესი ამოცანა ქალის მიმართ არსებული დისკრიმინაციის უარყოფის დაძლევა და საზოგადოებაში ქალის უთანასწორო მდგომარეობის გამოაშკარავება იყო.

მინდა ვთქვა, რომ ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია საქართველოში, თუმცა წინაღობის ძალა ბევრად შემცირდა და უკვე ბევრი ლობისტი გვყავს საზოგადოების სხვადასხვა ფენასა თუ სექტორში.

ამ დროს საფუძველი ჩაეყარა ქალთა საკითხების კვლევებს, ფემინისტური და გენდერული თემატიკის მქონე ბიბლიოთეკებს, საგანმანათლებლო პროგრამებს ქალთა უფლებებზე, სამშვიდობო საქმიანობას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის საკონსულტაციო ცენტრების გახსნას ქალთა ორგანიზაციების ბაზაზე, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდაზე მიმართულ ადვოკატირების კამპანიებს.

ისევე, როგორც ქვეყანა, მაშინდელი ქალთა მოძრაობაც ცდილობს იზოლაციიდან გამოსვლას, და საერთაშორისო ფემინისტურ დიალოგში ჩართვას. დაიწყო სხვადასხვა საერთაშორისო ქსელებში გაერთიანება, გაეროს სტრუქტურებთან თანამშრომლობა: UNIFEM–თან, Devision for Advancement of Women–თან, ECOSOC–თან და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საფუძველი ჩაეყარა CEDAW კომიტეტთან დიალოგს.

ასევე, დაიწყო საერთაშორისო ორგანიზაციებში გენდერული თემატიკის ინიცირება.

სწორედ იმ პერიოდის აქტივისტების დამსახურებაა ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის, ეროვნული რესპუბლიკური ინსტიტუტისა

---

[3] ფემინისტური კლუბი დაფუძნდა 1998 წელს; დამფუძნებლები – ლიკა ნადარაია, ლელა ხომერიკი, ნანა ბერეკაშვილი, ნინო გაფრინდაშვილი, ნანა აბრამიშვილი.

თუ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ქალთა პროგრამების შემოსვლა ქვეყანაში. ამით იმას ვამბობ, რომ პროცესი ორმხრივი იყო და არა იმას, რომ აქტივიზმმა განაპირობა მათი საქართველოსადმი ანდა ქალთა წინსვლის მხარდაჭერისადმი ინტერესი. უბრალოდ, არ მინდა, დავიწყებული იყოს ის წვლილი და შრომა, რომელიც ამ პერიოდის აქტივისტებმა გასწიეს საქართველოში ქალთა პროგრამების მოსაზიდად და გასააქტიურებლად.

უსამართლო იქნება, თუ არ ავღნიშნავთ თამარ აბრამიშვილის 6-წლიან ლობირებას, რომელიც წინ უძღოდა ჰეინრიხ ბიოლის ფონდის ქალთა პროგრამების დაწყებას საქართველოში; ან კიდევ პირველი ქალთა პოლიტიკური ქსელის, რომლის წევრები იყვნენ ნინო ციხისთავი, ნატო შავლაყაძე, ელისო ამირეჯიბი, ლია ჯაყელი, ია ვერულაშვილი და ა. შ. (ყველას არ ჩამოვთვლი, რადგან არსებობს ამ ინიციატივის ამსახველი დოკუმენტაციაც და ფოტომასლაც), ინიციატივას, რომელიც საფუძვლად დაედო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ქალთა პროგრამას; ან კიდევ, ჩემს პირად შრომას, რომელიც გავწიე თეთრ სახლში, ვაშინგტონში, ეროვნული რესპუბლიკური ინსტიტუტის ქალთა პროგრამის ლობირებისას.

პროცესის ცალმხრივად წარმოჩენა და ამით ფემინისტური მოძრაობის წვლილის დაკნინება ქალთა წინსვლის პროგრამული უზრუნველყოფის საქმეში, სტრატეგიული შეცდომაა. მით უმეტეს, რომ პროგრამული უზრუნველყოფის საკითხი დღესაც აქტუალურია და მისი სწორი დაგეგმვა არსებითი მნიშვნელობისაა ფემინისტური წარმტების მისაღწევად.

ქალთა მოძრაობას ამ ეტაპზე არ გააჩნდა ერთიანი სტრატეგია ან განვითარების ხედვა. მისი განუვითარებლობა, მსოფლმხედველობრივი სიჭრელე, ეკლექტურობა, ხელს უშლიდა ქალთა წინსვლის ერთიანი დღის წესრიგის შემუშავებას.

თუმცა, მაინც შესაძლებელი გახდა ფემინისტური დისკურსით მეინსტრიმ მედიის გარღვევა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა, რასაც ხელს უწყობდა ამ პერიოდის მედიის შედარებითი თავისუფლება. აღსანიშნავია, მაშინ ალტერნატიული მედიის, რუს-თავი 2-ის წვლილი ქალთა საკითხის წინ წამოწევის საქმეში. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებდი „გენდერული განვი-თარების ასოციაციის" მიერ მომზადებულ გადაცემებს, გოგი გვახარიას

„ფსიქოს" ფორმატში მიმდინარე ფემინისტურ განხილვებს და ა.შ. საგულისხმოა, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელი გახდა კვლევებსა და დისკუსიებში და ზოგადად, ქალთა პრობლემის წინ წამოწევაში, პროგრესული ახალგაზრდობის ჩართვაც. ასეთები იყვნენ დღეს კარგად ცნობილი ფიგურები: გიორგი მაისურაძე, გიგა ზედანია, სალომე ასათიანი და სხვ.

ასევე, ფემინისტური განაცხადი გაკეთდა საერთაშორისო დონეზეც და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, გაეროს ქალთა კომისიის მუშაობის ფორმატში ჩართვით, მან ერთგვარი ხილვადობა მოიპოვა. ისიც აღსანიშნავია, რომ თავად საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც უფრო მაღალი იყო ქალთა საკითხისადმი საქართველოში, ვიდრე შემდგომ ეტაპზე. შემდგომ ეტაპზე, გაეროს რადიოს ნიუ იორკში არც ერთხელ არ დაუთმია ეთერი საქართველოში ქალთა პრობლემატიკისადმი, არც საქართველოს ქალების წინსვლის პროექტის პრეზენტაცია მოწყობილა ჟენევაში. ამ ყურადღებას ორი მიზეზი ჰქონდა: საქართველო იყო ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგში, რომელიც გაეროს სისტემაში ჩაერთო, და ის, რომ მსოფლიო ქალთა მოძრაობა აღმავლობაში იმყოფებოდა, რაც ქალთა საკითხებს აქტუალობას სძენდა.

თავად სახელმწიფოს დამოკიდებულებაც ქალთა საკითხისადმი (მინდა ხაზი გაუსვა, რომ ვსაუბრობ მხოლოდ დამოკიდებულებაზე, რადგან მას არანაირი რეალური ქმედება არ მოჰყოლია) ნაკლებად დისკრიმინაციული იყო, რისი ინდიკატორებიცაა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობა ქალთა საკითხების განხილვებში, დელეგაციის თანამდებობრივი რანგი, რომელიც სახელწიფოს მხრიდან CEDAW ანგარიშის წარსადგენად გაიგზავნა და სხვ.

მიუხედავდ ამისა, ქვეყნის შიდა თუ გარე პრობლემებმა, კორუფციამ და პოლიტიკურმა კრიზისმა, ფარატინა ქაღალდად აქცია მიღებული, ქალთა წინსვლაზე მიმართული ბრძანებულება №511. ამ ბრძანებულებას სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ეფექტური ქმედება არ მოჰყოლია.

ქალთა მოძრაობის შემდგომი ეტაპი სრულიად სხაგვარ კონ-ტექსტში და სხვა შიდა მოცემულობით შედგა. ქალთა თემა ნა-კლებად პრიორეტულია ქვეყნის განვითარების ამ პერიოდში. იგი გა-დაფარულია ზოგადი რეფორმატორული რიტორიკით, 2006 წლიდან კი, საომარი კონფლიქტის ესკალაციის რიტორიკით. საზოგადოებრივ

მეინსტრიმ დისკურსში ქალთა საკითხმა უმნიშვნელო, მარგინალურ ადგილი დაიკავა. იგი ცენტრლური მედიის ყურადღების მიღმა დარჩა და დაკარგა აქტუალობა.

ამავდროულად მიმაჩნია, რომ ეს ეტაპი ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბებისთვის და ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვირდებისთვის.

სწორედ ამ დროს შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩო: საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა გენდერული თანასწორობის კონცეფცია, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონი, ტრეფიკინგის წინააღმდეგ კანონი და ბოლოს, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. პარლამენტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, რომლის ძირითად ექსპერტულ პოტენციალს არსამთავრობო სექტორის წევრები წარმოადგენდნენ.

დაიწყო ბევრად უფრო მიმართული მუშაობა რეგიონებთან, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება და პროცესში რეგიონული ორგანიზაციების უფრო აქტიური ჩართვა. ასევე, საფუძველი ჩაეყარა ქალთა ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართულ პროგრამებს, რამაც მათ საშუალება მისცა ჯერ კიდევ განუვითარებელი სახელმწიფო გენდერული სტრუქტურების მაგივრობა გაეწიათ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისები მიეწოდებინათ ქალებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ფემინისტური აქტივიზმი შეავიწროვა აქტივიზმისადმი ინსტრუმენტალურმა მიდგომამ, შედეგი თვალნათელია: ამ პერიოდის ფემინიტურმა მოძრაობამ საფუძველი მოუმზადა ცნობიერების უფრო მასშტაბურ ცვლილებებს და გზა გაუკაფა სახელმწიფო გენდერულ პოლიტიკას.

ფემინისტური ბრძოლის დასაწყისი და ცვლილებები დროში

ჩემი ცნობიერი ჩართვა ფემინისტურ მოძრაობაში 80-იან წლებში, უფრო სწორად, „გარდაქმნის" პერიოდში მოხდა. აქტივიზმში ჩართვას ხელს უწყობდა ჩემი კავშირი დისიდენტურ წრეებთან თბილისსა თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ინფორმაციის მოპოვების და მოგზაურობის მეტი შესაძლებლობა.

მაშინ გავიგე, რომ ფემინისტური ახსნა აქვს ყველა იმ პრობლემას, რომელსაც მე პირად პრობლემად აღვიქვამდი და რომელიც ჩემი საზოგადოებასთან დაპირისპირების მიზეზი იყო. მაშინდელ საბჭოთა რუსულენოვან „პროგრესულ" ჟურნალებში, როგორიც იყო Вопросы Философии, Мир и Человек და ა.შ., დაიბეჭდა რამდენიმე სტატია ფემინიზმზე. აღმოსავლეთ ბერლინის, მოსკოვის, თბილისის ავანგარდულ არტისტულ წრეებში ფემინისტური დისკურსი გაძლიერდა. თავისუფალი საზოგადოებრივი სივრცის არარსებობის პირობებში, კერძო ბინებსა და სახელოსნოებში ეწყობოდა ფემინისტური შინაარსის პერფორმანსები, აქციები, იფინებოდა ნამუშევრები, ინსტალაციები.

ქალის თავისუფალი არჩევანის ნაკლებობა, სუბორდინირებული მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში, სექსუალური ესპლუატაცია და შევიწროება, – იმ საკითხების მცირე ჩამონათვალია, რომელზეც კონტრკულტურულ კონტექსტში რეფლექსია მიმდინარეობდა. საბ-ჭოთა ქალისა და მამაკაცის ფსევდო თანასწორობის კონცეფციის დეკონსტრუირება, სტერეოტიპების გამათრახება, ქალის სექსუალური სუბორდინირების და ფალოკრატიის გამოვლინება, გაქილიკება მიმ-დინარეობდა ექსცენტრული, შოკისმომგვრელი არტისტული ფორმით.

პირადად ჩემთვის, აქტივიზმის ადრეულ ეტაპებზე წამოჭრილი საკითხები ისევე აქტუალირია, როგორც მაშინ. შეიცვალა ჩემი მიდგომა, პირადი ბრძოლის მეთოდები, მასშტაბი. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ კონტრკულტურული აქტივიზმი, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში პროფესიონალური ფემინისტური მოღვაწეობა, ეროვნულ გენდერულ ინსტიტუციაში მუშაობა, CEDAW კომიტეტის წევრობა სხვადასხვა უნარების ფლობას და რთულ პიროვნულ ტრანსფორმაციებს მოითხოვს. მტკივნეული და რთული შესაგუებელია ყოველი ახალი როლი: გაქვს განცდა, რომ რაღაცას თმობ, ძალიან სანუკვარს. თუმცა, ერთნაირად სასიხარულოა, როცა შენი წვლილით, სადაც არ უნდა იყო, აძლიერებ ფემინისტურ ხმას.

მართლაც, ძალიან სასიხარულოა, როცა ხედავ, რომ ბრძოლაში, სადაც ოდესღაც მარტო იდექი, დღეს კარგად აღჭურვილი და გა-მობრძმედილი ჯარი დგას. ეს განწყობა განაპირობებს ჩემს და-მოკიდებულებაც ახალი თაობის ფემინისტურ ჯგუფებთანაც. ჩემთვის საამაყოა მათი საქმიანობა, მათი პრინციპული პოზიცია, პროფესი-ონალიზმი.

მოსაწონია მათი ბრძოლის მეთოდებიც, ქუჩის აქციები იქნება ეს, თუ კვლევითი საქმიანობა.

თუმცა, როცა ვსაუბრობთ ღრმა კულტურულ, სოციო-ეკონომიკურ ცვლილებებსა და ქვეყანაში ფემინისტური დღის წესრიგის გავრცელება-დამკვიდრებაზე, აუცილებელია, გავითვალისწინოთ განსხვავებულ პოზიციაზე მდგომი ქალთა ჯგუფების პერსპექტივაც.

დამეთანხმებით, გენდერული თანასწორობის მიღწევა ქვეყანაში რთული და ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს თანმიმდევრულ დაგეგმვას, საკუთარი შესაძლებლობების სწორ შეფასებას და საზოგადოებასთან ფართო დიალოგს.

გამოწვევები/სირთულეები

აქტივიზმში ყოფნის სირთულეებს სამ კატეგორიად დავყოფდი: პირველს მივაკუთნებდი გამოწვევებს, რომელიც ექმნება ქალს, თუ იგი პროფესიონალი ფემინისტია; მეორეს – ფემინისტური ორგანიზების პრობლემებს, მესამეს კი, ფემინისტური დღის წესრიგის ზოგად დისკრიმინაციას.

საქართველოში, ღრმად პატრიარქალურ ქვეყანაში, 90-იან წლებშიც კი ძნელი იყო გრქმეოდა ფემინისტი, გემუშავა ქალთა უფლებებზე, განსაკუთრებით თუ ოჯახური სტრუქტურა არ გედგა უკან. ფართო საზოგადოებიდან მარგინალიზება გარდუვალი იყო ყველა თანმდევი გამოწვევით. არ დამავიწყდება „კეთილმოსურნეების“ გამონათქვამები: „ისევ ქალებს დასდევ?”, ან კიდევ პასუხად „ქალთა უფლებებზე ვმუშაობ”- „არა უშავს, გამოგისწორდება მდგომარეობა” და ა.შ.

კარგი იქნება, ერთ დღეს შევიკრიბოთ და დისკრიმინაციული გამონათქვამების თანამედროვე ლექსიკონის შედგენაზე დავიწყოთ ზრუნვა.

პატრიარქალური სოციალური სისტემების მეთოდი შვილზე ზეწოლაცაა, რაც ფემინისტურ ოჯახებში უთანხმოების ესკალაციას უწყობს ხელს. ასეთი პრაქტიკის, უამრავი მაგალითია მსოფლიოში.

სოციალური კაპიტალის ნაკლებობა თავად ქალთა მოძრაობაშიც იჩენდა თავს, რომელიც ვერა და ვერ ახერხებდა იდეის, ან ერთიანი სტრატეგიის გარშემო გაერთიანებას. ქალთა ორგანიზაციებს და აქტივისტებს შორის კონკურენცია, სოლიდარობის ნაკლებობა ხელს

უშლიდა როგორც ერთიანი სააზროვნო სივრცის, ასევე მოძრაობის განვითარებას და ამცირებდა ზეგავლენის ძალას.

მესამე ტიპის გამოწვევები დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ სტრუქტურებში ფემინისტური დისკურსის ზოგად დისცრიმინაციასთან, იქნებოდა ეს საზოგადოებრივი ორგნიზაციები, აკადემიური სტრუქ-ტურები, პოლიტიკური პარტიები, თუ სხვა.

სექსიზმი, რომლიც თავს იჩენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა გამოვლინებაში, დღესაც აქტუალური პრობლემაა, თუმცა, ესეც სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოების გენდერული ცნობიერება საგრძნობლად განვითარდა.

ფემინისტური ბრძოლის წარმატების მაგალითი

ფემინისტური ბრძოლის წარმატების საუკეთესო მაგალითად მივიჩნევდი დღევანდელ შედეგს, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული, დღემდე ყველამ ერთად მოვიტანეთ, ქვეყანაში ქალთა წინსვლის და გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად. დამეთანხმებით ალბათ, თუ ვიტყვი, რომ ფემინისტური ბრძოლის ერთობლივ წარმატებად მიმაჩნია ყველა ის მიღწევა, რომელიც დღეს სახეზეა:

- ✔ ქალთა წინსვლის და გენდერული თანასწორობის საკითხები უფ-რო ფართო განსჯის საგანია, ვიდრე ფემინისტური მოძრაობის ად-რეულ ეტაპებზე.
- ✔ ხარისხობრივად გაუმჯობესდა თავად ფემინისტური დისკურსი.
- ✔ პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები მეტი გულისყურით ეკიდებიან ფემინისტურ მოთხოვნებს.
- ✔ მედია მეტი სიხშირით და პროფესიონალიზმით აშუქებს გენდერულ პრობლემატიკას.
- ✔ გედერული სახელმწიფო სტრუქტურები უკეთ უზრუნველყოფენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებას.
- ✔ საქართველო უფრო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო გენდერული პოლიტიკის დღის წესრიგში.

თუმცა, ძირეული ცვილებები ჯერ კიდევ მისაღწევია და კულტურული, სოციო – პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინერცია – დასაძლევი. ყო–

ველივე ეს მოითხოვს ინსტიტუციურ გაძლიერებას, გეგმარებას, ფემინისტური მოთხოვნების დროსთან შეთანხმებას, საზოგადოების განათლებას, ქალის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას და ა.შ.

ქართულ კონტექსტში წამატების მისაღწევად, ფემინისტური პოლიტიკა უნდა იყოს თანმიმდევრული და პრაგმატული. გამოიყენოს არსებული უპირატესობა და ეფექტურად მიაღწიოს მიზანს, რაც გენდერული უთანასწორობის შემცირებაში მდგომარეობს. უფრო უნდა გაიშალოს კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა, სიღრმისეულად უნდა გაანალიზდეს უთანასწორობის კონკრეტული მიზეზები და გენდერული პოლიტიკის ნაკლოვანებები.

თაობათაშორისი განსხვავებები

დღევანდელი ფემინისტური აქტივიზმი თვისობრივად განსხვავებულ ეტაპს წარმოადგენს განვითარებაში. სახეზეა ხარისხობრივი ცვლილება, პროფესიონალიზმის და დიაპაზონის ზრდა, ტაბუირებული თემატიკის უფრო თამამად და ეფექტურად წინ წამოწევა.

ფემინისტური მოძრაობის წინა ეტაპები, მათი ბრძოლის მეთოდები თუ პრობლემები უკვე მიმოვიხილე. ერთს ვიტყვი, რომ ფემინისტური ბრძოლის ყველა ეტაპი მნიშვნელოვანი შენატანი იყო საერთო შედეგში.

სამომავლო ხედვა

ფემინისტური აქტივიზმის სასურველ განვითარებას ვხედავ მის გაფართოებაში და მისი მოთხოვნების თანმიმდევრულ გადაზრდაში პრაგმატულ გენდერულ პოლიტიკაში.

მიმაჩნია, რომ ყველა მთავარი თემა აქტუალურია, იქნება ეს ქალის შრომითი დისკრიმინაცია თუ რეპროდუქციული უფლებები.

დღეს კი, განსაკუთრებით გამოვკვეთდი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის და ქალის მიმართ ძალადობის პრევენციის მნიშვნელობას.

თამარ საბეღაშვილი

ფემინისტური ბრძოლის დასაწყისი

სტუდენტობის პერიოდში, 1998 წელს, ჩემმა პედაგოგმა და შესანიშნავმა ადამიანმა ფერიდე ზურიკაშვილმა ჩამრთო პროექტში, რომელიც დევნილ ქალთა მდგომარეობას იკვლევდა. ამ პროექტის ფარგლებში დასავლეთ საქართველოში ვიმოგზაურეთ და დევნილ მოსახლეობას შევხვდით. მახსოვს, ძალიან იმოქმედა ჩემზე მათ მიერ გადატანილმა ტრავმამ და იმ უმძიმესმა პირობებმა, რომლებსაც ყოველდღიურად უმკლავდებოდნენ. ასევე, მახსოვს, როგორ აღვფრთოვანდი ქალების სიძლიერითა და სოლიდარობის დემონსტრირებით: ზესტაფონში, დევნილთა ჩასახლების ერთ-ერთ ცენტრში, ერთი მარტოხელა მოხუცი ქალი მეორეს უვლიდა და მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო წუხდა. მაშინ დავფიქრდი, რა დიდი ძალა აქვთ ქალებს, როგორ დგას მათზე ოჯახისა და საზოგადოების კეთილდღეობა, რამდენს შრომობენ, როგორ არ ზოგავენ თავებს და როგორ არ არის ეს აღიარებული და დაფასებული. მივხვდი, რომ ქალებმა ძალიან კარგად იციან, რა სჭირდებათ მათ შვილებს, მათ თემს, მაგრამ ქალების ხმა არ არის გადამწყვეტი, არც ისმის, რადგან მათ არ ეკითხებიან იმას, რაც ძალიან კარგად იციან. მახსოვს, როგორი ხელოვნური მომეჩვენა ის ფორმალური იერარქიები ოჯახში, რომლებსაც ისევ ქალები ინარჩუნებდნენ: კაცი ოჯახის თავია... ამ საკითხებზე ფიქრი დავიწყე. მერე კი, საკუთარ ოჯახში, ჩემ გარშემო, ჩემს პირად ცხოვრებაში, ბევრი ისეთი რამ მოხდა და შევნიშნე, რამაც კიდევ უფრო გამაბრაზა.უსამართლობას ვერ ვიტან, გენდერული უთანასწორობა კი სოციალური უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ყველაზე გავრცელებული უსამართლობაა. თავიდან ბევრ რამეს, რაც მაწუხებდა, სახელს ვერ ვარქმევდი, ამიტომ გადავწყვიტე, მეტი მესწავლა და 2000 წელს ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში გენდერის კვლევაზე ჩავაბარე. ამ უნივერსიტეტში დავასრულე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გენდერის მიმართულებით და ფემინისტად ჩამოვყალიბდი.

ფემინისტური დღის წესრიგი/ცვლილება დროში

მსურს იმის აღნიშვნით დავიწყო, რომ ძალიან გამიმართლა, რადგან გაეროს ქალთა ორგანიზაციაში ვმუშაობ: იმ თემებზე, რაც მაწუხებს. მახსოვს, როგორ დავიწყეთ მუშაობა 2008 წლის ომის შემდეგ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის კანონი 2006 წელს მივიღეთ, პრობლემის უარყოფა მაინც ძალიან დიდი იყო: მთავრობასთან შეხვედრებისას გვიწევდა ახსნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა ჩვენი მოგონილი და გაეროს მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეული პრობლემა არ იყო, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა მსხვერპლთათვის დაცვის მექანიზმებისა და სერვისების მიწოდება, ძალადობა ოჯახში საზოგადოების და სისტემური ხასიათის პრობლემა, გენდერული უთანასწორობის გამოვლინებაა და არა –კერძო ხასიათის ერთჯერადი გამოწვევა, ოჯახის საქმე. ახლა ამის მტკიცება აღარ გვიწევს. ამჟამინდელი დღის წესრიგისთვის ძალიან აქტუალური ძალაუფლების თანაბარი გადანაწილება და ამ გზით გენდერული თანასწორობის მიღწევაა – იქნება ეს პოლიტიკაში, ეკონომიკასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სხვა ფემინისტებთან, აქტივისტებთან, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ ჯგუფებთან დიდი ხანია ვთანამშრომლობ და მათ შრომასა და ძალისხმევას ძალიან დიდ პატივს ვცემ. მიხარია, რომ ამ საკითხებით დაინტერესება მაღალია სტუდენტებში: ბევრი ახალგაზრდა ფემინისტურ დღის წესრიგს იზიარებს და ხედავს თანასწორობის მნიშვნელობას ჩვენი საზოგადოების განვითარებისთვის. ბევრი თანამოაზრე და გულშემატკივარი გვყავს რეგიონებშიც. ქალთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლა შრომატევადი, დროში გაწელილი პროცესია და მასში ყველას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს, ყველას ღვაწლი დასაფასებელია. ჩვენ გვსურს ფუნდამეტური ცვლილებების მოხდენა იმავე პატრიარქალურ გარემოში, რის ტრანსფორმირებასაც ვცდილობთ. ძალიან დიდი საფრთხეები და რისკები არსებობს იმ ჯგუფებისა და ადამიანების მხრიდან, რომლებსაც ქალებისა და კაცების თანასწორობის იდეა აშინებთ ანაღიზიანებთ, ან საზოგადოებაშიარსებულ ქალთმოძულეობას პროპაგანდისტული მიზნებისთვის, დასავლეთის დემონიზებისა და რუსული პოლიტიკური დღის წესრიგის გასატარებლად იყენებენ.

გამოწვევები/სირთულეები

არ ვიცი, რამდენად შეიძლება ჩემი აქტივისტად მიჩნევა, რადგან მე, როგორც საერთაშორისო საჯარო მოხელეს, სამსახურეობრივად მევალება, მხარი დავუჭირო საქართველოს ხელისფულებასა და სამოქალაქოსაზოგადოებას ქვეყნის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სქესთა შორის თანასწორობის პრინციპისა და საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე ქალთა უფლებების დაცვის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულებაში. ალბათ, ყოველთვის, ყველაზე რთული სექსისტური და ჰომოფობიური მოსაზრებების იმ ხალხისგან მოსმენაა, რომელიც შენთვის ემოციურად და/ან ინტელექტუალურად მნიშვნელოვანია. გამოსავალი კვლავაც საუბარი, ახსნა და ამ დღის წესრიგისთვის შრომაა, მიუხედავად იმისა, გეთანხმებიან თუ არა.

ფემინისტური ბრძოლის წარმატების მაგალითები

ცვლილება, რომლისკენაც ფემინისტები ისწრაფვიან, იმდენად რთული და დროში გაწელილი საკითხია, რომ ხელშესახები ცვლილების მოკლე ვადაში დანახვა რთულია. შეგვიძლია, მაგალითად, ვთქვათ, რომ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე საზოგადოებრივი აზრის ცვლილება მართლაც მოხდა – ადრე თუ ეს პრობლემა კონკრეტული ქალისა და ოჯახის შიდა საქმედ აღიქმებოდა, ახლა ის საზოგადოებისთვის საზიანო დანაშულადაა მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი იმ ეტაპამდე, როცა საზოგადოების დიდი ნაწილი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს გენდერული უთანასწორობის პრობლემასთან დააკავშირებს, ანუ ნათლად დაინახავს, თუ როგორ განაპირობებს უთანასწორობა ძალადობას.

ქართულ კონტექსტი გამონაკლისი არ არის. ფემინისტური დღის წესრიგის წარმატება საქართველოშიც დამოკიდებულია ამ დღის წესრიგის გამზიარებელი ადამიანების გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ყოფნასა და საზოგადოების დაკვეთაზე. თანასწორობისკენ სწრაფვა, თანაწორობის პატივისცემა მხოლოდ ჩვენი რიტორიკისა და სადღეგრძელოების თემა კი არა, ჩვენი იდენტობის, თვითაღქმის, ფასეულობათა სისტემის ნაწილიც უნდა გახდეს. ჩემი აზრით, XXI საუკუნეში ყველანი მეტნაკლებად ფემინისტები და გარემოს

დამცველები უნდა ვიყოთ, თუკი საკუთარი თავისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა გვაქვს.

თაობათა შორის განსხვავებები

ჩემი აზრით, პირველი ეტაპი ნაკლებად აქტივისტური, უფრო ორგანიზაციებისა და პროექტების განხორციელების ეტაპი იყო. ახლა ორივე ერთადაა: აქტივიზმიცა და განვითარებაც – ანუ აქციები ქუჩაში, პროტესტი სოციალურ მედიაში, პერფორმანსი. სწორედ ეს არის ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი მეთოდები ფემინისტური დღის წესრიგისა და ცვლილებისთვის.

სამომავლო ხედვა

დღეს გამოწვევად ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძ-ლიერების საკითხები და იმ სოციალური ნორმების ტრანსფორ-მირება რჩება, რომლებიც ხელს უწყობს და აღრმავებს გენდერულ უთანასწორობას. მაგალითად, უთანასწორობა საოჯახო შრომისა და ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობების გადანაწილებისას. არანაკლებ მნიშვნელოვანია უმცირესობების უფლებები, მათ შორის ლესბოსელი და ტრანსგენდერი ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათზე მზრუნველი პირების საკითხები, სიღარიბე და სოციალური თანასწორობა. უთანასწორობის ყველა გამოვლინება პრობლემაა, ყველას უფლება უფლებაა და აქტივისები თავად გადაწყვეტენ, რა დროს რა საკითხზე იმუშაონ.

მეორე თაობა

ანუკ ბელუგა

ფემინისტურ ბრძოლაში ჩემი მონაწილეობის საჭიროება ვიგრძენი 2011 წელს, როცა გააქტიურდა აბორტის აკრძალვის მოთხოვნა საზოგადოებაში. ცხადია, ეს არც პირველი შემთხვევა ყოფილა, არც უკანასკნელი, მაგრამ ჩემ პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველი იყო. აბორტის, ანუ ქალის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების აკრძალვის წინააღმდეგ საქართველოს მოქალაქე ქალების მსვლელობა პირველი აქცია იყო, რომლის დაგეგმვაში და განხორციელებაშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. ქალების ამ გაერთიანებას „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი" დავარქვით და შემდეგ ხშირად ვმართავდით საპროტესტო აქტივობებს ქალების უფლებების აღიარების და დაცვის მოთხოვნით.

ფემინისტური ბრძოლის დასაწყისში, საკითხები უფრო ზოგადი იყო. ფემინიზმისთვის საზოგადოების ყურადღების მისაქცევად, ჯგუფი შოკისმომგვრელ ეფექტს არ ერიდებოდა. ძირითადად, კულტურულ ჭრილში განიხილებოდა ქალების პრობლემები. შემდეგ ნელ-ნელა სოციალური და პოლიტიკური კონტექსტი შემოვიდა, გაჩნდა სხვა ფემინისტური და ფემინიზმთან პოლიტიკურად ახლოს მყოფი ჯგუფებიც და წესით უფრო „მიწიერი" უნდა გამხდარიყო ბრძოლა, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ ვერ იკიდებს ფეხს ამ კონტექსტში ფემინისტური ბრძოლის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი და ისევ კულტურული მხარეა წამყვანი. ჯგუფები აზრთა სხვადასხვაობის გამო ხშირად ემიჯნება ერთმანეთს და ვერ ხერხდება საერთო მიზნების გარშემო გაერთიანება.

აქტივიზმში ჩემი ყოფნისას დაბრკოლება ჯგუფის წევრებს და ჯგუფებს შორის უთანხმოება იყო ყოველთვის. ჩემთვის პოლიტიკურ აქტივიზმში არაფერია პირადი, ყველაფერი კოლექტიურია. როცა კოლექტივში უთანხმოებაა სხვადასხვა მიზეზების გამო, ინფორმაციის ნაკლებობა იქნება ეს, პოლიტიკური ცნობიერების არასაკმარისი განვითარება თუ კონკრეტული ადამიანების პირადი ინტერესების პრობლემები, ამაზე დიდი დაბრკოლება არ არსებობს. ვაფასებ

ყველას ძალისხმევას, ხშირად უანგაროს და აუნაზღაურებელს, რომელიც დაიხარჯა და ახლაც იხარჯება აქტივისტების ერთმანეთთან თანამშრომლობაში, ფემინისტური საკითხების სწორად გაჟღერებაში, ურთიერთგანვითარებაში და ა.შ.

ბევრი ვისწავლეთ ერთმანეთისგან, სხვა პოლიტიკური ჯგუფების თანამშრომლებისგანაც და ფაქტობრივად, შეუძლებელი მგონია ამ გამოცდილების ჯერ ვერბალურად აღწერა და მერე ვერბალურადვე გაზიარება. სასურველია, ახალ აქტივისტებს ისე გავუზიაროთ ხოლმე ეს გამოცდილებები, როგორც ძველები ვუზიარებდით ერთმანეთს. თითქმის თავისთავად, თითქმის უნებლიეთ.

ქართულ კონტექსტში, ჩემი აზრით, ფემინისტებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ მდგომარეობაზე და რაღაც დონეზე ახდენენ კიდეც, თუმცა საკითხების სწორად არტიკულირების პრობლემას მაინც ვაწყდებით. ჯერ მაინც ვერ მოძებნა ფემინიზმმა მყარი იდეოლოგიური კალაპოტი.

დამოუკიდებელ საქართველოში ფემინიზმის განვითარება მკვეთრად შესამჩნევი არ არის ჩემი აზრით, თუმცა ცვლილებები, რა თქმა უნდა, ბევრი იყო და მომავალშიც იქნება. პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში, ახლანდელთან შედარებით, ფემინისტური პოლიტიკა უფრო ნაციონალისტური იყო. ნელ-ნელა სოციალური ასპექტები შემოდის და პოლიტიკური ცნობიერების ამ კუთხით განვითარება გარდაუვალი ხდება.

ჩემი აზრით, ფემინისტური აქტივიზმი კულტურულ ჩიხშია მოქცეული და საჭიროა მისი გაფართოვება. ფემინიზმმა არ უნდა გააქროს ქალის იდენტობა, მაგრამ არც უნდა აწარმოოს ეს იდენტობა. არ უნდა ააგოს პოლიტიკა ამ იდენტობაზე. არ უნდა იტრიალოს წარმატებული სუპერგმირის ხატის ირგვლივ, რომელსაც მხოლოდ სქესს შეუცვლის.

უკეთესი იქნებოდა, ფემინიზმს აეღო ახალი, ანუ კარგად დავიწყებული ძველი მისია, ქალის მდგომარეობის დანახვა, აღიარება და გაუმჯობესება არა „გაძლიერების“, „დამოუკიდებლობის“ და „თავისუფლების“ ისტერიული მოთხოვნით, არამედ მისი რეალურად არსებითი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებების დაკმაყოფილებით.

ნათია გვიანიშვილი

ამ დღიურების წერას ორი დღე მოვანდომე, 15 და 16 ოქტომბერი. ეს დღეები კარგად უნდა დავიხსომო იმიტომ, რომ მას შემდეგ რაც საქართველოდან წამოვედი და ფორმალურად გამოვეცალე ქართულ ფემინისტურ და ლგბტ აქტივიზმს, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც შფოთვას გადავაბიჯე და საკუთარი გამოცდილებების გადააზრება დავიწყე.

ფემინისტი რომ ვარ, პირველ რიგში ალბათ დედაჩემის დამსახურებაა. დედა თავისუფლების მოყვარული, ძლიერი ქალია და არასოდეს ანიჭებს საზოგადოებრივ აზრს იმაზე მეტ მნიშვნელობას, ვიდრე საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას. პატარა რომ ვიყავი, მუდამ მიმეორებდა „ჯერ ისწავლი, მერე მუშაობას დაიწყებ და მერე თუ გათხოვება და შვილების გაჩენა მოგინდა, გზა ხსნილი გაქვს. მხოლოდ ის დაიხსომე, რომ არასოდეს არავისზე არ უნდა იყო დამოკიდებული საკუთარი თავის გარდა“, შესაბამისად ჩემთვის ის აზრი, რომ ქალის ერთადერთი ფუნქცია ოჯახის შექმნა და შვილების გაჩენაა, ყოველთვის უცხო იყო. მშობლებთან ყოველთვის თავისუფლად შემეძლო ლაპარაკი, ვგრძნობდი, რომ ბავშვობიდან პატივს მცემდნენ, როგორც პიროვნებას და არასოდეს მახვევდნენ თავს იმას, რასაც სოციუმი კარნახობდათ.

ჩემი ბავშვობა 90-იანებს დაემთხვა და ჩემი ფემინისტური თვითგამორკვევის განმსაზღვრელი მეორე ფაქტორიც ალბათ ეს იყო. ძალიან მჭრიდა თვალს ის ფაქტი, რომ სანამ (მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე) ქალები დამლაგებლებად და გარემოვაჭრეებად მუშაობდნენ, შუალედში სახლის საქმეს აკეთებდნენ და ბავშვებს უვლიდნენ, მათი ქმრები ეზოში დომინოს ურახუნებდნენ ან სვამდნენ (თან მანდილოსნების სადღეგრძელოც არ ავიწყდებოდათ). როგორც აღმოჩნდა, ეკონომიკური კრიზისის პერიოდში „დამდაბლებული“ სოციალური სტატუსი ქალების უმრავლესობისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა. ხშირად მესმის, რომ კაცებს სტატუსის დაკარგვა დეპრესიაში აგდებთ, კი,

ეს პატრიარქალური საზოგადოების გვერდითი მოვლენაა კაცებისთვის, მაგრამ ქალებს იმ წლებში დეპრესიაში ყოფნის ფუფუნება თითქმის არ ჰქონიათ. ბევრი ქალი გაჭირვების გამო საკუთარ კერას მოწყდა და სად აღარ წავიდა სამუშაოდ. მახსოვს, ერთხელ მამაჩემის მშობლებთან ზაფხულის გასატარებლად დუშეთში რომ დავბრუნდი, სამეზობლოში მცხოვრები ახალგაზრდა ქალების ნაწილი იქ აღარ დამხვდა. ჰოდა, სანამ მათი ნაშრომი ფულით ნაყიდ ტელევიზორებში სერიალებს ვუყურებდით, მეზობლები ერთმანეთს უყვებოდნენ, როგორ გადადიოდნენ ეს ქალები საბერძნეთის საზღვარს ავტობუსების საბარგულებში და როგორ იდგამდნენ წელებზე ფეხს ოჯახში ფულის გამოსაგზავნად. მოკლედ, ბევრი რამ იყო, რაც ბავშვობიდან მაფიქრებდა და დიდ კითხვის ნიშნებს მიჩენდა, განსაკუთრებით როდესაც გარშემომყოფები ქალის მორჩილებაზე ლექციებს კითხულობდნენ.

ქალებისადმი ორმაგი დამოკიდებულება, რომელიც ზემოთ აღვწერე, ჩემს ყოველდღიურ ქცევასა და სამყაროს აღქმაზე ახდენდა გავლენას, თუმცა ფემინიზმზე და ადამიანის უფლებებზე, როგორც საქმიანობის სფეროზე საკმაოდ გვიან დავფიქრდი. ამის ბიძგი უფრო საკუთარმა სექსუალურმა ორიენტაციამ და გარიყულობისგან თავის დაღწევის სურვილმა მომცა. 2009 წელს, საკუთარ თავთან დიდი ხნის ჭიდილის შემდეგ, შევურიგდი იმ ფაქტს, რომ ლესბოსელი ვარ, რომ ამაში ცუდი არაფერია და, რომ ჰაერივით მჭირდება მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანების გაცნობა. მეგობარმა მიმიყვანა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ და ფონდ „ინკლუზივის“ საზიარო ოფისში კინოჩვენებაზე და თემის წევრები გამაცნო.

ადამიანები, რომლებიც იქ გავიცანი და გარემო, რომელსაც ერთად ვქმნიდით მალევე გახდა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. გრძნობას, რომ რაღაც დიდისა და საინტერესოს ნაწილი გავხდი ალბათ ისიც ამძაფრებდა, რომ იმ პერიოდში არათუ ლესბი, ბი ან ტრანსი ქალებისთვისთვის, არამედ ზოგადად ფემინიზმით დაინტერესებული ქალებისთვისაც კი ძალიან ცოტა სივრცე იყო. სოციალურ ქსელში არ იყო სადისკუსიო პლატფორმები, ასევე არ გვქონდა მეგობრულად განწყობილი ბარები და სათემო ცენტრიც მხოლოდ ერთ ორგანიზაციას ჰქონდა. მიუხედავად ჩაკეტილობისა, დღევანდელი გადმოსახედიდან ის პერიოდი ძალიან მენატრება იმიტომ, რომ მაშინ უფრო მეტ დროს ვხარჯავდით ერთმანეთთან ლაპარაკზე, სხვადასხვა საკითხის გან–

ხილვაზე და დისკუსია, როგორც პროცესი უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, ვიდრე დღეს. აქტივიზმი ჩვენთვის ახალი და ძლიერი ინსტრუმენტი იყო და არა ინერცია, რომელიც დღეს ბევრ გადაღლილ ჩვენგანს ამოძრავებს.

გასაკვირი არაა, რომ „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“ – ერთ-ერთი, რაც ჩემს აქტივიზმში ყველაზე მეტად მეძვირფასება და მეამაყება, სწორედ იმ პერიოდში დაიბადა. 2010 წლის ზაფხულში თანამოაზრეების ჯგუფმა ქალთა სხეულებრივი უფლებების მხარდასაჭერი მსვლელობის ჩატარება გადავწყვიტეთ. ეს იყო პირველი ჩვენთვის ცნობილი მსვლელობა საქართველოში, რომელსაც მკაფიოდ ფემინისტური მესიჯი ჰქონდა. ჩვენ კარგად ვხედავდით, რომ ქალის სექსუალობის ტაბუირება ძალადობის წყაროა, ასევე ვხედავდით, რომ ამ საკითხებზე ხმამაღლა თითქმის არავინ საუბრობდა მათ შორის არასამთავრობო სექტორში. ამავე პერიოდს დაემთხვა საპატრიარქოს მიერ აგორებული მორიგი კამპანია აბორტების აკრძალვის მოთხოვნით, რომელიც უპრობლემოდ მიმდიონარეობდა და შუქდებოდა ყოველგვარი ალტერნატიული აზრის გარეშე. იმ დროისთვის ჩვენი მთავარი კრიტიკა არასამთავრობო სექტორის მიმართ სწორედ სტრატეგიულად გაცხადებული პოზიციების ნაკლებობა იყო. მსვლელობის გარშემო დაწყებულმა დისკუსიამ და იმის გაცნობიერებამ, რომ არაფორმალიზებული აქტივიზმი საჭიროა, გადაგვაწყვეტინა 2011 წელს „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის“ ჩამოყალიბება. ინიციატივამ გაამართლა და „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“ მთლიანად ქართული სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ადამიანის უფლებებზე მომუშავე ჯგუფები თავიდანვე ინსტიტუტციური ფორმით გაჩნდნენ, რაც გარკვეულწილად ზღუდავდა იმ მეთოდების მრავალფეროვნებას, რომელთა გამოყენებაც შეეძლოთ ამა თუ იმ საკითხზე მუშაობისას. „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“ ჩვენთვის ცნობილი პირველი ჯგუფია საქართველოში, რომელმაც გაცნობიერებულად თქვა უარი ენჯეოდ რეგისტრირებაზე, სწორედ იმისთვის, რომ თავისუფლება არ დაეკარგა და აქტივიზმის ალტერნატიული ფორმების პოპულარიზაცია მოეხდინა.

ამ ჯგუფში ყოფნამ, ბევრი მნიშვნელოვანი რამ მასწავლა. ერთი ისაა, რომ რეაქციული ჯგუფები აუცილებელია იმისთვის, რომ საჭირბოროტო საკითხებზე დისკუსიის ფარგლები გავაფართოვოთ მათ შორის ისეთი

ფორმებით, რომელსაც საზოგადოება სახეში სილის გაწვნად აღიქვამს (როგორც „პატრიზანი გოგოების“ ფემინისტურ ვიდეოარტს). მეორე გაკვეთილი უფრო ტექნიკური ხასიათის იყო. ჯგუფი არაიერარქიული იყო (და არის), თუმცა ენთუზიაზმით შეპყრობილებმა სტრუქტურულ საკითხებს მაშინ საერთოდ არ მივაქციეთ ყურადღება. რაღაც ეტაპზე ეს საჭიროც არ იყო, თუმცა შემდგომში, როდესაც ენთუზიაზმი მიილია, ჩამოყალიბდა პირადი (ხშირად საკმაოდ დაძაბული) ურთიერთობები ჯგუფის წევრებს შორის და ჯგუფის მდგრადობის და განვითარების საკითხი დადგა, მივხვდით (ნაწილი მაინც), რომ შეცდომა დავუშვით. პერიოდულად ვცდილობდით იერარქიზაციასა და ნებისმიერი სტრუქტურის იერარქიად აღქმას შორის რაღაც შუალედზე გავსულიყავით, მაგრამ უშედეგოდ და ეს ჩვენს საქმიანობას მნიშვნელოვნად აზიანებდა. „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფიდან“ ორჯერ წამოსვლა (და შუალედში, ერთხელ დაბრუნება) დამჭირდა იმისთვის, რომ მეთქვა – ჩემი ცხოვრების ეს ფურცელი დასრულდა და შემიძლია, გზა განვაგრძო. მაშინ გავიაზრე პირველად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ხანდახან რაღაც, რაც შევქმენით, უბრალოდ გავუშვათ. უფრო კონკრეტულად, ჯგუფიდან წასვლის მიზეზი ჩემთვის ის იყო, რომ ამ ჯგუფში ვერანაირ რესურსს ვეღარ ვდებდი, შიგნით საკმაოდ ბევრი პიროვნული კონფლიქტი იყო და საქმის კეთებას ვერ ვახერხებდით. ამ ყველაფრის გამო, დიდ იმედგაცრუებას ვგრძნობდი და ბრაზი მახრჩობდა. მხოლოდ ახლა შევძელი საკუთარ თავთან იმის აღიარება, რომ იმ პერიოდში ჩემი წილი პასუხისმგებლობა ვერც მე ვზიდე. ვერ დავთმე იმპულსურობა, ვერ მოვთოკე ბრაზი, ვერ გავუძელი ცდუნებას, რომ ყველაფერში „სხვები“ დამედანაშაულებინა. ამას ვნანობ, მაგრამ არა – წამოსვლას, იმიტომ, რომ რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ჯგუფში შემავალ აქტივისტებთან ჩემი ურთიერთობა უფრო ღირებულია, ვიდრე – დარჩენა მხოლოდ დარჩენისთვის.

ამ გამოცდილებას ახლა გარედან ვუყურებ და ვგრძნობ, როგორ ვივსები სიამაყით. ვამაყობ ყველა იმ ადამიანით, ვისთანაც კი ამ ჯგუფში მიმუშავია, ვამაყობ იმით, რასაც ერთად მივაღწიეთ. სწორედ „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის“ წყალობით გაჩნდა სიტყვა „ფემინიზმი“ მეინსტრიმულ მედიაში (მეინსტრიმის ღირებულება ფემინიზმში საკამათოა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ამან მეტი სივრცე მოგვცა ქალთა საკითხებზე სასაუბროდ); სწორედ ჩვენი აქციების შემდეგ მიეჩვივნენ ჟურნალისტებიც საჯარო სივრცეში ქალთმოძულეობის

გამოვლენისას რომელიმე ჩვენგანთან ან ქალთა ორგანიზაციებში დარეკვას აზრის საკითხავად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც სწორედ მაშინ დავიწყეთ, ფორმალურ და არაფორმალიზებულ აქტივიზმს შორის გადაკვეთის ძებნა იყო. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ჩვენთვის იმ დროს საჭირო რესურსებს (როგორიცაა შეკრების ადგილი, საკანცელარიო ნივთები და ა.შ.) გვიზიარებდნენ (განსაკუთრებით „ქალთა ფონდი საქართველოში“) და საკუთარ დღის წესრიგს გვაცნობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან არასამთარობო ორგანიზაციების კრიტიკა ყოველთვის კონსტრუქციული არ იყო, ჩემი აზრით, ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვან პრაქტიკას ჩაუყარა საფუძველი. ეს პრაქტიკა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან ინდივიდუალური ფემინისტი აქტივისტების და სხვადასხვა სტატუსის მქონე ჯგუფების რაოდენობა გაიზარდა და რესურსების გაზიარების საჭიროებაც მეტად არის. ეს პროცესი აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. სხვადასხვა თაობის ფემინისტები (არადა, არც ისე ბევრნი ვართ) გულწრფელად უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ საკუთარი ისტორია, ვიცნობდეთ ადამიანებს, ვინც ჩვენამდე დაიწყო საქართველოში ფემინისტური დღის წესრიგის შექმნა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ საკუთარ ისტორიას ჩვენ თვითონ ვწერთ და ამას ჩვენს ნაცვლად არავინ იზამს, მით უმეტეს საზოგადოებაში, რომელიც მუდამ ცდილობს ჩვენი წვლილი დააკნინოს და დაგვამციროს.

ფემინისტური დიალოგი, პირველ რიგში, ჩვენი თვითგამორ-კვევისთვისაა მნიშვნელოვანი. ჩემი აზრით, ქართული ფემინისტური მოძრაობა დღეს იდეოლოგიების ფეთქებად ნაზავს წარმოადგენს. ბევრი ჩვენგანი ირგებს კონკრეტულ იდეოლოგიებს, მაგრამ ვერ ახერხებს, ისინი ადგილობრივ კონტექსტს მოარგოს. მაგალითად, რადიკალური ფემინიზმი საქართველოში ვერ იქნება იგივე, რაც 70-იანების ამერიკაში იყო. ის, რაც ფემინისტური მოძრაობების ისტორიამ გვაჩვენა, ალბათ ისაა, რომ არ არსებობს პატრიარქატის განადგურების ქმედითი და გამოცდილი მეთოდი. მთავარი კითხვაა, როგორ ვიმუშაოთ გრძელვადიან მიზნებზე ისე, რომ დღეს გასაჭირში მყოფ საკუთარ თავებსა და სხვა ქალებს დავეხმაროთ? ამის გაკეთება მხოლოდ ერთმანეთთან ლაპარაკის შედეგად შეგვიძლია. ძალიან დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, თუ კომუნიკაციის რა ფორმებს ვარჩევთ ერთმანეთთან ურთიერთობაში. თუკი გავაგრძელებთ

კონკურენციაზე მორგებული და ერთმანეთისთვის „ადგილის მისაჩენი“ ენის გამოყენებას, ისევ საკუთარ განადგურებას შევუწყობთ ხელს. ცხადია, რომ აქტივიზმი ყოველთვის იქნება ღრმად პიროვნული, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ადამიანების აღქმა, ვისთან ერთადაც ამ სფეროში ვტრიალებთ, ასევე იქნება ძალიან პირადული და ძლიერი (როგორც დადებით, ისე უარყოფით შემთხვევებში). მძიმეა, როდესაც საკითხები, რომელიც ღრმად პიროვნულად გეხება, ასევე შენი სრულგანაკვეთოვანი სამუშაოა. ემოციურ დაძაბულობას, საქმის მზარდი რაოდენობა ემატება და ამ დროს ერთმანეთისადმი დაუნდობელი დამოკიდებულება და „ფემინიზმის დატოლება“ განსაკუთრებით უწყობს ხელს აქტივისტების გადაწვას. ერთადერთ გზა წინ, არის, დავაფასოთ ერთმანეთის რესურსი და გავუფრთხილდეთ მას.

როგორცვთქვი,ყველაესგამოცდილებაჯერკიდევგადასააზრებელი მაქვს. საქართველოდან ორი თვის წინ იმ აზრით მივდიოდი, რომ არავითარი ფემინისტური დღის წესრიგი საქართველოში არ არსებობს და საერთოდ, ყველაფერი ტოტალური კრახია. გადაღლამ, ფრუსტრაციამ და საკუთარი რესურსების ნულზე დაყვანამ ასე იცის. დღეს ის მიხარია, რომ ფემინისტურ მოძრაობას გარედან შემიძლია შევხედო და თანმიმდევრულობა დავინახო.

ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა, ბევრჯერ მოვახერხეთ გაერთიანება. ბევრი სხვადასხვა ჯგუფისადმი გავიხსენით. დღეს, მოძრაობაში დისკუსიის დონეზე მაინც მეტი ღიაობაა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ქალების მიმართ. გაჩნდა მოთხოვნილება, რომ ქალებმა (და არა მხოლოდ) ერთმანეთის გამოცდილებას მოვუსმინოთ და ინიციატივა „ქალები საქართველოდან“ ალბათ ამის ყველაზე წარმატებული მაგალითია. გაჩნდა კომპრომისი. ჯგუფები, რომლემბიც მკაფიოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს იდეოლოგიურად, ახერხებენ იმაზე შეთანხმებას, რომ ისეთ პრინციპულ საკითხებში, როგორიცაა ფემიციდი, ადრეულ ასაკში ქორწინება, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები და ქალების პოლიტიკური მონაწილეობა (თუმცა, ეს უფრო საკამათო საკითხია), მნიშვნელოვანია, ერთმანეთს მხარი დავუჭიროთ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არსებობს ეჭვები იმის შესახებ, თუ ვინ ადგენს დღის წესრიგს ჩვენს მოძრაობაში და რატომ, ამ დღის წესრიგზე კონტროლის მოპოვება მხოლოდ მონაწილეობით და კონსტრუქციული კრიტიკით შეიძლება.

თამთა მეღაშვილი

ჩემი ცხოვრების პირველი 30 წელი (და ალბათ, ნახევარი სიცოცხლე) სიბნელეში ხელის ცეცებით სიარულს გავდა. მერე, როცა სახელები დავარქვი (მეტნაკლებად) ყველაფერს, რაც ჩემშიც და ჩემს გარშემო ხდებოდა, ცხოვრება უფრო შესაძლებელი გახდა. ფემინიზმი ჩემთვის თავშესაფარი არ ყოფილა, ის უფრო მიწად იქცა, რომელზედაც დავდექი ხელზე ჩამოსათვლელ თანამოაზრესთან (და მეგობართან) ერთად. აქედან დაიწყო ჩემი აქტივიზმიც.

ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფში (და ზოგადად, ფემინიზ-მშიც) თავიდან (2011წ.) ძალიან ცოტა ვიყავით – ისინი, ვისაც თით-ქმის მთლიანად ერთნაირი ღირებულებები და ხედვა გვქონდა. მოგვიანებით, ჯგუფი გაიზარდა და შესაბამისად, ბრძოლის ერთიანი პლატოფრმის შენარჩუნება შეუძლებელიც გახდა. მოხდა ის, რაც პატარა ჯგუფებში ხდება და სრულიად ლოგიკური და პრინციპში, ამ გადმოსახედიდან არადრამატულიცაა. აღმოჩნდა, რომ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე სხვადასხვანაირი და ხშირად საწინააღმდე-გო ხედვა გვქონდა. ამ წინააღმდეგობებს უფრო აძლიერებდა პირადი და ემოციური ურთიერთობების დინამიკა, რომელიც ადამიანებს გვაქვს ერთმანეთის მიმართ და რაც პატარა ჯგუფებში განსაკუთრებულად ძლიერად იჩენს თავს. ვაღიარებ, რომ დაარსებიდან 2 წლის შემდეგ, ჯგუფის დატოვება ჩემთვის უფრო პირადმა (და ემოციურმა) მიზეზებმა განაპირობა, ვიდრე იდეოლოგიურმა, თუმცა იდელოგიური და პირადი უთანხმოება სრულიად გადაჯაჭვული იყო ერთმანეთთან და მაშინ მისი არც გარჩევა შემეძლო და არც ერთმანეთისგან დაცალკევება. აღარ მქონდა არანაირი რესურსი აქტივიზმში ბოლომდე ჩართული ვყოფილიყავი იმ ადამიანებთან ერთად, ვისთანაც ემოციურად უკი-დურესად გადატვირთული ვიყავი. ჯგუფის დატოვებიდან დღემდე ჩემს თავს უფრო სოლო აქტივისტად მოვიაზრებ, რისთვისაც საყვედური ბევრჯერ მიმიღია, მაგრამ მგონია, რომ ასეც შემიძლია იმის კეთება, რაც, პირველ რიგში, მინდა და რაც ასე თუ ისე, ადგილობრივ ფემინიზმს ჩემს კონტრიბუციას მატებს.

დღეს ბევრად მეტი ფემინისტური ჯგუფი და ფემინისტი არსებობს, ვიდრე 2011 წელს. შესაბამისად – მეტი გოგო წყვეტს ხელის ცეცებას ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს მე გავაკეთე. არაფერი ისე არ მავსებს იმედით, როგორც ბევრი ახალგაზრდა ფემინისტის გამოჩენა. სხვა–დასხვა ფემინისტურ ჯგუფებს (თუ ფემინისტებს) შორის დავა და და–პირისპირებაც (ხანდახან „სისხლისმღვრელიც") გარდაუვალ, მაგრამ საბოლოო ჯამში, აქაური ფემინიზმ(ებ)ის წინსვლის და გაძლიერების პროცესის ნაწილად მიმაჩნია. უბრალოდ, ამ ბოლოს დროს უფრო ხშირად მეთოდებზე ვფიქრობ, ვიდრე თავად „სისხლისღვრაზე". ეს პროცესი ემოციურ დონეზე, არა მგონია, რომელიმე ფემინისტისთვის ან უკვალოდ ქრებოდეს, ან უვნებელი იყოს. ხშირად მიფიქრია იმ ემოციურ სისასტიკეზე, რაც ფემინიზმში მყოფ ქალები, ძირთადად ხედვათა სხვადასხვაობის გამო, ერთმანეთის მიმართ ვიყენებთ. მიფიქრია ასევე ამ სისასტიკის მკვებავ და თანმდევ ტკივილზეც (და გამწარებაზეც), რომლის საკუთარ წილს ყველა ჩვენგანი დავატარებთ. ეს სისასტიკეც, პატრიარქატის პირობებში ქალთა აქტივიზმში ემოციური ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია და მის არსებობაზე არც ჩემ თავს და არც სხვა ქალებს არ ვამუნათებ. უბრალოდ, მგონია, რომ მეტი თვითრეფლექცია, საკუთარ თავში ჩაღრმავება და პასუხების ძიება რატომ ვიქცევით ასე – ესეც ფემინისტური აქტივიზმის განუყოფელი ნაწილია. ხანდახან ამის გაკეთება უფრო ძნელი და გამომფიტავია, ვიდრე თავად აქტივიზმი. მაგრამ მგონია, რომ ეს ყველაფერი იმის აღიარებიდან იწყება, რომ ამ ცივილიზაციაში დაბადებულებს და გაზრდილებს, მიუხედავად ჩვენი დიდი წინააღმდეგობებისა – რაც არ უნდა „დამფძუნებელი დედები", ქვიართქვიარები და თეორიათა გურუები ვიყოთ – ჩვენ თავშიც პატრიარქატს დავატარებთ – ალბათ, უფრო ნამსხვრევების სახით, რომელიც ყველაზე ამაზრზენად, ზუსტად ქალებს შორის ურთიერთოებაში იჩენს თავს და განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდებში – რომანტიკაშიც, მეგობრობაშიც, თანამშრომლობაშიც და აქტივიზმშიც. მგონია, რომ საკუთარ თავში პატრიარქატის აღიარება და მასთან ბრძოლა ყველაზე დიდი ომია, ოღონდ აუცილებლად მოსაგები.

ბაია პაპარაია

დასაწყისი

საკუთარ თავს როდის დავარქვი ფემინისტი,არმახსოვს.ისეგავიზარდე,არაფერი მსმენია ფემინიზმზე. მაგრამ, ფემინიზმის ცოდნა არ იყო საჭირო იმისთვის, რომ არ მომწონებოდა უფროსების რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ბიჭებისა და გოგონების, ქალებისა და კაცების მიმართ. მე ნეიტრალური დამოკიდებულება მინდოდა ჩემ მიმართ, ჩემი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგრამ, ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყო შესაძლებელი. ოჯახში უამრავი აკრძალვა მხვდებოდა გოგოობის გამო. მიუხედავად ათასი შეზღუდვისა, ჩემს მშობლებს სჯეროდათ, რომ სწავლის შემთხვევაში, კარგი მომავალი მექნებოდა და ხელს მიწყობდნენ განათლების მიღებაში. გამიმართლა იმაშიც, რომ ადრეული ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ. მამაჩემის უამრავ პატრარქალურ შეგონებას შორის, იყო ერთი ძალიან ფემინისტურიც: „ისწავლე, რომ იყო წარმატებული შენს პროფესიაში და ყოველთვის გქონდეს იმდენი ფული, რომ შეგეძლოს საკუთარი თავის და შენი შვილის შენახვა". მამაჩემი არასდროს ახსენებდა ქმარს, თითქოს ქორწინება არც არსებობდა, მაგრამ ახსენებდა ჩემს მომავალ შვილებს. დაუჯერებელია, მაგრამ პირდაპირ მარტოხელა დედობისთვის მამზადებდა და ამიტომ მუდმივად ხაზს უსვამდა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. გაჭირვებული 90-იანების ბოლოს შემოსავლიანი სამსახურის პრაგმატულ მოსაზრებას შეეწირა ჩემი ხელოვნების სიყვარული და ოჯახის დაჟინებული თხოვნით, იურისტობა (ანუ შემოსავლიანი პროფესია) ავირჩიე. სწავლა-სწავლაში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში აღმოვჩნდი უნგრეთში, სადაც პირველად ვისწავლე გენდერი და სამართალი, 2007 წელს კი, იურიდიული დახმარების გასაწევად, პირველად შევხვდი ოჯახში ძალადობის მსხვერპლს და სამუდამოდ მოვიხსენი ვარდისფერი სათვალეები.

სწორედ ამ დროს გავაცნობიერე, რომ ქალებს მარტო კი არ

უკრძალავენ საკუთარ ჭკუაზე ცხოვრებას, არამედ მათ სასტიკად სჯიან კიდეც ამისათვის. გავაცნობიერე, რომ ქალებს სცემენ ოჯახებში; რომ არიან მშობლები, რომლებსაც აღარ უნდათ თავიანთი გათხოვილი ქალიშვილი და მოძალადე ქმართან ცხოვრებას აიძულებენ; რომ არიან ძმები, რომლებიც ქონებას არ უყოფენ დას და პირდაპირ ქუჩაში ტოვებენ. ამ საქმეებმა ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შემდგომშიც, როცა უკვე იუსტიციის სამინისტროში ვმუშაობდი, ვერ დავივიწყე ეს ქალები. მათზე ფიქრით და მათი დახმარების სურვილით, ნელ-ნელა ვიქეცი ქალთა უფლებადამცველად. სამინისტროში მუშაობის დროს, ზოგჯერ დამცინოდნენ კიდეც, ქალთა უფლებების ამოჩემების გამო. მაგრამ, სხვების არასერიოზული დამოკიდებულების გამო არ ღირს იმ საქმიანობის მიტოვება, რისიც გჯერა. აქტიურად დავიწყე ფემინისტური ორგანიზაციების ძებნა, დავიწყე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომლებიც ოჯახში ძალადობაზე ან სახელმწიფო სამოქმედო გეგმებზე მუშაობდნენ და სიმართლეს გეტყვით, ფემინისტები მე იქ ვერ ვიპოვნე. მაგრამ, ვინც ეძებს, ის პოულობსო და მორიგი ტრეინინგისთვის დოკუმენტური ფილმის ძიებისას, მიმასწავლეს ლია ჯაყელი, ლიამ კიდევ - ეკა აღდგომელაშვილი. მოვიწვიეთ ეს ორი ქალი ტრეინინგზე და ამ ტრეინინგზე, ჩემდა გასახარად, პირველად აღმოვაჩინე ცოცხალი ქართველი ფემინისტი ქალები. მე ისინი ვიპოვნე! შეიძლება, ახლა სასაცილოდ ჟღერს ეს ამბავი, დღეს აბა რა დიდი ძებნა უნდა ფემინისტებს საქართველოში? მაგრამ 2010 წელს, ეს ასე არ იყო.

2010 წელს გავიცანი ანუკ ბელუგა, მისი ნახატების გამო მივწერე ფეისბუქზე, მაშინვე დავმეგრობრდით. ანუკამ ანიკა სვეი გამაცნო, ანიკამ - ნინო ხარჩილავა, ნინომ ქალების ჯგუფში დამამატა ფეისბუქზე, სადაც, ერთ მშვენიერ დღეს, თამთა მელაშვილმა დაწერა, შევიკრიბოთ და სადაზღვეო კომპანიის სექსისტური რეკლამის გასა-პროტესტებლად ალტერნატიული ფოტოები გადავიღოთო. აი, ასე მივედი შეხვედრაზე, სადაც გავიცანი გოგოები, რომლებთან ერთადაც სულ მალე ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი ჩამოვაყალიბეთ. ძალიან მიხაროდა ეს ამბავი და ერთხელ ფეისბუქზეც კი დავწერე: „მე ფემინისტი ვარ!". „ვნახე შენი ქამინგ აუთი", - მომწერა მეგობარმა. მაშინ გამეცინა, ფემინიზმს რაში სჭირდება „ქამინგაუთი"-მეთქი, მაგრამ, შემდგომშიც ბევრჯერ ვნახე ჩემი ფემინიზმით შოკირებული და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები. თითქოს ხომ

გასაკვირი არაა 21–ე საუკუნეში ადამიანების თანასწორობის იდეის მხარდაჭერა და ქალების ისტორიული ჩაგვრის აღიარება, – მაგრამ არის. დღემდე უკვირთ.

ვინ ვართ ჩვენ?

ბევრმა არ იცის, რომ ქართული ფემინიზმი მაშინ დაიწყო, როცა სიტყვა ფემინიზმიც არ არსებობდა. პირველი ფემინისტური მანიფესტი ბარბარე ჯორჯაძეს ეკუთვნის. დღევანდელი ფემინისტებიც სწორედ მისი საქმის გამგრძელებლები ვართ. მე დღევანდელი ქალების უთანასწორო ყოფა მალაპარაკებს, მჯერა, რომ ქალების გათავისუფლება ჩაგვრისგან სიკეთის მომტანი მარტო ქალებისთვის კი არ არის, არამედ აბსოლუტურად ყველასთვის და მათ შორის მატერიალური სიკეთის მომტანიც. მე მჯერა ქალების და ამიტომაც ვარ ფემინისტი.

საბჭოთა კავშირმა ფემინიზმიც მოკლა, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი აქტივიზმი. ქალთა გაძლიერებაში საბჭოთა კავშირის როლი უკიდურესად გაზვიადებულია. თავდაპირველი პროგრესი, მოგვიანებით შეიცვალა და ქალები ისევ ოჯახებში შეყარეს, მსახურების მიზნით. საბჭოთა საქართველოში ქალი ყოველთვის კაცის დანამატი იყო, და თუ ქალებს გარეთ შრომის საშუალება მისცეს, სახლის შრომა არ ჩამოუცილებელიათ. დღემდე ქალები საქართველოში ორმაგად ექსპლუატირებულები არიან: მუშაობენ მინიმუმ ორ სრულ განეკვეთზე და აქედან ერთი – საშინაო საქმე არათუ არ ანაზღაურდება, არამედ შრომადაც არ ითვლება.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, გამოჩნდნენ ჩვენი დროის პირველი ფემინისტებიც. მათ მოახერხეს საერთაშორისო სტანდარტების შემოტანა და ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა ქალთა უფლებებზე, საფუძველი ჩაეყარა ინსტიტუციებს, მაგრამ ქალთა მოძრაობა, როგორც ასეთი, მაშინ ვერ ჩამოყალიბდა.

2011 წლიდან განსხვავებული ფემინისტური აქტივიზმი დაიყო, 2014 წლის შემდეგ კი უკვე შეიძლება ვისაუბროთ ფემინისტურ მოძრაობაზე საქართველოში.

მე მახსოვს პერიოდი, როცა ადამიანებს ზოგადი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ფემინიზმზე, არათუ მის მრავალფეროვნებაზე. მახსოვს დრო, როცა იმდენად ცოტა ვიყავით, რომ შეუძლებელი იყო რამდენიმე

პარალელური ჯგუფის არსებობა. ახლა ჯგუფიც ბევრია და ერთმანეთის კრიტიკაც – შესაძლებელი. ჩამოყალიბდა უფრო მემარცხენე და ქვიარ ფემინისტური ჯგუფები. ნელ-ნელა ფემინიზმი იკრებს ძალას, რომ არამარტო ქალთა პრობლემებზე, არამედ სხვა ტიპის ჩაგვრებზეც აიმაღლოს ხმა, თუმცა საამისოდ მას გაფართოება და გაძლიერება სჭირდება. ფემინისტურ ბრძოლას გარკვეული რესურსი სჭირდება, ადამიანს ცოდნაც სჭირდება, დროც, ფულიც, რადგან აქტივიზმი არაანაზღაურებადი საქმიანობაა, უფრო მეტიც, ხშირად აქტივიზმი საკუთარი ჯიბიდან უნდა დააფინანასო. შესაბამისად, ფემინისტური აქტივიზმის საშუალება დღეს ყველას არ აქვს. ფემინისტური ბრძოლა ჯერ კიდევ ფუფუნებაა, მაგრამ ჩვენ ის უნდა გავხადოთ ყველასათვის ხელმისაწვდომი.

რისთვის ვიბრძვით და რას მივაღწიეთ?

ნამდვილი ფემინისტური აქტივიზმი 2011 წელს დავიწყე, „ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფთან" ერთად. ჩვენ ვრეაგირებდით იმ მოვლენებზე, რაც გამორჩეულად სექსისტური, ან საფრთხის შემცველი გვეგონა. ვრეაგირებდით სექსისტურ რეკლამებზე; ვრეაგირებდით პატრიარქის ეპისტოლეებზე, სადაც ის ცოლებს ქმრისთვის ფეხის დაბანისკენ მოუწოდებდა, ქალის სამუშაოს კი გართობას ეძახდა; ვრეაგირებთ სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ქალწულობის გამოკვლევის პრაქტიკაზე და სხვ. ჩვენ ვაგებინებთ საზოგადოებას, რომ ზოგიერთი პრაქტიკა დისკრიმინაციული და ძალადობრივია ქალის მიმართ. რეალურად, ჩვენ დავიწყეთ ახალი ცოდნის შექმნა, ჩვენ დავარქვით სახელი სექსიზმს და დისკრიმინაციას კონკრეტული მოვლენების მაგალითზე. ნელ-ნელა საზოგადოებამ ისწავლა კიდეც, რა არის სექსზიმი და რაში გამოიხატება დისკრიმინაცია, ისწავლა, რომ ასეთ ქცევას აუცილებლად მოჰყვება პროტესტი. დღეს ეს პროტესტი აღარ არის დამოკიდებული რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე, დღეს უკვე პროტესტს საზოგადოება დამოუკიდებლად აფიქსირებს.

2014 წელს, როდესაც „ქალთა მოძრაობა" სპონტანურად ჩამოყალიბდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, ვყოფილიყავით არა რეაქციულები, არამედ პროაქტიულები. ჩვენ არ ველოდებით ვინმეს შეცდომებს, ჩვენ ვქმნით საკუთარ დღის წესრიგს და ხელისუფლებას ვთავაზობთ პრობლემების გადაჭრის გზებს. ჩვენ მოვითხოვეთ და მივაღწიეთ

კანონმდებლობის დახვეწას და კანონის უფრო ეფექტურ აღსრულებას. „ქალთა მოძრაობამ" პარლამენტთან თანამშრომლობით მოითხოვა სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რათა საპარლამენტო ზედამხედველობა უფრო ეფექტური და გამჭვირვალე გამხდარიყო. იურიდიულმა კომიტეტმა შექმნა სპეციალური ჯგუფი, მოიწვიეს სამინისტროების წარმომადგენლები, გვქონდა კითხვების დასმის საშუალება. განხილვების შემდეგ, შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომელთა 95% გაითვალისწინა პარლამენტმა და ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშიც მოისმინა მთავრობისაგან. რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულდა. ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკაზე მუშაობის ახალი წარმატებული გამოცდილება.

„ქალთა მოძრაობა" ქალთა მიმართ მზარდი ძალადობის საპასუხოდ ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ეს იყო და არის ერთ-ერთ მთავარი საკითხი. ბოლო 3 წლის განმავლობაში, კანონმდებლობა მნიშვნელოვნად დაიხვეწა. შსს-ს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ამ დანაშაულთან ბროლა აქტიურ ფაზაშია, გამკაცრებულია სისხლის სამართლის პოლიტიკა და მიდგომები. რა თქმა უნდა, კანონის იმპლემენტაციაში ხარვეზები რჩება, რთულია სამართალდამცავების დამოკიდებულებებისა და ქცევის სწრაფი ცვლა. საზოგადოება ნელა ეგუება იმ აზრს, რომ ქალი ქმრის საკუთრება არ არის და ქმარს არ აქვს ცოლის დასჯის უფლება.

„ქალთა მოძრაობის" აქტივიზმის მეორე სამიზნე ქალების პოლიტიკური გაძლიერებაა. ჩვენ საკანონმდებლო კვოტების შემოღებას ვითხოვთ არჩევით ორგანოებში. დღეის მდგომარეობით, 37 500 ხელმოწერით შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივა მოსმენებს გადის პარლამენტში. კვოტების პროექტი არაერთხელ ჩავარდნილა. კვოტები არც ერთ ქვეყანაში არ მიუღიათ მარტივად. ეს რთული ბრძოლაა. იგი ჩვენ დავიწყეთ მაშინ, როცა პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი კვოტებს „კვატებს" ეძახდა და ეს ინიციატივა სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. დღეს უკვე რამდენიმე პარტიამ შიდა კვოტები დაიწესა, დებატებმა კი სერიოზული სახე მიიღო. პოლიტიკური ლიდერების დაპირებები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე ცარიელ სიტყვებად დარჩა წლევანდელ არჩევნებზეც. ასეთ ვითარებაში, კანონის საჭიროებაზე სულ უფრო მეტი ადამიანი საუბრობს.

საქართველოში ქალთა მოძრაობამ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე საუბარი დაიწყო. ყველა ჯგუფი თანხმდება, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე, ქალთა ემანსიპაცია შე-

უძლებელია. დღეისათვის, ჩვენი სახელმწიფო თეორიულ და იდეოლოგიურ დონეზეც კი არ არის მზად, იმუშაოს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. არც ერთი სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი არ ახსენებს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, არ არსებობს სახელმწიფო ხედვა და გეგმა. ჩვენ გვჭირდება ამ საკითხის შესწავლა, კვლევა, ანალიზი და შემდეგ უკვე – ადვოკატირება. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დიდწილად გააერთიანებს სხვადასხვა ფემინისტურ ჯგუფებს, რისი გაკეთებაც ვერ შეძლო კვოტირების საკითხმა. დღემდე ისმის კრიტიკა, რომ კვოტები მხოლოდ საშუალო და მაღალი კლასის ქალებს წაადგება, რასაც მე პირადად არ ვიზიარებ. მე არ მჯერა, რომ ქალების გამაძლიერებელ პოლიტიკას კაცი პოლიტიკოსები შექმნიან. მგონია, რომ ქალების გაძლიერების პოლიტიკა ქალმა პოლიტიკოსებმა უნდა შეიმუშაონ და განახოციელონ. ჩვენ უნდა დავეხმაროთ აქტიურ ქალებს პოლიტიკაში მოსვლაში და შუშის ჭერის დამსხვრევაში.

ქართულმა ფემინიზმმა ბოლო წლებში ხელშესახები წარმატებები მოგვიტანა, რაზეც უკვე ზემოთაც ვისაუბრე: შეიქმნა ახალი ცოდნები, ამაღლდა საზოგადოების ცნობიერება, იმატა გენდერულმა მგრძნობელობამ, დაიხვეწა კანონმდებლობა, გააქტიურდნენ სამართალდამცავები, მოხდა პრობლემების აღიარება და გარკვეული პოლიტიკების შემუშავება სახელმწიფოს მხრიდან. მიღწევაა ისიც, რომ ფემინიზმი მრავალფეროვანი გახდა, წარმოიშვა ახალ-ახალი ჯგუფები, უფრო მემარცხენე და უფრო რადიკალური და ქვიარ ჯგუფები. ფემინიზმს სჭირდება ეს მრავალფეროვნება და ეს პრეტენზიულობა. დღევანდელ ქართულ ფემინიზმში ეტაპობრივად ძლიერდება ნეოლიბერალური კაპიტალიზმის კრიტიკა და კეთილდღეობის სახელმწიფოს მოთხოვნაც. ვფიქრობ, გაძლიერებული ფემინიზმი აუცილებლად გახდება უფრო მეტად ინტერსექციური და უფრო კრიტიკული ეკონომიკური უთანაწორობის მიმართ.

სირთულეები

ქალთა მოძრაობას და ფემინიზმს საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა აქვს. ფემინიზმის შესახებ მითები ისევ არსებობს, ინფორმაცია კი ნელი ტემპით ვრცელდება. პრობლემაა თვითონ ინფორმაციის გავრცელების გზებიც. მართალია, ჩვენთვის ხელმისაწვდომია სოციალური ქსელები, ტრადიციული მედიაც გვეთანამშრომლება, მაგრამ არსებობს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც ცოტა

ინფორმაცია აქვს და არც პირადად შეხვედრია ფემინისტებს სხვადასხვა საკითხზე სასაუბროდ. ამასთანაა კავშირში ქალთა მოძრაობის ზრდის ნელი ტემპი. ქალთა მობილიზაციას განსხვავებული მუშაობა სჭირდება, ამაზე კი საკმარისი დრო და რესურსი არ არის.

გამოწვევაა საკუთარი ქვეყნის ფემინისტური ისტორიის არცოდნაც, ყოველ მომდევნო თაობას სულ უფრო ნაკლები ცოდნა აქვს უფროსი ფემინისტების საქმიანობაზე, შეხედულებებსა და გამოწვევებზე. ეს პუბლიკაცია ამ დიალოგის განვითარების ერთ-ერთი მცდელობაა. ინფორმაციის ნაკლებობა თაობათა შორის უნდობლობასაც იწვევს. უშუალოდ ფემინისტებს შორის არასრულფასოვანი კომუნიკაციის გამო, ხშირად საკითხის გარშემო გაერთიანება ჭირს, რაც ასუსტებს საერთო ძალისხმევას.

სერიოზული პრობლემაა რუსული პროპაგანდა და მათ მიერ ხელშეწყობილი ნეოფაშისტური ჯგუფები. საქართველო ჯერ კიდევ ტრანზიციისპერიოდშია,საბჭოთაპერიოდშიდაკარგულიღირებულებები ვერ აღგვიდგენია, თავისუფლების და დამოუკიდებლობის ნაცვლად, სიღარიბე და ნაციონალიზმი შეგვრჩა ხელში. გვაქვს უიმედობა და ვერგადარჩენის შიში, რასაც ფაშისტი ლიდერები სათავისოდ გარდაქმნიან და მიზანმიმართულად ამახინჯებენ. არსებობს სიახლის შიში. რუსეთი მუდმივად გვიქმნის ფსევდო მტრის ხატებს. ფემინიზმიც სიახლედ და გადაგვარებად აღიქმება, სახელად – „ქალი ქალს აღარ უნდა ჰგავდეს და კაცი – კაცს?!". ეს მდგომარეობა, რა თქმა უნდა, უმეცრებით საზრდოობს. სკოლა, სადაც განათლებას უნდა იღებდეს ადამიანი, ქცეულია ულტრანაციონალიზმისა და ქსენოფობიის აკვნად. სახელმწიფო არ ებრძვის გაუნათლებლობას. განათლების რეფორმა პრაქტიკულად შეჩერებულია და სასწავლო პროგრამები გაჯერებულია „ურაპატრიოტიზმით"; ისტორიის სახელმძღვანელოები მეზობელ ერებს მტრად სახავენ; არ ისწავლება კრიტიკული ანალიზი. ასეთი განათლების სისტემა ყოველთვის ნოყიერ ნიადაგს შექმნის ფაშისტური და რადიკალური ჯგუფებისათვის. ქართული პოლიტიკური ელიტის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ მას იმდენად აძლევს ხელს რეალური პოლიტიკური პრობლემებიდან მოსახლეობის ყურადღების გადატანა, რომ ხელს არ უშლის ფაშისტური რიტორიკის გარვცელებას. ხშირად, პოლიტიკური ელიტებიც სტერეოტიპების და ფობიების ტყვეობაში არიან და თვითონაც გაუნათლებლებმა არ იციან, რომ რუსული პროპაგანდის გავრცელებას თავადვე უწყობენ ხელს.

რუსეთიდან შეგულიანებული უამრავი ფაშისტური დაჯგუფება ღიად ებრძვის ფემინიზმს და ჩვენს დღის წესრიგს. ებრძვიან გენდერულ უთანასწორობას, რაშიც ყველაზე კარგად იყენებენ მართლმადიდებელი ეკლესიის ყავლგასულ რიტორიკას, ოჯახში კაცის უპირატესობის შესახებ. ეს ფაშისტური ჯგუფები გამუმდებით მოითხოვენ აბორტის აკრძალვას, უხეშად ერევიან განათლების სამინისტროს საქმეებში და აფერხებენ განათლების რეფორმას სკოლაში. საპატრიარქოს დამსახურებაა ის, რომ სკოლებში არ ისწავლება რეპროდუქციული ჯანმრთელობა და მოსახლეობა კმაყოფილია ამით. ქალებს არ აქვთ ელემენტარული ცოდნა საკუთარ სხეულზე.

პრობლემების და გამოწვევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მნიშვნელოვანია დღის წესრიგის სწორად განსაზღვრა. სამწუხაროდ, ჩვენ პრობლემის სიმწვავის მიხედვით კი ვერ დავსახავთ ჩვენს პრიორიტეტებს, არამედ – იმის მიხედვით, თუ რასთან გამკლავება ძალგვიძს მოცემულ მომენტში. მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მოძრაობამ საქართველოში ისეთი პრობლემები წამოიკიდოს ზურგზე, რომელთა გადაჭრის გზებზე ნათელი წარმოდგენა აქვს და ძალაც შესწევს, სისრულეში მოიყვანოს ისინი. უნდა შევქმნათ ცოდნა და მოვიპოვოთ საზოგადოების მხარაჭერა, მოვამზადოთ ხელისუფლება და ნელ-ნელა მივუყვეთ იმ ბარიერების გადალახვას, რომლის გადალახვაც შეგვიძლია. თან, მუდმივ რეჟიმში უნდა ვიმუშაოთ, რომ გაფართოვდეთ და გავძლიერდეთ. ეს საშუალებას მოგვცემს, სულ უფრო მეტად პრობლემურ საკითხებს შევეჭიდოთ.

ქართულმა ფემინიზმმა და ქალთა მოძრაობამ მარგინალიზაციის-გან თავის დაცვა უნდა მოახერხოს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა რადიკალური ჯგუფები ცდილობენ ქართველობის და ქრისტიანობის მტრად გამოგიყვანონ, რათა ხალხს აგრესია გაუჩინოს შენ მიმართ. ჩვენ მიერ დღეს გაშვებულმა შანსებმა და დღეს დაშვებულმა შეცდომებმა, შეიძლება მომავალი ფემინისტები მნიშვნელოვნად დახიოს უკან. მეორე კლასიდან პირდაპირ მერვეში ვერაფრით გადახტება ჩვენი საზოგადოება. ყველა პატარა გამარჯვებას უნდა გამყარება. და არასოდეს არ უნდა გავჩერდეთ. არ უნდა დავკმაყოფილდეთ პატარა გამარჯვებებით. არ უნდა დავყაროთ ფარ-ხმალი. უნდა ვისწავლოთ სოლიდარობა, როგორც ერთმანეთის, ისე სხვა ჯგუფების. უნდა ვისწავლოთ ერთიანი ფრონტის ხაზის ქონა. და უნდა ვაკეთოთ პო-ლიტიკა იქიდან, სადაც ის კეთდება.

მესამე თაობა

მაია ბარქაია

2008–2009 წლებში ახალი დეკოლონიური ფემინისტური სათვალით აღჭურვილმა დავიწყე ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკის გადააზრება. ინდოეთში მემარცხენე სტუდენტური მოძრაობის სოლიდარობის ძალით შთაგონებული მეც შევუერთდი სამართლიანობისთვის ბრძოლას. მემარცხენე მოძრაობაში ყოფნა გულისხმობდა ანტი-კაპიტალისტურ, ანტი-პატრიარქალურ, ანტი-ჰომოფობიურ, ანტი-კასტურ და ანტი-იმპერიალისტურ ბრძოლაში ჩართვას. თავიდანვე ემანსიპატორული პროგრესული პოლიტიკა ჩემთვის ამ ბრძოლების ერთობლიობა იყო.

2009–2010 წლებში სამაგისტრო ნაშრომისთვის დალიტური ფემინიზმის ისტორიის კვლევა გადავწყვიტე. დალიტი ქალების მდგომარეობა განსაზღვრულია ჩაგვრის ისეთი სისტემებით, როგორიცაა პატრიარქატი, ექსპლუატაციაზე აგებული ეკონომიკური წესრიგი და კასტური სისტემა (დალიტები ყველაზე დაბალი კასტაა ინდოეთში, ასევე ცნობილია, როგორც 'მიუკარებლთა' კასტა). ამ დროს პარალელურად სტუდენტებს გვქონდა მოხალისეობრივი ჯგუფი და ვმუშაობდით მშენებლობაში დასაქმებული მიგრანტი დალიტების ოჯახებთან და კერძოდ მათ ბავშვებთან დელიში.

2010–2011 წლებში კი სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში, თბილისში, შევუერთდი გენდერის კვლევების სადოქტორო პროგრამას, სადაც მქონდა შესაძლებლობა უფრო მეტი დრო დამეთმო ფემინისტური თეორიების კითხვისთვის და მეფიქრა ემანსიპატორული პოლიტიკის ალტერნატიულ გზებზე.

რადგან არ ვარ მიჩვეული ამ სტილის ტექსტების წერას, გადავწყვიტე ჩამომეწერა ის კითხვები და საკითხები, რაზეც ამ ბოლო დროს ვფიქრობ. პოსტ-საბჭოთა საქართველოში, მემარცხენე პოლიტიკური იდეის არარსებობის პირობებში, ემანსიპატორული იდეები ძირითადად პროგრესული ნეოლიბერალიზმის ფორმით მოგვევლინა. ნეოლიბერალური პროგრესული პოლიტიკა აბუნდოვნებს ჩაგვრის

სისტემებს შორის მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს და თანაკვეთებს. ამის შედეგად, ვხედავთ ერთმანეთისგან აბსოლუტურად გამიჯნულ ჩაგვრის სისტემებს, რომელიც ართულებს სწორი გრძელვადიანი ემან–სიპატორული პოლიტიკის დაგეგმას.

ფემინისტური პოლიტიკა მოიცავს ორ ძირითადად კომპონენტს: ქალთა უფლებების დაცვას და ქალთა ემანსიპაციის პოლიტიკას. რაც შეეხება ქალთა უფლებებს, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ქმედითი ნაბიჯები უფლებების დაცვის მხრივ საქართველოში, მაგრამ ემანსიპაციისკენ მიმართული დღის წესრიგი ძირითადად ხორციელდება პროგრესული ნეოლიბერალიზმის სახით ანუ ერგება არსებულ პატრიარქალურ კაპიტალიზმს. როგორ ვიბრძოლოთ და ამავდროულად ვიფიქროთ იმაზე, რომ არ მოვერგოთ ისეთ ეკონომიკურ წესრიგს, რომელიც აგებულია ისეთ მასკულინურ ღირებულებებზე, როგორიცაა ეგოიზმი, პირადი ინტერესი და კონკურენცია? როგორ არ დავკარგოთ ქალები ექსპლუატაციურ სისტემაში ჩართვით და სანაცვლოდ სისტემისადმი დაუმორჩილებელ ქალთა პოლიტიკური ერთობა მოვიპოვოთ? რა არის ჩვენი მიზანი: სისტემაში მონაწილეობა თუ სისტემის დეკონსტრუქცია? როგორია ალტერნატიული სისტემა? უნდა გამოვიყენოთ თუ არა იგივე მჩაგვრელი ინსტრუმენტები ახალი სამართლიანი სამყაროს ასაშენებლად? გვჭრდება კი ისეთი მიდგომები, რომლის მიხედვითაც კაცების ამჟამინდელი ცხოვრების მოდელები წარმოადგენენ ადამიანურ ნორმას, რომელშიც ქალები უნდა ასიმილირდნენ?

პატრიარქალური ნეოლიბერალიზმი აწარმოებს სუბიექტს, რომლის ქმედებები განსაზღვრულია პირადი ინტერესით, რაციონალურია და ორიენტირებულია სარგებელზე. ამ თვისებებში არ ჯდება ალტრუიზმი, სოლიდარობა და ემოცია. სინამდვილეში პირად ინტერსებზე აწყობილი ხილული საბაზრო ეკონომიკის უკან დგას უხილავი ეკონომიკა. „უხილავი ხელის' მიღმა არის უხილავი სქესი" და მათი უხილავი შრომა. როგორი უნდა იყოს ფემინისტური დღის წესრიგი? უფრო მოკლევადიანი გამოსავალია ამ სისტემაში მონაწილეობა, მაგრამ ეს ისევ და ისევ ამ სისტემის შედარებით პრივილეგირებულ ფენაში მოხვედრილ ადამიანებს შეუმსუბუქებს ყოფას. ხოლო ქალთა სრული ემანსიპაცია, რომელიც გაათავისუფლებს ყველა ჩაგრულ ქალს, შეუძლებელია ამ ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში. ძალაუფლებრივ მატრიცას

ალბათ ერთობლივი შეტევა სჭირდება და ისეთი წინააღმდეგობა, რომლის ამბოხიც მიმართულია ქალთმოძულეობის, კაპიტალისტური ექსპლუატაციის, ჰომოფობიის, რასიზმის, ისლამოფობიის და ნეო–კოლონიალიზმის წინააღმდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვასრულებთ ნეოლიბერალურ პროგრესულ პოლიტიკას, რომელიც ვერ სცდება ჩაგრულების ურთიერთდაპირისპირებას და ვერც მათ გათავისუფლებას ახერხებს, რადგან თავისთავად ექსკლუზიურია და ყოველთვის სჭირდება „უხილავთა არმია," რომელთა ხარჯზეც საკუთარ კეთილდღეობას ააგებს.

მარი კურტანიძე

დასაწყისი

ეს ამბავი მანამ დაიწყო, სანამ გავჩნდებოდი...

20 წლის დედაჩემი მოიტაცეს. მოიტაცა რამდენიმე დღის გაცნობილმა ახალგაზრდა კაცმა მაშინ, როცა ის, მესამე კურსის სტუდენტი, დასასველებლად ბორჯომში იყო წასული. დედას სხვა უყვარდა. თუმცა, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე, მშობლების რჩევით, ბედს დანებდა და თბილისიდან ხაშურში გადავიდა საცხოვრებლად. მალე მეც გავჩნდი...

„ყველა კაცს, ვისაც მხოლოდ გოგოები ჰყავს, ყვერები აქვს დასამტვრევიო" – ხუმრობდა ხოლმე ბაბუა. იმ ფაქტს, რომ მის ვაჟს ორივე გოგო ჰყავდა, იმით ამართლებდა, რომ ჩვენ განსაკუთრებული გოგოები ვიყავით; ხანდახან, თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ჩემი „ახტაჯანა და" „ნამდვილი ბიჭი იყო, უბრალოდ, შემხვევით გამოვიდა გოგო"; მე ნამდვილი ფერია ვიყავი – ჭეშმარიტი ქართველი გოგონა – ნაზი, მშვიდი, წყნარი.

– ჩვენი „გოგოობა" დიდი ტრაგედია არ ყოფილა მომავალი ვაჟიშვილის მოლოდინში. თუმცა, მამა მაშინ გარდამეცვალა, როცა სამი წლის ვიყავი... ეს კი ნამდვილად იყო ტრაგედია, ბევრი მიზეზის გამო... ყველზე ხშირად, მესმოდა წუხილი იმის შესახებ, რომ ძმა არ გვყავდა, ვინც მოგვხედავდა; რომ უმამოდ დავრჩით – უპატრონოდ; რომ მარტოხელა დედისთვის, ორი გოგოს გაზრდა საშინლად რთული იქნებოდა.

– 25 წლის ასაკში დაქვრივებულმა დედაჩმა ხელი მოგვკიდა, ხაშურიდან გამოიპარა და თბილისში დაბრუნდა საცხოვრებლად. მახსოვს, თავიდან სამსახური რომ იშოვა, 60 ლარი ჰქონდა ხელფასი, მალევე მეორე სამსახურში დაიწყო მუშაობა და დღემდე ასეა... ერთადერთი მიზანი ჰქონდა – მისი გოგოები არ დაჩაგრულიყვნენ, ჩვენ ის გზა არ გაგვევლო, რაც მან გაიარა.

დედაჩემი არასდროს ახდენდა თავის იდენტიფიცირებას, როგორც ფემინისტი; ეს მეც საკმაოდ გვიან მოვახერხე, თუმცა, დღემდე ვთვლი,

რომ პირველი ფემინისტი, ვინც გავიცანი, დედაჩემი იყო. ვინც დღეს ვარ, მისი დამსახურებაა. გვასწავლიდა, რომ საუკეთესოები უნდა ვყოფილიყავით სკოლაში; გვეუბნებოდა, არ გაპატიებთ, თუ სწავლას მიატოვებთ და უმაღლეს განათლებას არ მიიღებთო; რომ მანამ არ უნდა შეგვექმნა ოჯახი, სანამ საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობა არ გვექნებოდა; რომ არასოდეს უნდა ვყოფილიყავით დამოკიდებული ქმარზე, ან ვინმე სხვაზე; რომ მოკლავდა ნებისმიერს, ვინც გაბედავდა და ჩვენზე იძალადებდა. მთელი ცხოვრება წინ მყავდა, მაგალითად, ქალი, რომელმაც მარტომ შეძლო შვილების აღზრდა, განათლების მიცემა; ქალი, რომელმაც საკუთარი შრომით და ცოდნით მიაღწია ყველაფერს; როგორ ვთქვა, გამიმართლა–მეთქი, მაგრამ თუ ამქვეყნად რამეში ან ვინმეში გამიმართლა, ეს დედაა...

დედამ მასწავლა ისიც, რომ არავისთვის უნდა მიმეცა უფლება, დავეჩაგრე. მე ხომ არ მყავდა უფროსი ძმა, ვინც დამიცავდა, ვისაც მოვუყვებოდი, სკოლაში მაწყენინეს–მეთქი და ჩამოვიდოდა „საქმეების გასარჩევად"; ძმა, რომლისაც სხვა ბიჭებს შეეშინდებოდათ, ძმა, რომლის გამოც უფრო პატივისცემით მომექცეოდნენ. ძმა ან ბიძაშვილი, დეიდაშვილი, ვინმე ნათესავი ბიჭი... მე და ჩემს დას მსგავსი არავინ გვყავდა. სწორედ ამიტომ, მთელი ჩემი ცხოვრება სულ იმის დამტკიცების მცდელობა იყო, რომ ვინმე ბიჭი/კაცი დასაცავად არ მჭირდებოდა, რომ ჩემითაც შევძლებდი.

ისევე, როგორც ყველა გოგოს, დაბადებიდან, მეც საკუთარ ტყავზე მაქვს გამოცდილი პატრიარქატი, გენდერული სტერეოტიპები და მათით ნაწარმოები ჩაგვრის სხვადასხვა ფორმები – სკოლაში, უნივერსიტეტში, ქუჩაში, სკვერში, საჯარო ტრანსპორტში, მიწისქვეშა გადასასვლელში, დღისით თუ ღამით – „ბიჭივით ჭკუა გაქვს – ნიჭიერი მაგრამ ზარმაცი"; „ბიჭივით ნუ იქცევი – გოგო ხარ და მეტი მოთმინება გმართებს"; „ხელსაქმე შენ არ იცი და რა გაგათხოვებს", „ქმარს როგორ მოუვლი, საშინაო საქმის კეთებაც თუ არ ისწავლე"; „მხოლოდ ჭკუა რაში გამოგადგება"; „სახლში დაბნელებამდე დაბრუნდი – გოგოსთვის ქუჩაში მარტო სიარული საშიშია"; „თუ დაინახე, რო ვინმე აგედევნა, შეირბინე აფთიაქში ან მაღაზიაში, სულ ხელში გეჭიროს ტელეფონი" – ამდევნებიან, გავქცეულვარ, შემიფარებია თავი აფთიაქისთვის, მოუთათუნებიათ ტრაკზე ხელი – ბევრჯერ! ბაზრობაზე, მეტროში; ერთხელ, ავტობუსში, ჩემს სახესთან ახლოს დაანძრია კაცმა; ერთ

საღამოს, როცა მე და ჩემი მეგობარი ბახტრიონზე ავდიოდით, ჩახდილი კაცი გამოგვეკიდა – მოდით, ხელი მოგაკიდებინოთ, ამხელა ნანახი არ გექნებათო", – შემშინებია.. მიტირია... იყო ბევრი სხვაც...

მიუხედავად ამისა, ჩემი ფემინისტური ქამინგ აუთი საკმაოდ გვიან მოხდა. შინაგან პროტესტს, რომელიც მიჩნდებოდა, სახელს ვერ ვარქმევდი. ვხვდებოდი, რომ რეალობა, რომელშიც ვხოვრობდი, უსამართლო და მჩაგვრელი იყო, რომ მე, როგორც გოგოს, უფრო მეტი წინააღმდეგობის გადალახვა მიწევდა, ვიდრე ჩემსავე მოცემულობაში სხვა ბიჭს, რომ ხშირად სწორედ ბიჭები/კაცები იყვნენ ჩემი პრობლემების სათავე და წყარო. ვხვდებოდი, თუმცა, ალბათ ისევე, როგორც გოგოების უმეტესობა, ამას მოცემულობად, ნორმად ვიღებდი.

ფემინისტურ ქამინგაუსთს წინ უსწრებდა ბრძოლის დაწყება ჰომფობიის წინააღმდეგ. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ადამიანმა, რომელზე მეტადაც არავინ მიყვარდა, მითხრა, რომ ლესბოსელი იყო. მაშინ 16 წლის ვიყავი. იმ დღეს, ამ სიტყვებით დაანგრია მან სამყარო, რომელშიც ვცხოვრობდი, სამყარო, რომელიც სოციუმის მიერ ნასაზრდოებ სიძულვილზე იყო ნაშენები. იმ დღის შემდეგ, საკუთარი თავის შენება ხელახლა დავიწყე; იმ დღის შემდეგ, აღარ ვიღებ არაფერს უპირობოდ, კითხვის ნიშნების დასმის გარეშე, ვცდილობ გავარკვიო – ჩემია, მინდა რომ იყოს ჩემი, თუ სოციუმის მიერ არის თავსმოხვეული და უნდა მოვიშორო.

მას შემდეგ, დიდი გზა განვვლე... 10 წელია, გზადაგზა ვანგრევ ჩემში „ჭეშმარიტი ქართველი გოგოს" ხატს. ნელ-ნელა ვამსხვრევ ბორკილებს, ჩარჩოებს და ვთავისუფლდები. არ არის მარტივი, ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია და ამაში ყველაზე მეტად ის ქალები დამეხმარნენ, რომლებიც გზად შემხვდნენ, თავიანთი გამოცდილებები გამიზიარეს და დამანახეს, რომ ეს შესაძლებელია. ამ წლების განმავლობაში იმასაც მივხვდი, რომ ჩაგვრები, რომელსაც სხვადასხვა ჯგუფები განიცდიან, ერთმანეთთან ძალიან არის გადაჯაჭვული. გავიაზრე, რომ ვერ იქნები ადამიანის უფლებათა დამცველი, აქტივისტი, ფემინისტი თუ ჩაგვრების კოპლექსურობას, მათ შორის კავშირს და გადაკვეთის წერტილებს ვერ ხედავ. მივხვდი, რომ შეუძლებელია, იბრძოდე ერთი ჯგუფის უფლებებისთვის, ისე, რომ არ გულშემატკივრობდე და არ გესმოდეს სხვისი ჩაგვრები. საბოლოოდ, ვცდილობ, ის ადამიანი ვიყო, რომელიც თუნდაც მცირედით ამ სამყაროს უკეთესს ხდის. ეს ყველაფერში უნდა

გამოიხატებოდეს – არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ასევე ბუნების, ცხოველების, დედამიწის სიყვარულში. სწორედ ამიტომ, ჩემთან ყველაზე ახლოს ვეგეტარიანელი/ვეგან, ქვიარ, ფემინისტი ქალები დგანან.

ფემინისტური ღლის წესრიგი

აქტიურად ფემინისტურ აქტივიზმში 2016 წელს ჩავერთე. მას შემდეგ, რაც საქართველოში დავბრუნდი, კავშირ „საფარში" დავიწყე მუშაობა იურისტად. „საფარს" მრავალმხრივი პროფილი აქვს, შესაბამისად, საშუალება მომეცა, ქალებთან დაკავშირებით მრავალმხრივ მემუშავა – ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება, ადრეული ქორწინება, ქალების ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერება. მუშაობისას, სხვადასხვა მეთოდებს ვიყენებთ – საშუალება მქონდა, მემუშავა, როგორც მკვლევარს და სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტს, ასევე, უშუალო შეხება მქონოდა ბენეფიციარებთან საინფორმაციო შეხვედრების და ტრეინინგების ჩატარების დროს, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

ფორმალურ „ნჯო აქტივიზმთან" ერთად, „საფარის" თანამშრომ-ლების უმეტესობა, ასევე ჩართული ვართ არაფორმალურ აქტივიზმში. „ქალთა მოძრაობა" ჩემი ფემინისტური აქტივობებისთვის მნიშვნელოვან პლატფორმად იქცა. ეს არის დღემდე არსებული ყველაზე დიდი ჯგუფი. იგი აერთიანებს იმ ქალებს, რომლებსაც ქალების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება სურთ. ქალთა მოძრაობის კარი ღიაა ყველა იმ ქალისთვის, ვისაც ქალების უფლებები აინტერესებს, მათთვისაც კი, ვინც ჯერ საკუთარი თავის ინდენტიფიცირებას ფემინისტად ვერ ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მომისმენია კრიტიკა ამ ჯგუფის მიმართ, მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეოლოგიური ბაზისის/ღერძის არარსებობის გამო, ვფიქრობ, რომ შესაძლოა, ეს მისი დადებითი მახასიათებელიც კი იყოს. ქალთა მოძრაობა იქცა იმ პლატფორმად, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ცოდნებისა და შეხედულებების ქალებს, მისი ეს მრავალფეროვნება ქალებს უადვილებს ერთმანეთთან ახლოს მოსვლას და ზედმეტ ბარიერებს არ ქმნის. ამასთან, ჯგუფი შეიქმნა იმ მიზნით, რომ ყოფილიყო სახალხო და საყოველთაო, იმისთვის, რათა მარტივი და გასაგები ენით მიეტანა სათქმელი ქალებამდე და გაეადვილებინა მათთვის მოძრაობაში

შემოერთება. ქალთა მოძრაობის აქტივობებში ჩართვისას, ჩემი არაფორმალური ფემინისტური აქტივობებიც თავდაპირველად ამ მიმართულებით წარიმართა. ძირითადი საკითხები, რომლის გარშემოც ვგეგმავდით აქტივობებს, იყო ოჯახში ძალადობა, ფემიციდი და ქალთა პოლიტიკური გაძლიერება; უკვე შემდგომში, ქალთა მოძრაობამ გადაწყვიტა, შრომითი საკითხები წამოეწია წინ და 1 მაისის საჯარო აქცია დააორგანიზა ქალთა შრომითი უფლებების შესახებ. წელს, 25 ნოემბრის თემად სექსუალური შევიწროება ავირჩიეთ და მზადებაც დაწყებულია.

ქალთა მოძრაობის გარდა, ჩემი აქტივიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ქვიარ ფართების სერიას – HOROOM (ხორუმს) უკავშირდება. HOROOM–ი ქართული ლგბტ აქტივიზმის ყველზე კრიზისული პერიოდის პირმშოა – იმ პერიოდის, როცა გაირკვა, რომ საქართველოს ყველაზე დიდი ლგბტქი ორგანიზაციის ხელმძღვანელი თემის წევრებისთვის განკუთვნილ თანხას იპარავდა, თავშესაფრის ნაცვლად, რომელიც ლგბტქი ადამიანებისთვის უნდა აშენებულიყო, მან კერძო სახლი შეიძინა პირად საკუთრებაში. ეს ამბავი ბევრი აქტივისტისთვის ტრაგედიად იქცა, დაგვანახა ჩვენი უსუსურობა და თითქმის დაგვაკარგვინა ნჯო აქტივიზმის რწმენა. მივხვდით, რომ აუცილებელი იყო, ამ კრიზისის ფონზე რაღაც ახლის დაწყება. ასე შეიქმნა დამოუკიდებელ ქვიარ აქტივისტთა საინიციატივო ჯგუფი. რამდენიმეთვიანი სისტემატური შეხვედრების შემდეგ, ჯგუფი შეთანხმდა, რომ დრო იყო, გვეფიქრა სრულიად ახლებურ ინიციატივაზე, ინიციატივაზე, რომელიც აქტივიზმს გაიტანდა არასამთავრობო ორგანიზაციების ფარგლებს გარეთ, უარყოფდა დამკვიდრებულ მეთოდებს და კონცენტრირდებოდა თემის წევრების გაძლიერებაზე, მათთვის უსაფრთხო გასართობი სივრცის შექმნით. სწორედ ამ დროს შედგა კლუბი BASSIANI–ის და აქტივისტთა საინიციატივო ჯგუფის კოლაბორაცია, რომლის შედეგადაც, უკვე წელიწადნახევარია, რეგულარულად იმართება HOROOM ღამეები.

HOROOM თავიდანვე განისაზღვრა, როგორც ქვიარ ფემინისტური ინიციატივა. ვცდილობდით, HOROOM–ის სივრცე ღია, უსაფრთხო და მეგობრული ყოფილიყო განსხვავებული იდენტობის ადამიანებისთვის; რომ ყველას ეგრძნო თავი კომფორტულად და თავისუფლად თვით–გამოხატვისას. ჩვენი მცდელობების მიუხედავად – მაქსიმალურად დაბალანსებული ყოფილიყო სივრცე, HOROOM–მა, ასევე, წარმოაჩინა

პრობლემა, რომელიც ქვიარ საზოგადოებაში, და არა მხოლოდ, ქალების წარმომადგენლობას და მათ ხილვადობას უკავშირდება. ამან დაგვანახა, რომ კაცები გაცილებით უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს თავიან სექსუალობასთან, სხეულთან მიმართებაში და უფრო მეტად ექსპრესიულები არიან, მაშინ, როცა ქალებს ბევრი ბარიერის გამო უჭირთ გათავისუფლება. ის, რომ გასართობ ქვიარ სივრცეებშიც კი კაცები დომინირებენ, ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხია, რომელსაც აქვს თავისი ობიექტური განმაპირობებელი ფაქტორები და საჭიროებს ქვიარ ფემინისტი ქალების მხრიდან მეტ ყურადღებას. სწორედ ამიტომ, HOROOM-ის ფარგლებში დღემდე ვებრძვით slut shaming-ს, ვცდილობთ, წინ წამოვწიოთ სექსუალურად თავისუფალი, ძლიერი ქალის სახე; ხელი შევუწყოთ სილამაზის სტანდარტების მსხვრევას და სხეულის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გაჩენას, განსაკუთრებით ქალებში, რადგან სილამაზის სტანდარტები არაპროპორციულად სწორედ ქალებს აწვებათ.

ქალების სექსუალობის და სხეულთან დამოკიდებულების თემა ჩემი ფემინისტური ბრძოლის ის ნაწილია, რომელიც უნებურად და დაუგეგმავად სოლო აქტივიზმად გარდაიქმნა ჩემს ცხოვრებაში და არც ერთ ჯგუფთან ურთიერთობას არ უკავშირდება. პირველად ეს მოხდა მაშინ, როცა 2017 წლის 8 მარტს საჯაროდ გამოვედი სიტყვით სილამაზის სტანდარტების შესახებ. უცნობი პირის მიერ გადაღებული ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა – სამწუხაროდ და არც ისე მოულოდნელად – ნეგატიური. მეორე დიდი ტალღა ჩემი თმიანი იღლიის სურათს უკავშირებდება, რომელიც face-book-ზე საჯაროდ გამოვაქვეყნე. ამ მოვლენებმა ცალსახად გამოიწვიეს ჩემი მარგინალიზება სოციუმში და ფართო მასებში. სილამაზის სტანდარტების თემასთან დაკავშირებით კამათი მომივიდა რამდენიმე აქტივისტთანაც მაშინ, როცა მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ეს თემა „არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი", რომ დღის წესრიგი სხვა თემებს უნდა ეკავოს, რომ სილამაზის სტანდარტები „საშუალო და მაღალი კლასის ქალების პრობლემაა". მიუხედავად იმისა, რომ ვახერხებ, ვიწრო წრეებში კამათისას ავხსნა და თვალსაჩინო გავხადო ამ მოსაზრებების სიმცდარე, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ვერ მოხერხდა ამ თემაზე სერიოზული მუშაობის დაწყება. პრობლემა

არსებობს, მისი წამოწევა შესაძლებელია, თუმცა იმისთვის, რომ ამ თემაზე ხუმრობა და ქილიკი დასრულდეს, საჭიროა უფრო სისტემური მუშაობა, საზოგადოებას პასუხად უნდა დავახვედროთ სტატიები, აკადემიური ნაშრომები, რომლებიც არგუმენტირებული მსჯელობით ახსნიან პრობლემის რეალურ არსს.

ჩემი მთავარი მიზანი შევასრულე – მოხდა საზოგადოების თვით-ლუსტრაცია, წარმოჩინდა პრობლემის მასშტაბები და სიმძიმე. მთელი ერი ჩემი იღლიის გარშემო გაერთიანდა შეურაცხყოფის მოსაყენებლად და დასამცირებლად – როგორ გავბედე და იღლიაში თმა გავიზარდე, და, ყველაზე მთავარი – ეს გავასაჯაროვე. ამ ფაქტმა ნათელი გახადა სოციუმის მხრიდან ქალის სხეულზე დაწესებული კონტროლის ხარისხი – ჩვენ ჩვენი ბეწვის სიგრძესაც სოციუმი გვიწყვეტს, გვაიძულებს, გამუდმებით ვისწრაფოდეთ დაწესებული სტანდარტებისკენ. კულტურა ხომ ქალებისგან უმთავრესად და ხშირად მხოლოდ გარეგნობას და სილამაზეს მოითხოვს; ქალი აღქმულია, როგორც სამკაული და ატრიბუტი, რომლის მთავარი დანიშნულებაა მამაკაცი დაატკბოს და დაამშვენოს.

ჩემთვის გათავისუფლება უპირველესად სწორედ საკუთარი სხეულების დაბრუნებით იწყება. ჩვენ უნდა მოვიპოვოთ დამოუკი-დებლობა და კონტროლი საკუთარ სხეულებზე! უნდა ავჯანყდეთ იმ სტანდარტების, ნორმებისა და სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს სხეულებს ჩვენივე ჩაგვრის იარაღად იყენებს, რომელიც გვაიძულებს, ვისწრაფოთ დაწესებული/შემოთავაზებული იდეალისკენ, რომელიც ჩვენი დაბალი თვითშეფასებით იკვებება. ქალებმა უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენი დაბალი თვითშეფასებით ხეირობს არა მხოლოდ სილამაზის ინდუსტრია და მასში ჩართული ბიზნესები, რადგან რაც უფრო მეტად დავეჭვდებით ჩვენს სილამაზეში, უფრო უკეთესად გაეყიდებათ პროდუქტი (პლასტიკური ქირურგია, ეპილაცია, სოლარიუმი და ა.შ), არამედ, განსაკუთრებით ხეირობს ამისგან პატრიარქატი – ქალების ენერგიის ძირითადი ნაწილი მიმართულია ამ იდეალის მიღწევის მცდელობისკენ. ამასთან, ეს პრობლემა განსაკუთრებით აწვება იმ გოგოებს და ქალებს, რომლებიც დაბალ ეკონომიკურ ფენას წარ-მოადგენენ. სილამაზის სერვისებზე ხელმისაწვდომობა დამატებით თანხებს უკავშირდება და ხშირად ფუფუნების საგანს წარმოადგენს, ისინი კი, ვისაც საშუალება არ აქვს, თავი ამ მხრივ დაიმკვიდროს,

ხშირად, სხვადასხვა სახის ბულინგის, დამცირების და გარიყვის მსხვერპლნი ხდებიან.

სილამაზის სტანდარტები, რომელიც გაცილებით უფრო ფართო პრობლემის, ქალის სხეულის კონტროლის ერთ–ერთი მაგალითია, ჩვენს ყოველდღიურობას განსაზღვრავს. შესაბამისად, ამ თემაზე ქილიკი და მისი მნიშვნელობის არდანახვა, დიდი შეცდომა მგონია. ვიმედოვნებ, რომ გამოჩნდებიან ჯგუფები, რომლებიც ამაზე სისტემატურ და საფუძვლიან მუშაობას დაიწყებენ, ჩემთან კი იგი ნამდვილად დარჩება მოწინავე ადგილზე – ახლა მხოლოდ პერსონალური გამოცდილების შედეგად გაჩენილ ნააზრევად. სამომავლოდ, იმედია,, უფრო სიღრმისეულად შევისწავლი მეც.

გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები

დღევანდელი ფემინისტური მოძრაობის მთავარი გამოწვევა შიდა კონფლიქტები და დაპირისპირებები მგონია. ერთ–ერ–თი მთავარი პრობლემა, რომელსაც უნდა ვებრძლოთ შიდა ფემი–ნისტურ წრეებში, არის ერთმანეთისთვის დღის წესრიგების გან–საზღვრა და მნიშვნელობის დაკნინება იმ ჩაგვრებისა და პირადი გამოცდილებებისთვის, რომელსაც თითოეული ჩვენგანი განვიცდით, განგვიცდია და რამაც მოგვიყვანა აქტივიზმში. მხოლოდ ერთმანეთის სატკივარის და პრობლემების, „დღის წესრიგების" გააზრებით და მათი მხარდაჭერით შევძლებთ წარმატების მიღწევას. რა თქმა უნდა, ჩვენი ბრძოლები განსხვავდება, ჩვენი მეთოდებიც მათ შორის – ეს ასეც უნდა იყოს – მთავარია, ერთმანეთს საქმის კეთებაში არ შევუშალოთ ხელი. ამასთან, აქვე ვიტყვი, რომ კრიტიკა აუცილებელია. ჩვენ გვჭირდება, მოვისმინოთ არგუმენტირებული, დასაბუთებული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ სად და როდის, რომელი მეთოდის გამოყენებით შეგვიძლია, უფრო მეტად მივაღწიოთ წარმატებას. მაგრამ კრიტიკა ვერ იქნება ერთმანეთის გვერდით გაწევა და ჩაჩოჩება. ამასთან, ისიც უნდა გავიაზროთ, რომ არ არის საჭირო, ვთანხმდებოდეთ, არ არის საჭირო ერთნაირ მეთოდებს ვიყენებდეთ, ერთ ჯგუფებში ვერთიანდებოდეთ. საჭიროა მხოლოდ სოლიდარობა – იმის გააზრება, რომ არჩეული გზების მიუხედავად, ერთ მიზანს ვემსახურებით; რომ ძალიან ცოტანი ვართ და ერთმანეთს ვჭირდებით. ფემინიზმის მრავალფეროვნების შენარჩუნება მნიშვნელოვანია, თუმცა, საჭირო დროს და ადგილას უნდა

შეგვეძლოს გაერთიანება, რადგან ცვლილებებს ხშირად ვჭირდებით ყველა ერთად!

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, აქტივისტების გადაღლას/გადაწვას (burn out-ს) უკავშირდება. აქტივისტობა არ არის სამსახური, რომელსაც 6-ზე ამთავრებ. ის ჩვენი იდენტობის ნაწილია და ჩვენგან ძალიან ხშირად 24-საათიან რეჟიმში მოითხოვს ჩართულობას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალური მედიის ეპოქაში, სადაც ინტერნეტ აქტივიზმის ფორმებია გააქტიურებული. ამასთან, ადამიანური რესურსის ნაკლებობა იწვევს მნიშვნელოვანი საკითხების მხოლოდ რამდენიმე ქალზე კონცენტრირებას. მთელი წელი ამ დაძაბულ, ბრძოლის რეჟიმში ყოფნა ძალიან გვფიტავს და ემოციურად გვღლის. ამჟამად, ჩემს ახლო მეგობარ ფემინისტ აქტივისტებში, ემოციურ და ფიზიკურ გამოფიტვას და გადაღლას ტოტალური ხასიათი აქვს. პრობლემა საკმაოდ მძაფრია და პირველ რიგში, ისევ ჩვენგან მოითხოვს ამის გააზრებას და ყურადღების მიქცევას. გამოსავალი წასვლა არაა, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ეს სამსახური არაა, სადაც განცხადებას დაწერ და პოზიციას დატოვებ. ფემინისტობა, აქტივისტობა იდენტობის ნაწილი ხდება და მას ყველა სივრცეში შენთან ერთად ატარებ. შეუძლებელია, ერთ დღეს დაღლილმა გადაწყვიტო, რომ თვალს დახუჭავ, რომ გაჩუმდები, რომ ვეღარ შეამჩნევ, რომ შეეგუები. პირადად ჩემთვის, ეს შეუძლებელია. გამოსავალი მხოლოდ აქტივობების ფორმის ცვლილებაში ან დროებით „ტაიმ-აუტშია". ხანდახან ძალიან გვჭირდება, თუნდაც ცოტა ხნით, თავს უფლება მივცეთ, დავისვენოთ და მოწინავე ხაზებზე აღარ ვიდგეთ. აუცილებელია, გავიაზროთ, რომ უფლება არ გვაქვს, საკუთარ თავებს არ გავუფრთხილდეთ. ჩვენ ძლიერები და ჯანმრთელები ვჭირდებით ერთმანეთს.

აქვე, ძალიან მოკლედ მინდა შევეხო პრობლემას, რომელსაც მაშინ შევეჯახე, როცა მინდოდა არაფორმალური საინიციატივო ჯგუფი შემექმნა კონკრეტულ საკითხებზე მუშაობას. სამწუხაროდ, იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად ერთადერთი დაფინანსების წყარო ნჯო სექტორია, რომელიც უფრო ფორმალურ მეთოდებს იყენებს, ალტერნატიული მეთოდებისთვის და არაფორმალური ჯგუფებისთვის დაფინანსების მოპოვება ძალიან რთულია. გიწევს, აუცილებლად ერგებოდე შემოთავაზებულ ქოლს, ფორმას და ბევრ სხვა რეგულაციასა და წესს. რადგან აქტივისტებიც ადამიანები ვართ,

რომლებსაც ამ სისტემაში გადასარჩენად შემოსავალი გვჭირდება, გვიწევს ნჯო-ში დასაქმება, ხოლო ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შეთავსება ძალიან რთულია – არ გყოფნის არც დრო და არც ენერგია. სწორედ ამიტომ, გული მწყდება, რომ ჩვენთან არ არის კარგად განვითარებული არაფორმალური ფემინისტური ინიციატივები და სხვადასხვა მრავალფეროვანი მეთოდები, რომელთა გამოყენებაც შეგვეძლო. იმედი მაქვს, სტუდენტები და მომავალში შექმნილი სხვა საინიციატივო ჯგუფები შეძლებენ სხვა გზების გამოძებნას, ან/და ჩვენ მოვახერხებთ გამოსავლის პოვნას.

დასასრულისკენ ისევ შიდა პროცესებს და კონფლიქტებს შევეხები – ბოლო ორი წლის განმავლობაში, როგორც ქალთა მოძრაობის შიდა პროცესებზე, ასევე, ზოგადად ქართულ ფემინისტურ აქტივიზმზე დაკვირვებამ, ბევრი რამ მასწავლა – ვხედავდი, როგორ გამოიარა ქალთა მოძრაობამ რამდენიმე კრიზისი, შიდა დაპირისპირება, იყო და არის მრავალმხრივი კრიტიკის საგანი – ეს პროცესები ხშირად ძალიან მძიმე გადასატანი იყო ინდივიდუალური აქტივისტებისთვის. ამ ქარ-ცეცხლს და დაპირისპირებებს ბევრი რამ შეეწირა – პერსონალური ურთიერთობები და მეგობრობები, იყო ტკივილი, სევდა, ხშირად მო-უშუშებელი, ვინ იცის, სამუდამოც. ამასთან, როგორ ოპტიმისტურადაც არ უნდა ჟღერდეს, მგონია, რომ ამ ბრძოლებმა ქართული ფემინისტური აქტივიზმი წინ წასწია – აქტივისტებმა ბევრი რამ გადავიაზრეთ, კრიტიკის ნაწილი მივიღეთ, ბევრი რამ ამ კრიტიკის მიხედვით შევცვალეთ. და მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი, ღირდა თუ არა თითოეული ჩვენგანის მიერ გადახდილი ხარკი ამად, – ფაქტი ერთია – ამის გარეშე ვერც ფემინიზმი იარსებებს და ვერც წინ წავიწევთ.

და ბოლოს...

არ ვიცი, ვის ხელში მოხვდება ეს პუბლიკაცია, მაგრამ იმედია მიაღწევს ბევრ გოგომდე და ქალამდე. მოგვისმენენ, მოვლენ ახლოს და მიხვდებიან, რომ ეს ჩვენი ყველას ბრძოლაა; რომ ბრძოლის გარეშე ჩვენ ამ რეალობას ვერ შევცვლით; რომ ეს თითოეული ჩვენგანის ინდივიდუალური პასუხისმგებლობაა... საკუთარ თავთან ფემინისტური ქამინგ აუთი იწყება მაშინ, როცა ვიაზრებთ, რომ რეალობა, რომელშიც ვარსებობთ, სოციუმი, კულტურული ნორმები, მჩაგვრელია ქალის

მიმართ; როცა გადავწყვეტთ, რომ ეს ასე არ უნდა იყოს და იგი უნდა შევცვალოთ! მე არასდროს ვყოფილვარ ისეთი ძლიერი, როგორიც ახლა. ჩემთვის ფემინისტური ქამინგ აუთი გამოღვიძებას გავდა იმ სამყაროში, სადაც აღარ ვარ მარტო. მარტო, მჩაგვრელი სისტემის წინააღმდეგ. ჩვენ გვყავს ერთმანეთი და ერთად ყველა დაბრკოლებას გადავლახავთ. ქალების განმათავისუფლებელ ბრძოლას, ბრძოლას თანასწორობისთვის და სამართლიანობისთვის აუცილებლად მოვი–გებთ – ეს გარდაუვალი, შეუქცევადი პროცესია!

ფატიმა რომანოვა

მე ფატიმა რომანოვა ვარ, პასპორტით 25 წელს გადაცილებული, თუმცა თავს აღვიქვამ არაუმეტეს 20 წლისას და ეს იმიტომ, რომ ჩემი გენდერული თვითიდენტიფიკაცია დაიწყო 5-6 წლის ასაკიდან.

მე თბილისის და ზოგადად საქართველოს ტრანს თემის წარმომადგენელი ვარ. მე, სხვა ჩემ თანამებრძოლეებთან ერთად, ვცდილობ, მქონდეს დიალოგი ჯანდაცვის სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსთან და ასევე ვმუშაობ ხილვადობასა და ტრანს თემის აქტივობებზე.

მე ფემინისტი ვარ, ტრანსფემინისტი და ქვიარ აქტივისტი.

ჩემი პირველი ბრძოლა ამ დრაკონულ სისტემასთან ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში დაიწყო, იმ პერიოდში, როცა უკვე შესანიშნავად ვიაზრებდი იმას, თუ ვინ ვარ, რა მინდა და რას მოვითხოვ სხვებისგან.

როგორ დაიწყო ყველაფერი? დიდი ხნის განმავლობაში, სათითაოდ, ჯაჭვის რგოლების აღდგენა მომიწევს. თუმცა, კეთილი, ერთი მაგალითი და ყველაფერი აშკარა გახდება. წარმოიდგინეთ, როცა ხარ ასე 4-5 წლის, იცვამ დედიკოს ყველაზე ლამაზ კაბას, ისვამ პომადას და ბზრიალებ სარკესთან. თავი გგონია ყველაზე ლამაზი პრინცესა, ფერია. ისეთი ლამაზი, რომ მძინარე მზეთუნახავ ავრორას და ქალთევზა არიელსაც კი შეშურდებათ შენი. ამასობაში, ოთახში შემოდის შენი ოჯახის წევრი და ხედავს ამ სურათს. ჰაჰ, და აი ზუსტად ის პირველი ბრძოლა. ჯერ, რა თქმა უნდა, ფიზიკური და შემდგომ - სიტყვიერი.

უსიტყვო შემოლაწუნება სახეში. სასტიკად ულამაზესი კაბის შემოხევა. ჩემი მისამართით დაყვირება. ვინც კი შინაა, ყველას დაძახება. შეკრება ერთ ოთახში და ჯგუფურ-ხალხური დაცინვა. შერცხვენა. ცრემლები. ჩემი ცრემლები. ნაკბენი ტუჩი. სისხლი. ჩემი სისხლი. ხანგრძლივი მოსმენა იმის, რომ ასე არ უნდა მოვიქცე, რადგან ჩემი ოჯახის წევრებმა ჩემს გამო შერცხვენილებმა არ უნდა იარონ.

5 წუთი. 10 წუთი. 15 წუთი... კიდევ. კიდევ. ვუსმენ. შევწყვიტე

ტირილი. ავწიე თავი და აი აქ მოხდა ჩემი პირველი პროტესტი. ვთქვი. ხმამაღლა. ინფანტილურად, თუმცა გაბედულად: მე გოგო ვარ.

ასე დაიწყო და გაგრძელდა. ოჯახი. უბნის ბავშვები და მათი ოჯახები. სკოლა, დაწყებითი კლასები. უფროსი კლასები. შეიძლება, უკვე ვეღარ ვამბობდი, თუმცა უსიტყვოდ ვებრძოდი პატრიარქალურ სისტემას. ვიყავი გარიყული. ძალადობის ობიექტი. ბულინგის მსხვერპლი. მტკიოდა. მამტვრევდა. თუმცა ახლა მიხარია, რომ არ დავ-ნებდი. ვამაყობ, რომ გავუძელი.

სამწუხაროა, რომ ამ ბრძოლაში თავდაპირველად მარტო ვიყავი. ძლივსძლივობით შემეძლო სრულწლოვნებამდე საკუთარი თავის და-ცვა. არა, ერთეული მაგალითები კი მაქვს, როცა პატარა დაღრენილი ძაღლუკასავით ვცდილობდი სხვის დაცვას, ვინც ჩემსავით იჩაგრებოდა, თუმცა... არ მინდა ამაზე საუბარი: მაინც გამოვდიოდი სუსტი, მტყუანი და დამნაშავეც კი.

2013 წელი, 14 თებერვალი. ჰაერში „რომანტიკა" ტრიალებს – გულები, ბრჭყვიალები, ვარსკვლავები და მიაუმიაუები. ეს ყველაფერი დიდად არ მომწონს და არც ისე მხიბლავს, რადგან სიყვარულს კონკრეტული დღე არ სჭირდება. შევდივარ ფეისბუქზე და ვხედავ მოწვევას რაღაც საინტერესო ღონისძიებაზე, სახელწოდებით V-Day. ინფორმაციაში წერია „ჩვენ ვცეკვავთ ძალადობის წინააღმდეგ". მა-შინვე მივხვდი, რომ იქ უნდა ვყოფილიყავი. ჰოდა, მითითებულ დროს და ადგილას, იქ მივედი. ვიდექი მარტო და არავის არ ვიცნობდი გარდა რამდენიმე ადამიანისა. ჩაირთო მუსიკა და მე ჩავვარდი ე. წ. ტრანსში. სიამაყით და ერთდროულად გაშტერებით ვუყურებდი ცეკვას. გოგოები თეთრ მაისურებში ცეკვავდნენ. ცეკვავდნენ ამაყად, გაბედულად. ძლიერი გოგოები. მათ საჯაროდ გამოუცხადეს ძალადობას და ჩაგვრას –არა!

იმ წამს მივხვდი, რომ მეც ამ ბრძოლის ნაწილი ვიყავი და უნ-და უფრო გავძლიერებულიყავი და გამეძლიერებინა ბრძოლა ამ საშინელი, დრაკონული პატრიარქალური სისტემის წინააღმდეგ. თავ-დაპირველად კი, იყო ჩემი ბრძოლა მასობრივი სცენებით დაიწყო, აქციებში და მსვლელობებში მონაწილეობით. თუმცა, დღეს მე ხმა-მაღლა ვლაპარაკობ და ვიბრძვი. არა – ქალზე ძალადობას!

აქტივიზმი

საქართველოში ტრანს თემის მიმართ დამოკიდებულება არის ნეგატიური. ტრანს ქალი თუ ტრანს კაცი – არ აქვს მნიშვნელობა: ერთიც და მეორეც ერთნაირად არ ჯდებიან „ნორმაში". ტრანსფობია იკითხება ყველგან და ყველანაირ ასპექტში. ოჯახი, საზოგადოება, სამსახური, ჯანდაცვის დაწესებულებები – მას აწყდები ყველგან.

ხშირად მიწევს ჩემი გენდერული იდენტობის დამალვა, რადგან არსებობს გარკვეული შიში. არა იმიტომ, რომ მეშინია, მე რამე დამემართოს, არამედ იმიტომ, რომ მეშინია, ოჯახი არ დავაზიანო – მე მყავს ძმის და დის მცირეწლოვანი შვილები. ადამიანები ზოგადად ბოროტები არიან, სჩვევიათ შურისძიება, ოჯახი არ იქნება უსაფრთხოდ.

მე აქტივისტი ვარ, ღიად გამოვდივარ, ვლაპარაკობ არამარტო ტრანს თემის სახელით, არამედ ლგბტ+თემის პრობლემებსა და საჭიროებებზე, მაგრამ მე ყოველთვის არ შემიძლია ჩემი სახელით როგორც ტრანსგენდერი ქალის სახელით, საუბარი.

საქართველოში ყალიბდება გარკვეული სტერეოტიპები, რომლებიც შემდგომ სტიგმის ფორმირებას ახდენენ. ტრანს კაცები იშვიათად კავდებიან კომერციულ სექს სამუშაოთი, ტრანს ქალები – ხშირად. ქალები ხდებიან შეურაცხყოფის მსხვერპლები, დისკრიმინაციის – ჰეტეროსექსუალი და სისგენდერი მამაკაცების მხრიდან: ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა სახლშიც, ინტერნეტშიც.

საქართველოში ტრანს ქალები განიცდიან გაცილებით მეტ ფსი-ქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, ვიდრე ლგბ თემი. სამწუხაროდ, ეს ასეა. ტრანს ადამიანებს აქვთ განსხვავებული თვითგამოხატვა, ამიტომ ტრანს თემის შიგნითაც არ არის ერთიანობა.

მე შემიძლია, ვატარო წვერი, არ ვიარო ყოველდღიურად ეპილაციის გასაკეთებლად, ამასობაში მესვას ტუჩსაცხი და ვატარებდე გრძელ გაშლილ თმას. ეს არასისნორმატიულია და არაჰეტერონორმატიულია. ეს იწვევს აგრესიას.

ოჯახი

საქართველო კავკასიაა – აქ ოჯახი არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტი და მას აქვს თავისი პირობები და ნორმები. ძირითადად აქ ფიგურირებს სექსიზმი. ქალები თამაშობენ მეორეხარისხოვან როლს.

ეს ბალასტი, ზედმეტი მძიმე ტვირთია, რომელიც კაცმა უნდა ათრიოს: „აი გათხოვდები, ქმარი მოგხედავს, ღმერთო, ოღონდ პირველი ვაჟი შეგეძინოს“ და ა.შ. ნაკლებად ფასდება ქალის შრომა და საქმიანობა ოჯახში – ეგ „ვალდებულებაა“.

აქ ძალიან ხშირად ხდება დანაშაულები სიძულვილის ნიადაგზე, ყვავის სექსიზმი. ქმრები, მამები, ძმები, ვაჟიშვილები ქალებზე მუდმივად ძალადობენ.

მაგრამ, დღესდღეობით, ჩემი ოჯახი – ჩემი სიამაყეა, ჩემი სიმდიდრე. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მან მე მიმიღო. მე ყოველთვის ვიზრუნებ მასზე. ჩემთვის მთავარია, რომ ოჯახის წევრები არ იყვნენ ცუდად. ჩემმა ოჯახმა იცის ჩემი გენდერული იდენტობის შესახებ. ჩემი დები, ძმები, დედა ძალიან მეხმარებიან და გვერდში მიდგანან ნებისმიერ წამოწყებაში. თუმცა, მამასთან ამ საკითხში ცოტა რთული ურთიერთობა მაქვს. ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ გლობალურ პრობლემებზე, გენდერული იდენტობისგან მოშორებულ თემებზე. პირადზე ლაპარაკი მასთან საშიშია – ეს ადამიანი არის საბჭოური აღზრდის, ჰომოფობი და ტრანსფობი.

რაც შეეხება ჩემს პირად ოჯახს, ვიცი, რომ მე მეყოლება პარტნიორი და მასთან ოჯახს შევქმნი. ის არ იქნება არც ჰეტერონორმატიული და არც სისნორმატიული. არც მჭირდება, რომ იყოს დარეგისტრირებული ქორწინება. ქორწინება მჩაგვრელი აქტია. იყოს ჩვენი ოჯახი არა-ტრადიციული, – მაგრამ ჩვენ ვიქნებით ბედნიერები.

ინსტიტუცია

ტრანს ქალების უმეტესობა სექს ინდუსტრიაშია ჩართული. ზოგს ჰყავს მფარველი, ზოგი მუშაობს საკუთარ თავზე. ისინი ან ქუჩებში, ე. წ. პლეშკებზე დგანან, ან ინტერნეტის მეშვეობით მუშაობენ. იღებენ არც ისე ცოტა ანაზღაურებას, მაგრამ არც ისე ბევრს, რომ დაიწყონ სქესის კორექცია (ტრანზიცია).

არიან ქროსდრესერები, რომლებიც ამას მხოლოდ ფულის საჭიროების გამო აკეთებენ. საპირისპირო სქესის ტანსაცმელს ჩაიცვამენ და მუშაობენ. ისინი არ არიან ტრანსგენდერები, თუმცა, საკუთარ თავს იმის უფლებას აძლევენ, რომ ილაპარაკონ ტრანსგენდერი ადამიანების სახელით, როცა არც კი არიან სათანადოდ გაცნობიერებულები ამ საკითხებში და არ იციან რეალური პრობლემების შესახებ. ეს საწყენია.

მე თვითონ, გარკვეული პერიოდი აქტიურად ვიყავი ჩართული ამ

სისტემაში. ძალიან მტკივნეული იყო ჩემთვის, როცა ვხედავდი, როგორ პასუხობდნენ კლიენტების შეკითხვებს ე. წ. გადაცმულები და ამბობდნენ, რომ ისინი ტრანსგენდერები არიან. არა, არავის ვზღუდავ და არავის არ ვუწყვეტ გენდერს, თუმცა იმისთვის, რომ თქვა, რომ ტრანსგენდერი ხარ, ამ საკითხის შესახებ მცირე ინფორმაცია და განათლება მაინც უნდა გქონდეს. ზოგი ტრანსგენდერობას იბრალებს იმისთვის, რომ მეტი კლიენტი მოიზიდოს. მიდიან რადიოში, ტელევიზიაში და ლაპარაკობენ იმაზე, რაზეც არ გააჩნიათ არანაირი ინფორმაცია და ცოდნა. გენდერული განათლების მათი დონე ძალიან დაბალია.

სექს ინდუსტრია საქართველოში წამგებიან პოზიციაშია. იწერება ძალიან ბევრი ჯარიმა. გადაყავთ КПЗ-ში – ქალები რამდენიმე საათით აკავებენ კიდეც იმის გამო რომ ისინი ღამის საათებში მუშაობენ.

როდესაც მე ვიყავი სექს მუშაკი, მე მაყენებდნენ შეურაცხყოფას, მცემდნენ. ყოველთვის ვიყავი დაუცველი. შეეძლოთ წავეყვანე „მოვალეობის შესასრულებლად“, კლიენტებს არ მოეცათ ფული და ვეცემე. გაუპატიურების შემთხვევები მე პირადად არ მქონია სექს მუშაკობის პერიოდში, თუმცა ჩემ თანამშრომლებს ჰქონდათ. სამაგიეროდ, მქონია ფიზიკური ძალადობის შემთხვევები. ძალიან მტკივა და მწყინს ამის გახსენება.

ძალიან ბევრი ნაიარევი დამრჩა იმ პერიოდიდან. ძალიან ბევრ ნაცნობ სექს მუშაკს ჩემსავით აქვთ ნაიარევები. და ფიზიკურის გარდა, სულიერი ნაიარევი რამდენია?!

დღესდღეობით, მე აღარ ვარ აქტიურად ამ ბიზნესში, მაგრამ მეგობრული ურთიერთობები ბევრ ტრანს სექსმუშაკთან შემომრჩა. ისინი ისევ დაუცველები არიან. იმის მიუხედავად, რომ ფული აიღება წინასწარ, ცემის შემდეგ, მოძალადე „კლიენტი“ ართმევს უკან ფულს. მსგავსი ფაქტები ხშირია. ძალადობა მოდის ყველა მხრიდან – კლიენტებისგან, ჩვეულებრივი გამვლელისგან, პოლიციისგან.

ორი აქცია

მინდა დავბრუნდე 2013 წელში. 17 მაისს, როდესაც ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღესთან დაკავშირებით, აქციის ჩატარებას ვაპირებდით. და რა? სწორედაც აღვნიშნე – ვაპირებდით, რადგან აქცია ვერ ჩატარდა. ვერც კი მოვასწარით ცისარტყელის დროშის ფერების ზოლებად ფლეშმობის გასაკეთებლად დადგომა, რომ კონტრ-აქციის მონაწილეებმა, სასულიერო პირების მეთაურობით,

გაარღვიეს პოლიციის კორდონი, მუშტებით შევარდნენ. პოლიცია აზრზე არ იყო, რა გაეკეთებინა, და რამდენიმე წუთით ვერ გადაწყვიტა, გაეგრძელებინათ იმის ყურება, რაც ხდებოდა, თუ დაგვხმარებოდა ჩვენ, აქციის მონაწილეებს.

ყვირილი მომესმა, რამაც ძალიან შემაშინა და მაიძულა, შევ-ბრუნებულიყავი იქით, საიდანაც მორბოდნენ ჯერ ჩვენი აქციის მო-ნაწილეები, მერე პოლიციელები. ისინი ყვიროდნენ, რომ ავტობუსებში გავქცეულიყავით. პოლიციელების შემდეგ მორბოდა მთელი კონტრ-აქცია. გულში უკვე ვემშვიდობებოდი მშობლებს, ყველა ჩემს ნა-თესავს და მეგობარს, იმიტომ, რომ უკვე მზად ვიყავი – ან ქვებით ჩაგვქოლავდნენ, ან დაგვგლეჯდნენ შიშველ ხელებით. ესეთი აგრესია, სიძულვილი, არასოდეს მინახავს, ალბათ – მხოლოდ წიგნებში, ეშმაკის გამოსახულებებზე...

მიპასუხეთ, როგორ შეიძლება, რომ მამაომ ან სხვა სასულიერო პირმა, ვითომ ღმერთის სახელით, კურთხევა მისცეს ხალხს იმისთვის, რომ აქციის მონაწილეები ჩაქოლონ? ბოლოს და ბოლოს, თუკი ღმერთი არსებობს და ყველა ღმერთის შვილია, მაშინ ჩვენც, ლგბტ ადამიანები, ღმერთის შვილები ვართ. ნუთუ ღმერთს უნდა, რომ ერთი ადამიანი გამოვიდეს და მეორე სცემოს, დაჭრას ან მოკლას მხოლოდ იმის გამო, რომ ის განსხვავებულია?

რატომ არ გამოდის ამდენი საქართველოს „ზნეობის" დამცველი მილიონობით უსახლკარო ბავშვის დასაცავად? რატომ არ ახსოვს გა-ჭირვებული მოხუცები? რატომ არ გამოდიან მკვლელობების და გა-უპატიურებების საწინაარმდეგო აქციებზე ან გარემოს დაცვის და გამწვანების აქციებზე ასე მრავლად?

17 მაისის შემდეგ, ქუჩაში გასვლა საშიში იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში ხალხი აგრესიულად იყო განწყობილი: ადამიანები გამოდიოდნენ ლგბტ თემის წარმომადგენლების საძებნელად, იმი-სთვის რომ ეცემათ ისინი, ანდა მოეკლათ. დღემდე ვერ ვივიწყებ, როგორ გამისწორდნენ ფიზიკურად და როგორი ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა გადავიტანე სამი დღის განმავლობაში.

17 მაისს აქციის შემდეგ მცემეს. ცოტაღა დამაკლდა იმისთვის რომ მივსულიყავი სახლამდე, სადაც მე ვცხოვრობდი. მეორე დღეს მინდოდა, ჩემი მშობლების მონახულება, დამემშვიდებინა ისინი და მეჩვენებინა, რომ ცოცხალი ვარ. უბნის ბიჭებმა დამიჭირეს, რომლებიც ბავშვობიდან მიცნობდნენ, იცოდნენ, ვინც ვიყავი. ტელევიზორში

მნახეს, რომ აქციაზე ვიყავი, მცემეს, სანთებელათი თმა დამიწვეს. მას შემდეგ, დღემდე, კიდევ განვიცდი სოციოფობიას.

19 მაისს, როცა ამ მოვლენების შემდეგ პირველად გავედი სამსახურში, მე იქიდან გამიშვეს, სიტყვებით: „შენ პიდარასტკა ხარ, პიდარასტების აქციაზე იყავი, როგორ გიძლებთ დედამიწა, მოკვდი“.

აქციამ გვიჩვენა, რომ უმეტესობა ჩვენი ეკლესიის წარმო-მადგენლების გულმოდგინებით აღვივებს ხალხში სისასტიკეს და ჰომოფობიას: სასულიერო პირები მოუწოდებდნენ მრევლს, რომ ისინი გამოსულიყვნენ გარეთ და გაგვსწორებოდნენ ჩვენ. სისასტიკე მოდის ეკლესიის მსახურების მხრიდან. მე მჯერა, რომ ბიბლია გვასწავლის სიყვარულს და ერთმანეთის მიმღებლობას. მაგრამ, როგორც აღ-მოჩნდა, მისი წაკითხვა სხვანაირადაც შეიძლება. სამწუხაროდ, მაგრამ როგორც „ყოფილმა“ მორწმუნემ, შემიძლია ვთქვა, რომ დავკარგე ეკლესიის რწმენა, მაგრამ არ დავკარგე საკუთარი თავის რწმენა.

გარკვეული პერიოდი, სახლიდან არ გამოვდიოდი: მიმიმართავს ფსიქოლოგისთვის, ვიჯექი დამამშვიდებლებზე, ტრანკვილიზატორებზე. თუმცა მალე დავუბრუნდი ჩემს საქმიანობას. გამოვდივარ აქციებზე, კონფერენციებზე. მას შემდეგ, გავიდა უკვე 4 წელზე მეტი და მე ვაგრძელებ აქტივიზმს.

8 მარტი. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, აღნიშნავენ ე. წ. ქალთა საერთაშორისო დღეს. პატრიარქალური საზოგადოება საღამოს იკრიბება სუფრასთან, სვამს დაუსრულებელ სადღეგრძელოებს ქალებზე. ყველაზე სასაცილოა და გაუგებარი კაცების რეაქცია ამ დღეზე, როცა ისინი ყიდულობენ გაზეთში გახვეულ ყვავილებს, ძალიან სწრაფად ნაყიდი საჩუქრებსა და სხვა ბუტაფორიას. ეს მახინჯი მცდელობაა, ქალმა იგრძნოს თავი ქალად. და ეს მხოლოდ 8 მარტს ხდება, როცა რეალურად ასე უნდა იყოს ყოველდღე და არა – წელიწადში ერთხელ. ეს დღე არ უნდა ასოცირდებოდეს მხოლოდ ყვავილებთან და ზედმეტ დასვენების დღესთან, იმ დროს, როცა თავდაპირველი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა ამ თარიღისა რჩება ყურადღების მიღმა. 8 მარტი არის ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე. მაშასადამე, მე არ მჭირდება ყვავილები, მე მჭირდება უფლებები.

2017 წლის 8 მარტი. ძალიან ვნერვიულობ. გვაქვს მსვლელობა. ქალთა მარში ფილარმონიიდან, პარლამენტის შენობამდე, სადაც გვექნება აქცია და ერთ-ერთი გამომსვლელი ვარ მე.

თავზე მოხვეული თავშალი. მხრებზე ტრანს დროშა. ამაყი ნაბიჯებით ვმონაწილეობ მსვლელობაში. ვიჭერ ჩემკენ მომართულ ხან ზიზღის, ხან გაკვირვებულ მზერებს. გვესმის სხვადასხვანაირი რეპლიკები ჩვენი მისამართით. როგორ გავბედეთ ქალებმა და გამოვედით ქუჩაში, როგორ გავბედეთ ხმამაღლა ლაპარაკი ჩვენს პრობლემებზე? ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ მამაკაცები დაგვცინოდნენ და მობილური ტელეფონით გვიღებდნენ. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია. ეს ჩვენი დღეა. ამაყად მივდივართ. რაც უფრო ვუახლოვდებით პარლამენტის შენობას, მით უფრო იმატებს ჩემში ნერვიულობა. მიშრება პირი. გული ამოვარდნაზე მაქვს. ვკანკალებ ნერვიულობისგან, რომ ახლა მალე უნდა გამოვიდე ქალაქის ცენტრში, ხალხის წინაშე და მიკროფონში უნდა ხმამაღლა ვთქვა ის, რომ მე ვეწინააღმდეგები ტირანულ პატრიარქალურ სისტემას, რომელსაც ემსხვერპლა ჩემი დები. ჩემი ტკივილი.

ვუსმენ ჩემს წინ გამომსვლელებს და ვხვდები, რომ მათი სიტყვები მაძლიერებს, იმის მიუხედავად, რომ მეშინია ხალხმრავლობის. დილით დედამ მითხრა, რომ ეშინია ჩემი აქციაში მონაწილეობის. ამასობაში დადგა ჩემი გამოსვლის წუთი და ვხვდები, რომ რაც წინასწარ მქონდა დაგეგმილი სალაპარაკო, ჩვეულებრივად ამომივარდა თავიდან ნერვიულობისას. ვიწყებ ლაპარაკს და ვხვდები იმას, რომ მე მტკივა ეს დღე, რომ ირგვლივ უსამართლობაა და ტრანს ქალები არ ვართ ბედნიერები. ვიწყებ ტირილს. ოჰ, ეს ცრემლები. არ მიყვარს ტირილი. დიდი ხანია, გადავეჩვიე ტირილს, თუმცა, ეს ცრემლები იყო ყველაზე გულწრფელი ჩემს ცხოვრებაში. თანდათანობით ვხვდები, რომ მე ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ გულით, ღირსეულად – იმაზე რაც მე მტკივა. მე მტკივა ტრანსფობია!

ზუსტად მარტის თვეში, ყველაზე მწვავედ მტკიოდა. გარდა 8 მარტისა, ვიყავი ერთი მშვენიერი პროექტის მონაწილე, „ქალები საქართველოდან“. ჩემს ულამაზეს ფოტოებს და ჩემი ცხოვრების ისტორიას დასცინოდნენ. მაგინებდნენ და შეურაცხყოფას მაყენებდნენ. ამხელა კიბერბულინგს და სტრესს ძალიან მძიმედ ვუმკლავდებოდი. მხოლოდ სუიციდზე არ მიფიქრია, დანარჩენ ყველანაირ რადიკალურ ქმედებებზე მზად ვიყავი. ძლივს გადავიტანე ამხელა სტრესის პირველი ტალღა და მზად ვიყავი აგრესიის მეორე ტალღისთვის, ჩემი გამოსვლის შემდეგ. თუმცა, მე გამოვიმუშავე გარკვეული იმუნიტეტი. არც ვკითხულობდი და არც ვაქცევდი ყურადღებას კომენტარებს. თუმცა,

ქუჩაში უზრდელი შეძახილები ჩემი მისამართით მაინც მწყინდა. მე ქალი ვარ, თუმცა ტრანსფობი საზოგადოება ჩემს გენდერულ იდენტობას მეორეხარისხოვან რამედ თვლის. მუდმივად ომში ვარ, მაგრამ შეტევაზე არ გადავდივარ. თავს ვიცავ მშვიდობიან დროსაც კი. ეს მწარე რეალობაა, თავისი ლურსმნებით და სისხლით, წამებითა და საშინელი მსხვერპლებით. იყო ტრანს ქალი – ნიშნავს, მუდამ ემზადებოდე ბრძოლისთვის ან სიკვდილისთვის, სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, რომელიც გადადის ფიზიკურში. ან იბრძვი, ან სასტიკად განადგურებენ. არ არის გამორიცხული, რომ სანამ ეს ბრძოლა კიდევ არსებობს, მეც გამანადგურებენ, მაგრამ ეს ხომ უკეთესია, ვიდრე – დატოვო სამყარო საკუთარი ნებით. მე გავაგრძელებ ბრძოლას. ჩვენ გავიმარჯვებთ!

მჯერა სიყვარულის ძალის

ოპტიმისტი ვარ. ინფანტილური ვარ და ეგ მახარებს, რადგან ეს მშველის, ვიცხოვრო მეტ-ნაკლებად მშვიდად. ძალიან ემოციური ვარ. შემიძლია, ვინერვიულო წვრილმანებზეც, მაგრამ მალე ვმშვიდდები, უფრო სწორედ, ვიმშვიდებ თავს. ძალიან აქტიური ადამიანი ვარ და ბედნიერი. მყავს საოცარი მეგობრები, ბევრი ამხანაგი და ნაცნობი. გარდა იმისა, რომ აქტივისტი ვარ, ვმუშაობ სოციალურ მუშაკად და მიმტანად. შრომისმოყვარე ვარ.

ძალას მაძლევს სიყვარული – ჩემი ოჯახისგან, მეგობრებისგან, თანამშრომლებისგან და ჩემი თანამებრძოლებისგან. მე ორი ოჯახი მყავს, ჩემი ბიოლოგიური ოჯახი და ქვიარ ოჯახი, რომელშიც ყოველთვის არის იგივე სითბო, სიყვარული და ალერსი, რაც სახლში. აქ ისევე, როგორც სახლში, ყველას თავისი როლი აქვს. ეს მეხმარება, რომ უფრო ვეცადო და მჯეროდეს მომავლის. მე მჯერა სიყვარულის ძალის.

თავის დროზე, ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა უწოდა საქარ-თველოს თავისუფლების ჩირაღდანი, გულისხმობდა რა იმას, რომ საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა კავკასიაში რომელიც ყველაზე ტოლერანტულია, რომ აქ სიმშვიდეა, მაგრამ მე ასე არ ვთვლი.

ჩემთვის, ჩემი ახლობლებისთვის, მათთვის, ვისი სახელითაც მე ვსაუბრობ, ეს არის ტრანსფობიის ტერიტორია.

საქართველოში არის ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელშიც ნახსენებია სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, თუმცა

ის არ მოქმედებს, მხოლოდ ფურცელზე დაწერილი სიტყვებია: რეალურ ცხოვრებაში ყვავის ქსენოფობია!

ხანდახან მეშინია წარმოვიდგინო ის, თუ რა გველის. გავიმეორებ, მე ოპტიმისტი ვარ და ჩემი მეგობრებიც, კოლეგებიც ოპტიმისტები არიან, ჩვენ გვჯერა უკეთესის, მაგრამ დღეს – საშიშია.

ბრძოლა გრძელდება!

ტრანზიცია

საქართველოში თუკი გაქვს „ტრანსგენდერის მოწმობა", საბუთებს მაინც არ ცვლიან. უნდა გაიარო ტრანზიციის ყველა საფეხური, სტერილიზაციამდე. ზოგ ტრანსგენდერს აქვს სამედიცინო ჩვენებები, რომ არ გაიაროს ტრანზიცია, ზოგს არ გააჩნია საკმარისი ფინანსები, ზოგს კიდევ არც აქვს სურვილი, რომ გაიაროს ყველა საფეხური.

მე ინტერსექსი ვარ XXY ქრომოსომით, ე. წ. კლაინფელტერის სინდრომით. ხანდახან მე მომწონს მასკულინურად ჩაცმა და ეს იწვევს ეჭვს, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ქალი ვარ. მე ვიცი, რომ ვარ ქალი.

საბუთების შეცვლის პირობებს არ აქვს ადამიანური ხასიათი, რეპრესიულია უფრო, იგი არ ითვალისწინებს ტრანს ადამიანების ინტერესებს. ერთ-ერთმა ჩვენმა ორგანიზაციამ რეკომენდაციებით მიმართა იუსტიციის სამინისტროს, მოთხოვნით, რომ საბუთების შეცვლა მოხდეს „ტრანს მოწმობის საფუძველზე, რომელიც გაიცემა კომპეტენტური სპეციალისტებისგან შემდგარი კომისიის მეთვალყურეობის შედეგად. დღესდღეობით, სამინისტროსგან პასუხი ჯერ კიდევ არ არის.

ჩვენ ვიბრძვით სიყვარულისთვის

ჩვენ გვაქვს სამწუხარო რეალობა, თუმცა უკან არ უნდა დავიხიოთ. ვიბრძოლოთ ცხოვრებისთვის. ღირსეული ცხოვრებისთვის. მომავლისთვის. თვითრეალიზაციისთვის. მე ვამაყობ თემის თითოეული წევრით, იმიტომ, რომ თითოეული ჩვენთაგანი – მებრძოლია, რომელიც ებრძვის სისტემას. ჩვენ ვიბრძვით სიყვარულისთვის. თუკი მივაღწევთ ბევრს, მხოლოდ სიყვარულის ძალის საშუალებით.

ალა პარუნოვა

ფრუსტრირებული ფემინისტის ჩანაწერი

როდესაც დღიურის წერა დავიწყე, მინ-დოდა დამეწერა ლამაზი ისტორია იმის შესახებ, თუ „როგორ გავხდი ფემინისტი“, როგორ წავიკითხე ელფრიდე იელინეკის რომანი „საყვარლები“ და როგორ გავიაზრე ის, რომ მეც ვიჩაგრები, როგორც ქალი, როგორ დავინახე მის მთავარ გმირებში ჩემი და სხვა გოგონებისა თუ ქალების სახე, ხოლო მთლიან სურათში – საქართველოს სიტუაცია. შემდგომ, როგორ გავიარე ღირებულებებისა და პატრიარქალური თუ მიზოგინიური დამოკიდებულებების გადააზრების ხანგრძლივი პროცესი და ბოლოს, როგორ ჩავერთე აქტივიზმში, როგორ ვცდილობდი და ვცდილობ, რომ ხმა მივაწვდინო საზოგადოებას და ზოგადად როგორ ვიბრძვი ცვლილებებისთვის. ასევე, მინდოდა, მეხსენებინა, როგორ გამაძლიერა ფემინიზმმა ინდივიდუალურად, როგორ შემცვალა და როგორ მიჩვენა ცხოვრების ახალი პერსპექტივა. ყველაფერი მართლაც ასე იყო. თუმცა, ცხოვრება და მით უმეტეს კაპიტალისტურ და პატრიარქალურ სისტემაში მცხოვრები არაჰეტეროსექსუალი, სომეხი, დაბალი კლასის წარმომადგენელი ქალის ცხოვრება ვერ იქნება ლამაზი, პრიალა და იდეალური.

წინასწარ დავწერ, რომ ეს არ არის გაბრაზებული ფემინისტის ანდა ძლიერი და ემანსიპირებული ქალის დღიური. ეს ჩანაწერი უფრო ფრუსტრირებული და დაღლილი ფემინისტის დღიურად შეიძლება ჩაითვალოს, ფემინისტის, რომელიც ცდილობს, გამოსავალი იპოვოს იმ მძიმე სიტუაციიდან, რომელშიც ახლა, როგორც აქტივიზმი, ასევე მთლიანად ქვეყანა იმყოფება. აქვე დავძენ, რომ ეს დღიური ვერ გამოდგება ინსპირაციისთვის, ამიტომ თუ ამ ნაწერს შთაგონებისთვის კითხულობ, მაშინ აქვე შეწყვიტე კითხვა, იმიტომ რომ ყველაზე შთამაგონებელი ნაწილი აქ წყდება.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი ფრუსტრაცია არ არის გამოწვეული თავად ფემინიზმით. ფემინისტური იდეები და ღირებულებები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე განვსაზღვრავ, როგორია

ჩემი ფემინისტური ხედვა. ხაზი უნდა გავუსვა, რომ პრობლემებს განყენებულად არ ვუყურებ და გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთადერთ საშუალებას ყველანაირი ჩაგვრის აღმოფხვრაში ვხედავ. ეს კი, თავის მხრივ, პატრიარქატისა და კაპიტალიზმის მოჯადოებული წრის გარღვევასა და სრულ გაცამტვერებას გულისხმობს. ეს მიზანი შეიძლება ცოტა სასაცილოდ და ინფანტილურადაც ჟღერდეს და დიდი და მიუღწევადი მოგვეჩვენოს, თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ეს არ ცვლის ბრძოლისა და წინააღმდეგობის მნიშვნელობას. რაც შეეხება იმედგაცრუებას, იგი გამოწვეულია არა ფემინისტური იდეებისადმი სკეპტიციზმით, არამედ საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობითა და იმ სიტუაციით, სადაც აქტივისტებს გვიწევს ემოციური თუ დროითი რესურსის ჩადება.

უფრო რომ დავაკონკრეტო, დღეს საქართველოში ძალაუფლება ელიტების ხელშია, რაც ნათლად დაგვანახა [2017 წლის ოქტომბრის] თვითმმართველობის არჩევნებმა. ქვეყანაში, სადაც ადამიანთა უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, სადაც სიბერეში ადამიანს მხოლოდ ოჯახის იმედით უწევს ცხოვრება, რადგან პენსიის თანხა თვიდან თვემდე ვერ შველის საცხოვრებლად, სადაც გოგონებს ადრეულ ასაკში ათხოვებენ და შესაბამისად, უსპობენ ყველანაირი ეკონომიკური თუ პიროვნული დამოუკიდებლობის შესაძლებლობას, სადაც არაჰეტეროსექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებს ოჯახები ქუჩაში აგდებენ მათი სექსუალობის თუ გენდერის გამო და მათ საარსებო ყველანაირ წყაროს უსპობენ, სადაც... ეს სია შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ყველაფერში ის არის, რომ დღევანდელ პოლიტიკურ ასპარეზზე არ არსებობს მემარცხენე იდეების მქონე არც ერთი პარტია. მთლიანად პოლიტიკური სპექტრი დაკომპლექტებულია მსხვილი ბიზნესების მქონე, ან ასეთების მფარველობის ქვეშ მყოფი პარტიებით. და ბოლოს, ეს მსხვილი პოლიტიკური სუბიექტები, ძალიან კარგად ახერხებენ რესურსების გამოყენებასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას თუ შენარჩუნებას.

მეორე მხრივ, საქართველოში არსებული აქტივისტური ჯგუფების მუშაობა დანაწევრებული და ფრაგმენტულია. ფემინისტური და მემარცხენე ჯგუფები ვერ ახდენენ საერთო მიზნის ქვეშ გაერთიანებას და შესაბამისად, ის ძალისხმევა, რომელიც ცალკეული აქტივისტებისა

თუ აქტივისტთა ჯგუფების მიერ იხარჯება, ვერ აღწევს მიზანს.

ასეთი სიტუაციის ფონზე, მსურს, განვიხილო საქართველოში არსებული ფემინისტური ბრძოლა და იმ მიღწევებზე, გამოწვევებსა თუ კრიზისებზე ვისაუბრო, რომლის წინაშეც დღეს ვდგავართ. მთავარი კითხვები, რომელზეც ვეცდები, რომ პასუხი გავცე, არის: როგორ განვითარდა ფემინისტური ბრძოლა საქართველოში და რა დადებითი თუ უარყოფითი თვისებები ახასიათებს მას? რას მივაღწიეთ და რატომ აღმოვჩნდით კრიზისულ მდგომარეობაში? და ბოლოს, ასევე ვეცდები ვილაპარაკო იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს სიტუაციის შესაცვლელად.

ფემინისტური ბრძოლა

საქართველოში არსებულ მოძრაობებსა და აქტივისტურ ჯგუფებს პირობითად სამ ნაწილად დავყოფ: ქალთა უფლებებზე მომუშავე ჯგუფები/მოძრაობა, ლგბტ ორგანიზაციები და მემარცხენე პოლიტიკის გამტარებელი ჯგუფები. ჩემი ღრმა რწმენით. ამ სამი მოძრაობისა თუ თემის გარშემო არსებული ბრძოლა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და შესაბამისად, მათი მიზნებიც და ბრძოლაც ერთმანეთთან გადაჯაჭვული უნდა იყოს. გარდა იმისა, რომ ჩაგვრის კატეგორიებს შორის პრიორიტეტების დაყენება არასწორად მიმაჩნია, ამავე დროს, ყველა ის პრობლემა, რომლის წინააღმდეგ ეს მოძრაობები ვიბრძვით, ურთიერთდაკავშირებულია და ისეთი ჩაგვრის სისტემების პირმშოა, როგორიცაა პატრიარქატი და კაპიტალიზმი. მიუხედავად ამისა, ეს სამი მოძრაობა დღესდღეობით სხვადასხვა პრობლემების გარშემოა გაერთიანებული და მათ პრობლემების სისტემური ანალიზი აკლიათ. აქ ყურადღებას უფრო პირველ ორ მოძრაობაზე გავამახვილებ და პირობითად ფემინისტური ბრძოლის სახელის ქვეშ გავაერთიანებ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ქალთა უფლებებზე საუბარი ჯერ კიდევ 90–იან წლებში დაიწყო, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩაეყარა საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში არა–სამთავრობო ორგანიზაციებში ჩართული ქალები უმეტესწილად არ ახდენდნენ თავისი თავის ფემინისტებად იდენტიფიცირებას, მათ საკმაოდ დიდი შრომა გასწიეს ისეთი პრობლემების მოსაგვარებლად, როგორიცაა ოჯახში ძალადობა და გენდერულად მოტივირებული ძალადობის სხვა ტიპები. მათი შრომის შედეგად, 2006 წელს, მიღებულ

იქნა კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, ხოლო 2010 წელს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონების ყოველდღიური გამოყენება და ძალადობის პრევენცია ძალიან გაჭირდა საქართველოში, მაინც მათი მიღება წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ თემებზე საუბრის დაწყებისა და დაძლევის პროცესში.

2010 წლიდან, საქართველოში უკვე რადიკალური ფემინისტური ჯგუფების ჩამოყალიბება ხდება. ამ დროს, აქტივისტები უკვე ღიად საუბრობენ ფემინიზმზე. ფემინისტური ბრძოლის დღის წესრიგში დგება ისეთი საკითხები, როგორიცაა ქალის სექსუალობა, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, კულტურული ჩაგვრა და ა.შ. ფემინისტთა დამოუკიდებელმა ჯგუფმა, რომელიც პოსტსაბჭოტა პერიოდის პირველი აქტივისტური და ღიად ფემინისტური ჯგუფია, მოახერხა ის, რომ ხმამაღლა დაეფიქსირებინა ფემინისტური დღის წესრიგი და წინ წამოეწია უამრავი პრობლემური საკითხი.

ბოლო წლებში, ფემინისტური ბრძოლა გამრავალფეროვნდა. მისი მასშტაბებიც გაიზარდა. უკვე მხოლოდ ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი არ არის ის, ვინც აჟღერებს ფემინისტურ იდეებს. „ქალთა მოძრაობა“, რომელსაც საფუძველი 2015 წლის 25 ნოემბერს ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ფემიციდის უამრავი შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოში, – ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოძრაობად იქცა. ამას-თანავე, მასში ჩართული ქალების ხმა იმაზე უფრო ხმამაღლა ისმის, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. ამ მოძრაობის დღის წესრიგი მკაცრად ლიბერალური ფემინიზმით შემოიფარგლება, თუმცა ის ფაქტი, რომ ამ მოძრაობამ შეძლო და პოლიტიკურ დღის წესრიგში ხმამაღლა გააჟღერა ქალთა პრობლემები – უკვე პოზიტიური შედეგი მგონია.

ამავე დროს, ბოლო წლებში სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება სხვადასხვა ფემინისტური მიდგომები. ამ ტენდენციას თავისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები ერთდროულად მოყვება. ფემინიზმი არ არის და არც არასოდეს ყოფილა ერთსახოვანი. ფემინისტური კრიტიკის გაჟღერება ამრავალფეროვნებს და უფრო ინტერსექციულს ხდის არსებულ ფემინისტურ ბრძოლას. თუმცა, თავის მხრივ, ეს კრიტიკა ხშირად ვერ გვთავაზობს არსებული ლიბერალური ფემინიზმის ძლიერ ალტერნატივას. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ ისეთი ჯგუფის

შექმნა, რომელიც თავისი სტრატეგიებით, მიზნებითა და ბრძოლის მეთოდებით გამოირჩევა. ის ადამიანები თუ მცირე ჯგუფები, რომლის იდეოლოგია არ ემთხვევა არსებულ მოძრაობას, ვერ ვახერხებთ ძალების მობილიზაციას და ახალი, ალტერნატიული დისკურსის შექმნას.

რაც შეეხება ლგბტ აქტივიზმსა და მოძრაობას, იგი დღემდე არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებული რჩება და ქალთა მოძრაობისგან განსხვავებით, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მისი არაფორმალურ აქტივიზმში გადატანა და არაფორმალური ჯგუფების ორგანიზება. ეს, თავის მხრივ, გამოწვეულია იმ საჭიროებებით, რომლის წინაშეც ლგბტ თემის წევრები დგანან. უმეტესწილად, ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციები თემის წევრებს აწვდიან სერვისებს და მათი უფლებების ადვოკატირებით არიან დაკავებულნი. ამ თემაზე მუშაობას ორმაგად ამწვავებს ის ჰომოფობიური დისკურსები, რომელმაც ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს რეალობაში და ის ძალადობრივი გარემო, რომელშიც არაჰეტეროსექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებს გვიწევს ცხოვრება.

მიუხედავად იმ საფუძვლიანი კრიტიკისა, რომელიც ბევრ ფემინისტს გაგვაჩნია, დღესდღეობით ქალთა და ფემინისტური ჯგუფების აქტიურობამ ბევრი ცვლილება მოუტანა საზოგადოებას. ამის აღიარება, დანახვა და დაფასება ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ იმ რეალობაში, სადაც ქალებს შეგვიძლია ორგანიზება სექსიზმის და მიზოგინიის წინააღმდეგ. არც ერთი საჯაროდ გამოხატული სექსისტური გამოსვლა არ რჩება ყურადღების გარეშე, რაც ყველა იმ ქალის შრომის შედეგია, რომლებიც ფემინისტურ ბრძოლაში იყვნენ და დღემდე არიან ჩართულები. მიუხედავად ყველა განსხვავებისა არსებულ ჯგუფებს შორის, სოლიდარობის შეგრძნება ძალიან მაღალია.

ამავე დროს, არსებულმა ჯგუფებმა იმდენი შეძლეს, რომ ფემინისტების ხმა გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს მიაწვდინეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ჯერ კიდევ იკვებება მიზოგონიით, ჰომოფობიითა და ტრანსფობიით, ქალთა და ლგბტ ორგანიზაციების წყალობით, ამ ყველაფრის წინააღმდეგ პროტესტი ყოველთვის მკაფიო და ხმამაღალი იქნება.

პრობლემები და გამოწვევები

მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ფემინისტურ ბრძოლას უამრავი პრობლემა და გამოწვევა აქვს. ერთ-ერთი პრობლემა, რის წინაშეც ვდგავართ, არის ის, რომ ფემინისტურმა ბრძოლამ რეაქციული ხასიათი მიიღო. თავისთავად, ეს ცუდი არ არის, თუმცა მთლიანი აქტივიზმის რეაქციონერობაზე დაყრდნობა დიდ პრობლემად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ორგანიზაცია თუ ჯგუფი მუშაობს ამ თემებზე, განსაკუთრებით არაფორმალურმა ჯგუფებმა, ვერ მივაღწიეთ განვითარებისა და აქტივიზმის სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. ჩვენი აქტივიზმი შემოიფარგლება ან არსებული კონკრეტული მოვლენის კრიტიკითა და მასთან დაკავშირებული რაიმე აქტივობით, ანდა კონკრეტული დღეების აღნიშვნით. მაგალითად, ლგბტ აქტივიზმი, როგორც წესი, იქმნება და იწარმოება 17 მაისიდან 17 მაისამდე, მაშინ, როდესაც ამ შუალედში აქტივისტები ვერ ვახერხებთ სტრატეგიულ მუშაობას სამომავლო გეგმებზე.

მეორე მხრივ, აქტივიზმის არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირება და დიდწილად არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციონირებით შემოფარგვლა დიდ პრობლემებს ქმნის იმ უნიკალური კონტექსტის გააზრებაში, რაც დღეს საქართველოს რეალობისთვისაა დამახასიათებელი. ეს იწვევს იმას, რომ ორგანიზაციები უცხოური დონორისგან ნაკარნახევ დღის წესრიგს ქმნიან, რომელიც, როგორც წესი, სრულფასოვნად ვერ პასუხობს საქართველოში არსებულ რეალობას, ვერ ქმნის წინააღმდეგობის ისეთ ფორმებსა თუ შინაარსებს, რომელიც ავთენტური იქნება საქართველოს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ცხოვრებისთვის.

მოძრაობები, რომლებიც დასავლეთში იქმნებოდა და ვითარდებოდა, უდავოდ ძალიან შთამაგონებელია და დიდი შედეგების მომტანიც არის. თუმცა, მათი ქართულ რეალობაში გადმოტანა და ცვლილებების „ზემოდან ქვემოთ“ განხორციელება რეალური შედეგებს არ იწვევს. ისეთი კანონები, როგორიც ანტიდისკრიმინაციული კანონია, ოჯახში ძალადობის შესახებ ანდა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, მათ, როგორც წესი, არ აქვთ ის მექანიზმები, რომლებიც მათ პირწმინდად შესრულებას განაპირობებდა. პოლიციის ძალადობრივი ხასიათი და საზოგადოების ფემინისტურ ბრძოლასთან გაუცხოება არის ის ფაქტორები, რატომაც ეს

კანონები არ მუშაობს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ქვევიდან წამოსული აქტივიზმის წარმოება, მეტი ადამიანის ჩართვა ამ მნიშვნელოვან ბრძოლაში და აქტივიზმის იერარქიული ხასიათის ცვლილება.

ამავე დროს, ფემინისტური ჯგუფებისა და ზოგადად საქართველოში წარმოებული აქტივიზმის წინაშე დგას კომუნიკაციის პრობლემა. როგორც წესი, მიუხედავად ჩვენი სურვილისა, რომ აქტივიზმში უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს და ორგანიზდეს, ძირითადად, ვერ ვახერხებთ ადამიანების დაინტერესებას ჩვენი მუშაობით. ჩვენი ენერგიის დიდი ნაწილი ხმარდება შიდა ჯგუფურ კომუნიკაციას, რაც ეფექტური არ არის, რადგანაც მაინც ვერ ვახერხებთ ბრძოლების გაერთიანებას, ანდა გადაკვეთის წერტილის პოვნას. ხოლო, მეორე მხრივ, კომუნიკაციის ის ენა, რომელსაც ვიყენებთ, ძალიან ხშირად უცხო და არაფრისმთქმელია იმ ადამიანებისთვის, ვის დაინტერესებასაც ვცდილობთ. აქედან გამომდინარე, იქმნება ადამიანთა ერთგვარი დახურული ჯგუფი, რომელიც ვერ აწვდენს საკუთარ ხმას დანარჩენ საზოგადოებას და მხოლოდ ამ წრეში ახერხებს ცვლილებისთვის ბრძოლას.

და ბოლოს, ყველაზე დიდი პრობლემა, რის წინაშეც ახლა ფემინისტი აქტივისტები ვდგავართ, არის გადაღლა, გადაწვა და ფრუსტრაცია. რასაკვირველია, ეს შესაძლოა ცალკეული ინდივიდების პრობლემად აღვიქვათ, თუმცა, ჩემი აზრით, ეს კოლექტიური პრობლემაა. ეს მდგომარეობა ნაწილობრივ ყველა იმ ასპექტითაა გამოწვეული, რომლებიც ზემოთ მაქვს ჩამოთვლილი და ნაწილობრივ, ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური თუ სოციალური სიტუაციითაც. ფემინისტი აქტივისტების უმრავლესობას გვიწევს სამუშაოსა და აქტივიზმის ერთმანეთთან შეთავსება. როდესაც სოციალური პრობლემები მწვავედ დგას ყოველი ადამიანის წინაშე, ანაზღაურებადი სამუშაო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, აქტივიზმში ჩართულობა თავის წილ დროით და ემოციურ რესურსს მოითხოვს. ამ ორის კომბინაციით კი ვიღებთ ადამიანს, რომლის სამუშაო საათები მის მთლიან დღეს იკავებს და შაბათ–კვირას დასვენების მცირე პერსპექტივაც კი არ გააჩნია.

გარდა ამისა, ყოველდღიური სექსიზმი და ჰომოფობია, არამარტო ამწვავებს, არამედ გაუსაძლისს ხდის ამ სიტუაციას. ცხოვრების ყველა ეტაპზე, ჩვენ გვიწევს ძალადობის გამოვლინებებთან ბრძოლა და თავდაცვის მეთოდების დახვეწა. ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით იმ სიძულვილს და ტოტალურ დეჰუმანიზაციას, რომელიც სოციალური

ქსელებიდან თუ სხვა მედიასაშუალებებიდან ანთხევენ ჩვენზე, და ყოველდღიურად, თვითონ თანამოაზრეთა წრეებშიც კი გვიწევს იმის მტკიცება, რომ ჩვენი ხმა მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ეს ქმნის ერთგვარ ტოტალურ სივრცეს, სადაც დასვენება და არსებული პრობლემებისგან დისტანცირება შეუძლებელი ხდება.

აქედან გამომდინარე, დღესდღეობით არსებული ფემინისტური ბრძოლა მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას. სტრატეგიული ხედვების სიმწირე არაფორმალურ ჯგუფებში და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ბრძოლის კონცეფციები, კომუნიკაციისა და მობილიზაციის პრობლემები, რომლის გადაწყვეტას წლების განმავლობაში არაერთი აქტივისტი ცდილობს და ბოლოს, პატრიარქალური და კაპიტალისტური სივრცეების ყოვლისმომცველი ხასიათი და გადამწვარი აქტივისტების დიდი რაოდენობა, არის ის მთავარი პრობლემები, რომლის წინაშეც ვდგავართ.

გამოსავალი

მიუხედავად ასეთი აპოკალიპტური სურათის დახატვისა, მჯერა, რომ ნებისმიერი კრიზისი, ძალების მობილიზების, არსებული სიტუაციის გადააზრებისა და გამოსავლის მოძებნის საწინდარია. რასაკვირველია, არ მაქვს ცალსახა პასუხი იმაზე, თუ როგორ უნდა შეიცვალოს არსებული რეალობა. ეს, ალბათ, მასშტაბური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ფემინისტი აქტივისტების წრეში. თუმცაღა, რამდენიმე შესაძლო გზა ამ სიტუაციის შესაცვლელად ალბათ მაინც არსებობს.

უპირველეს ყოვლისა, მიმაჩნია, რომ უნდა მივმართოთ ორგანიზების ახალ მეთოდებს. ორგანიზების ქაოტური მეთოდები, რომელსაც აქამდე ვიყენებდით, აღარ გვაძლევს სასურველ შედეგს, უნდა მოხდეს იდეოლოგიის გარშემო გაერთიანება და სტრატეგიების დასახვა, არსებული სიტუაციის შესაცვლელად. სამწუხაროდ, აქტივიზმის დანაწევრების, მისი ქალთა, ლგბტ და მემარცხენე აქტივიზმებად დაყოფა გვაშორებს იმ რეალურ მიზნებს, რომლისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს ახალი ჯგუფის ანდა ჯგუფების შექმნა, რომლებიც აწარმოებენ ახალ დისკურსს იმ რეალობაზე, რომელშიც ვცხოვრობთ, გადაიაზრებენ ბრძოლის არსებულ მეთოდებს და ქვემოდან წამოსული აქტივიზმის ნიმუშებს გვიჩვენებენ.

მეორე მხრივ, კიდევ ერთ გამოსავლად მიმაჩნია აქტივისტური

ჯგუფების დახურული წრის გარღვევა. ალბათ, ჩვენი ენერგია აქტიურად უნდა მივმართოთ იმ ცოდნების გაზიარებაზე, რაც გაგვაჩნია, რათა გავარღვიოთ ეს წრე და მეტი თანამოაზრე შემოვიერთოთ იმ ბრძოლაში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია.

და ბოლოს, ვერ ვიტყვი, როგორ შეიძლება შევცვალოთ გადაწვისა და ტოტალური გადაღლის ის მანკიერი სივრცე, რომელშიც ვარსებობთ. თუმცაღა, ამ პერიოდის განმავლობაში, ფემინიზმმა ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი მაინც მასწავლა. არ აქვს მნიშვნელობა, სად და როგორ, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ჩვენი თანამოაზრეების მხარდაჭერა. კრიტიკა მნიშვნელოვანია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია მეორე ადამიანის ემოციური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. ამიტომ, კონსტრუქციული დიალოგის დაწყება და ფემინისტების მიერ ერთმანეთის ემოციური მხარდაჭერა ამ სიტუაციიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად მიმაჩნია.

ასევე მწამს, რომ ჩვენ შეგვიძლია ისეთი კაპიტალისტური ლოგიკის შეცვლა, რომელიც ჩვენგან პროდუქტიულობას, შედეგის მიღწევასა და წარმატებულობას მოითხოვს. ფემინისტური ბრძოლა დღეს არ დაწყებულა და მას ხვალ ვერ დავასრულებთ. ეს არის პროცესი, რომელშიც ჩვენ ყველანი, ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვდებთ რესურსს. ამიტომაც, უნდა შევწყვიტოთ ერთმანეთისგან შეუძლებლის მოთხოვნა და პროცესზე ვორიენტირდეთ.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია, დასვენების ახალი და რადიკალური კულტის შექმნა. იმ გარემოში, სადაც ვცხოვრობთ, დასვენების მოთხოვნა ერთ-ერთ ყველაზე რადიკალური ფემინისტური აქტი მგონია.

ნუკრი ტაბიძე

ფემინისტური ბრძოლის დასაწყისი

ბავშვობიდან მოყოლებული ვხვდებოდი, რომ „ქალობის" გამო ნაკლოვან ადამიანად მივიჩნეოდი. ბიჭებისთვის კონკურენცია არ უნდა გამეწია, წესიერება, მოთმინება და სხვა კაცების მორჩილება მომეთხოვებოდა და მეც მეტ-ნაკლებად ვცდილობდი, „კარგი გოგო" მეთამაშა. ჩემი მშობლებისთვის ყველაზე მთავარი ჩემი და ჩემი ძმისთვის განათლების შესაძლებლობების შექმნა იყო ყველაფრის ფასად, არასდროს გაგვასხვავებდნენ ამ მხრივ, მაგრამ, სიღარიბის გამო, ბევრი რამ წარმოუდგენელი იყო და ისევ ფორმალური საშუალო სკოლის განათლების და საკუთარი ძალისხმევის იმედზე ვიყავი.

გარდატეხის ასაკში, განსაკუთრებით მწვავედ მახსოვს მუდმივი ბრძოლები სკოლაში „ხმის ამოღების" უფლებისთვის. აგრესიულ და „ბიჭურ" გოგოდ ვითვლებოდი, მაგრამ კარგად ვსწავლობდი და მეპატიებოდა ბევრი რამ, მათ შორის ის, რომ ქალობის დადგენილ ნორმებს არ ვემორჩილებოდი. ყველაზე რთული კლასელ ბიჭებთან გამკლავება იყო. ბიჭები არ მომწონდა და ყველა სახის ნეგატიური თუ პოზიტიური ყურადღება მაწუხებდა. ჩემი პროტესტი იზოლაციაში გამოიხატებოდა. კლასელების დიდი ნაწილი გათხოვდა სკოლის დამთავრებისთანავე, ჩემთვის ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო და დიდად საერთოს ვერ ვპოულობდი გოგოებთანაც. კიდევ კარგი, სახლში არასდროს ელოდებოდნენ, რომ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვასა და გათხოვებაზე ოცნებებში გავატარებდი დროს. ძალიან ღარიბები ვიყავით და ამ სიღარიბიდან ამოსვლის ერთადერთი გზა განათლების მიღება იყო, ყველაფრის ფასად. ამას მეც კარგად ვხვდებოდი. ვიცოდი,, რომ სხვაზე უკეთესად უნდა მესწავლა რომ აღარავის გაებედა „ბინძური ლტოლვილი" ეწოდებინა, მათემატიკაში ბიჭებზე ძლიერი უნდა ვყოფლიყავი, ყველაფერში უნდა მეჯობნა ძმისთვისაც, რომ მერე არავის არაფერი მოეძახებინა, დაეყვედრებინა და ა.შ. რაღაც ეტაპზე, როცა ჩემს გარეგნობაში „ქალობის" ნიშნები

გაჩნდა, მათი აქტიური გადამალვა დავიწყე. მენსტრუაციის მცხვენოდა, მკერდი მტკიოდა, მეშინოდა, სხეულის რამე ნაწილს არ გაეცა ჩემი მომწიფება. სექსუალობა პირველი და ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო, რომელზეც ღიად ლაპარაკი დავიწყე სხვა გოგოებთან და მერე უკვე ბიჭებთანაც. ვერ ვხვდებოდი, ჩემთვის სექსი რატომ არ შეიძლებოდა, თუ ბიჭებისთვის წახალისებული იყო, ან რატომ შეიძლებოდა ბიჭებისთვის სექსუალიზებული ხუმრობები, მაშინ როცა ჩვენ თავდახრილებს უნდა გვესმინა ჩუმად. მე-9 კლასში, როცა რამდენიმე კლასელმა ბიჭმა ჩემს მეგობარს ტრაკზე ხელის ფათური დაუწყო, ხმამაღლა ავლაპარაკ-დით. ბიჭებს ომი გამოვუცხადეთ გოგოებმა. ბუნებრივია, ბიჭების მშობლები, მათ შორის დედები და დებიც კი, და მასწავლებლები, ჩვენ გვადანაშაულებდნენ არასათანადოდ მოკრძალებულ ჩაცმასა და ქცევაში. ბოლოს მივხვდით, რომ არაფერი გამოგვივიდოდა, ამიტომ იგივე მეთოდებით დავიწყე ბრძოლა: აგრესიული ვიყავი, ვიგინებოდი, გესლს ვანთხევდი, თუმცა, პრობლემებს სახელს ვერ ვარქმევდი და ვერც სხვა გოგოებთან ვპოულობდი გადაკვეთის წერტილებს.

უნივერსიტეტში მეგობრები გავიჩინე და უკვე სექსიზმის სახელდებაც დავიწყე. ამ პერიოდში უკვე ჩემს ცნობიერებაში პირველად გაჩნდა სიტყვათშეთანხმება „უფლებებისთვის ბრძოლა“. პროფესიიდან გა-მომდინარე (ფსიქოლოგი ვიყავი), სპეციალურ საჭიროებებთან და-კავშირებული სტიგმა იყო სამუშაო ფოკუსი. უფრო მოგვიანებით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობისას, პირველად აღმოვაჩინე, რომ დამოკიდებულება ქალი და მამაკაცი პაციენტების მიმართ განსხვავდებოდა როგორც მათი ოჯახების, ისე პერსონალის მხრიდან. მანამდე თუ ვამბობდი, რომ ,,ქალი და კაცი თანასწორი უნდა იყვნენ, მაგრამ ფემინისტები აგრესიულები არიან", პირველად მივხვდი, რომ უფრო მეტი გვჭირდებოდა, ვიდრე მოკრძალებულად თითის აწევა და კაცებთან გათანაბრების უფლებების თხოვნა, ისიც იმ პირობით, რომ კაცებს არაფერი დააკლდებათ. მუშაობასთან და მოგზაურობასთან ერთად, აღმოვაჩინე, რომ სამყარო მარტო ჩემი რამდენიმე გა-ნათლებული მეგობრის და ოჯახისგან არ შედგებოდა, მეტი იყო საჭირო და მეტ პასუხისმგებლობას ვრგძნობდი იმ თანამშრომლების, ნაცნობების და მეგობრების მიმართ, ვინც ჩემი კომფორტის ზონის მიღმა გაჩნდა.

პირველი ფემინისტური ინიციატივა, რომელშიც ჩავერთე 2013

წლის დასაწყისში ჩატარებული პერფორმანსი იყო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. ჩემი ფემინისტური „ქამინგ აუთიც“ მაშინ მოხდა. პირველად ვთქვი საკუთარ თავთან და სხვებთანაც, რომ ფემინისტი ვარ. აქედან მოყოლებული, აქციებზე სულ დავდიოდი, მაგრამ მხოლოდ ერთ აქტივისტს ვიცნობდი და არც ვიცოდი, სად და როდის იკრიბებოდნენ, ან თუ არსებობდნენ ისეთი ადამიანები, ვინც ჩემსავით ფიქრობდა. 2015 წლიდან კიდევ, მთელი ჩემი ცხოვრება ამ ბრძოლის ირგვლივ ტრიალებდა, ძირითადად იმიტომ, რომ ადამიანები გავიცანი და სხვებთან საუბრის საშუალება მომეცა. ზოგადად, ძალიან ცუდი მეხსიერება მაქვს, მაგრამ რაღაც მომენტები ძალიან კარგად მახსოვს, განსაკუთრებით ის, თუ როგორ ვსწავლობდი ჩემი ბრაზის და იმედგაცრუების პოლიტიკებში და სხვებთან გაერთიანებაში გადატანას, ბოლოს კი როგორ გადავწყვიტე, რომ ამ ყველაფრის ნაწილი უნდა ვიყო და მხოლოდ ჩემ ირგვლივ რამდენიმე ადამიანთან ფემინიზმზე საუბრით არ შემოვიფარგლო.

ფემინისტური ღლის წესრიგი/ცვლილება დროში

თავიდანვე რეგიონებში მუშაობით დავიწყე და ეს პრიორიტეტი ჩემთვის არ შეცვლილა. ძირითადად, იმის გამო, რომ ჩემი წინა სამსახურში მუშაობისას, სულ თბილისს გარეთ მიწევდა ყოფნა და რაღაც ადგილებში უკვე ვიცნობდი ქალებს, „მათიანად" ვგრძნობდი თავს და მეტ საერთოს ვპოულობდი, ვიდრე თბილისში, სადაც მეც არ მქონდა მიკუთვნებულობის განცდა. ის საკითხები, რაც ადრე მაინტერესებდა და მნიშვნელოვანი მეგონა, არსებითად არ შეცვლილა, თუმცა, მათთან მისვლის გზების შესახებ წარმოდგენები დიდწილად განსხვავდება და გამოცდილების მიღებასთან ერთად, სავარაუდოდ, კიდევ შეიცვლება. მაგალითად, როგორც ზემოთ ვახსენე თავიდან მარტომ დავიწყე, ვინაიდან სხვა აქტივისტებს არ ვიცნობდი. ქალთა ფონდის პატარა გრანტი მივიღე და საქართველოს მასშტაბით სკოლებში ტრეინინგებს ვატარებდი მასწავლებლებთან ლგბტ ბულინგზე. ახლა ვხვდები, რამდენად უფრო ადვილია სხვებთან ერთად საქმის განაწილება. ინდივიდუალური აქტივიზმი თითქოს უფრო მიმზიდველი ჩანდა, კონფლიქტებისგანაც დაცული ვიყავი, იმის შიშიც არ მქონდა, რომ სხვა საქმეს გააფუჭებდა. ახლა პირიქით მგონია. რა თქმა უნდა, არის რაღაც სიტუაციები, როცა მარტო მუშაობა სჯობს, მაგრამ მთლიანობაში, თუ

საზოგადოებისთვის მუშაობ, – საზოგადოებასთან ერთად მუშაობ.

მეორე მნიშვნელოვანი გარდატეხა გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლამ გამოიწვია. მახსოვს, პირველივე ლექციაზე ფემინისტური თეორიების შესავალში ტექსტს ერქვა "თეორია, როგორც ემანსიპატორული პრაქტიკა". ფემინისტური ცოდნა ზუსტად ამგვარი დანიშნულების მატარებელი გახდა ჩემთვის. პარალელურად აქტივიზმში რომ ვიყავი ჩართული, მუდმივად ვფიქრობდი, თეორია პრაქტიკაში როგორ გადმომეტანა და პირიქით, პრაქტიკა როგორ გაგვეთეორიებინა. აქ უკვე მარტო არ ვიყავი. ჯგუფიც და ლექტორებიც ძალიან დამეხმარნენ, ვინაიდან პირველად ვსწავლობდი ასეთ უსაფრთხო გარემოში, მოკავშირეებით გარშემორტყმული, სადაც საკუთარი აზრის გამოხატვა წახალისებული იყო.

რაღაც ეტაპზე აღმოვაჩინე, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მიდგას გვერდით. პირობებში, სადაც ყველაფერი შენს წინააღმდეგ მუშაობს: კულტურული ნორმები, ეკონომიკური მოწყობა, სახელმწიფო, პოლიცია და ა.შ., სხვებისადმი ნდობა და მოკავშირეების ყოლა ძალიან დიდი რესურსია. თუმცა, ყველაზე რთული ამ პროცესში საკუთარი ინტერესების სხვებთან მორგებაა. როცა ფემინისტურ ბრძოლაზე ვლაპარაკობთ, ერთი ბრძოლა არასდროსაა. ბევრი ბრძოლა ერთდროულად მიდის როგორც პიროვნულ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. როცა ამ ბრძოლების გადაკვეთაზე ვსაუბრობთ, ხშირად წარმოდგენა არ გვაქვს, როგორ მივაწვდინოთ ხმა და როგორ გავიგოთ მათი ხმა, ვისაც ცხოვრებაში შეიძლება ვერასდროს შევხვდეთ, სხვადასხვა მიზეზების გამო. აქციებზე ხშირად სხვადასხვა გამოცდილების ქალების პოზიციებს აჟღერებენ, თუმცა, ჯგუფის ერთი წარმომადგენელი, როგორი კეთილი ზრახვებიც არ უნდა ჰქონდეს მას, ვერ იქნება საკმარისი ურთიერთმხარდაჭერის და ფემინისტური სოლიდარობისთვის. როცა ინტერსექციურ პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, ხშირად ეს მხოლოდ ჩვენს გეგმებსა და დღის წესრიგში სხვა ქალების ჩართვას გულისხმობს, რომელთაც ჩვენზე ნაკლები რესურსები აქვთ. ჩვენ ვცდილობთ, დავარწმუნოთ სხვები, რომ ჩვენ მიერ წამოწყებული ბრძოლები მათაც ეხებათ და სარგებელს მოუტანთ, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას, მარტო „ჩინიან" ფემინისტებს ვეძახით, ხშირად თუნდაც იმიტომ, რომ მათ მიღმა არც ვიცნობთ ბევრს. ეს მიდგომა ჩვენს წინა თაობაშიც ძალიან პრობლემური იყო. დღეს თითქოს იმით, რომ აქციაზე ტრანსგენდერი ქალის ან აზერბაიჯანელი

ქალის ხმა ისმის, ილუზია გვექმნება, რომ ზოგადად ტრანსგენდერი ან აზერბაიჯანელი ქალების ხმა გაჟღერდა. სინამდვილეში, დღემდე დიდი გამოწვევაა ქალების მრავალფეროვანი გამოცდილებებისა და მრავლხმიანობის ასახვა.

კიდევ ერთი პრობლემაა სისნორმატიულობა – ფემინიზმი ხშირად მხოლოდ სისგენდერი ქალების საჭიროებებს და ინტერესებს ეხმიანება. რაც დრო გადის სისნორმატიულობა უფრო მეტად მეპრობლემურება თავად ქალების და ფემინიზმის პოზიციონირების თვალსაზრისითაც. როცა თავს ქალების მოძრაობას ვეძახით ამ ქალობას ვამყარებთ, მეორე მხრივ, როგორ გინდა ილაპარაკო იმ ჩაგვრებზე, რომელიც ქალად მონიშვნის გამო გვაქვს? ეს კითხვა ჩემთვის დღემდე ბოლომდე უპასუხოა, თუმცა პიროვნულ დონეზე ქალობაზე უარის თქმა ძალიან პოლიტიკური მგონია. ეს არ ნიშნავს აუცილებლად რაიმე სხვად – კაცად ან ტრანსად ან გენდერ ქვიარად პოზიციონირებას. უბრალოდ ქალივით არ მოვიქცევი: არ ვიქნები მორჩილი და მომთმენი, არ შევფუთავ თავს კაცების მოსაწონად და ესეთი ტრანსგრესიებით წყალს შევუყენებ სისტემას, რომლისთვისაც სხეულების ქალებად და კაცებად დაყოფა ცენტრალურია.

მესმის, რომ ჩემი მიდგომა ძალიან შორეულ გეგმებს და პოლიტიკებს მიემართება, მაშინ, როცა მაგალითად, ქალებზე ოჯახში ძალადობა ან იგივე ეკონომიკური დაქვემდებარების პრობლემა აქ და ახლა დგას იმხელა სიმწვავით, რომ ძნელი ხდება რადიკალურ პოზიციებზე იფიქრო. თუმცა, მგონია, რომ ერთი მეორეს ხელს არ უშლის. სხვადასხვა ფემინისტური ჯგუფები და აქტივისტები რესურსების და იდეოლოგიების მიხედვით განსხვავდება, რასაც უპირობო მოცემულობად ვიღებ. იმაზე ფიქრი, რომ გავერთიანდებით და ყველა ერთ იდეაზე ან პრობლემაზე ვიმუშავებთ, წარმოუდგენელია, იმიტომ რომ მხოლოდ ერთი პრობლემა არ არსებობს და არც – ერთი გადაჭრის გზა. საერთო პრობლემებიც კი სხვადასხვანაირად გვეხება. ამიტომ, მგონია, ერთადერთი გამოსავალია ქალების გაძლიერება და სტრატეგიულად მოკავშირეების შემოკრება სხვადასხვა საკითხების ირგვლივ. მე პირადად ახლა ზუსტად ასეთი მიდგომა მაქვს: ყველა ჯგუფთან ვთანამშრომლობ, ვკამათობ, ვმეგობრობ, ვაკრიტიკებ, თუმცა მოძრაობიდან თავს არ ვმიჯნავ არც ერთი მათგანისგან.

ფემინისტური ბრძოლის წარმატების მაგალითები

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ბევრ პრობლემას ვხედავ და ხშირად არსებულ სტრატეგიებს არ ვეთანხმები, უთანასწორობის მხოლოდ კანონებით დაძლევის გზით, მგონია, რაღაც წარმატებებს მაინც მივაღწიეთ. ყინული გალღვა: მეტი ქალი რეკავს პოლიციაში ძალადობის შემთხვევაში. ერთი მხრივ, ეს ჩემთვის პრობლემურია, ვინაიდან პოლიციისადმი მიმართვები არა მხოლოდ პოლიციის ინდიფერენტულობის გამო რჩება უპასუხო, არამედ პოლიციაზე და მხოლოდ დასჯაზე კონცენტრირება პოლიციურ რეჟიმსაც აძლიერებს, თუმცა ის ფაქტი, რომ მეტი ქალი უწოდებს ძალადობას ძალადობას, დიდი მიღწევა მგონია იმ პირობებში, სადაც ვართ. ისიც დადებით მოვლენად მიმაჩნია, რომ ფემინისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაპირისპირებული იდეოლოგიური პოზიციები გაჩნდა. ყველაზე დიდ დაბრკოლებად მაინც ეკონომიკური საკითხების უგულებელყოფას მივიჩნევ. ეს პრობლემა „ენჯეოიზაციასთანაც“ კავშირშია. როცა მუდმივად დასავლეთზე გვაქვს სწორება, ბევრი რამ ყურადღების მიღმა რჩება. ფემინიზმი იზოლირებულ იდეოლოგიად იქცა, რომელიც მარტო კულტურულ აღიარებებს მიემართება. სიღარიბე და ქალების ეკონომიკური დაქვემდებარება არ განიხილება, როგორც სისტემური პრობლემა. ახლა უფრო გაჩნდა ეს დისკურსები, მაგრამ დიდი ხანი არ იყო. და დღესაც, ძირითადი ფემინისტური მოთხოვნები (კვოტა, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ნაადრევი ქორწინება) სექსუალობის და ეკონომიკური სისტემისგან განყენებულად განიხილება.

თაობათშორისი განსხვავებები

რასაც ვუყურებ, ფემინიზმი ძირითადად ბოლო 5 წელია, რაც მედიაში განხილვის საგნად იქცა. გენდერული მეინსტრიმინგიც უფრო გაძლიერებულია. კანონები კი შემოიღეს წლებია, მაგრამ ასე აქტიურად ამ თემაზე ლაპარაკი არ მახსოვს თუნდაც უნივერსიტეტში სწავლის დროს. მე როცა ვსწავლობდი, ერთადერთი ჩვენი კლასგარეშე აქტივობა უნივერსიტეტში ხუთშაბათს საღამოს ფილმების ყურება იყო, თსუ-ს მე-6 კორპუსში. მახსოვს, მაშინ ფეისბუკსაც არ ვიყენებდით და უნივერსიტეტებში განცხადებას ვაკრავდით (ამისთვისაც ნებართვები გვჭირდებოდა). ფემინიზმზე მაშინ არ ვლაპარაკობდით, მაგრამ

ფილმებს სხვადასხვა კუთხით განვიხილავდით. მე უფრო ხშირად ჩუმად ვუსმენდი, იმიტომ, რომ ბევრი არაფერი ვიცოდი კინოს ან/და ფილოსოფიის შესახებ. რაღაცები არც მესმოდა, მაგრამ მომწონდა, იმ სივრცის ნაწილი რომ ვიყავი. ამ პერიოდში, არ მახსოვს არც ერთი ლექცია ან დისკუსია საჯარო სივრცეში. საკუთარი თავიდან გამომდინარე, უფრო ლგბტ საკითხები მაინტერესებდა და ინფორმაციაც უფრო ვრცელდებოდა წვეულებების და შეხვედრების შესახებ.

ახლა ბევრად მეტი შესაძლებლობაა ინტერნეტის გამოც და უნივერსიტეტშიც, მაინორად შეგიძლია, გენდერის კვლევა აიღო. აქციებიც სისტემატურია, დაფარვაც – დიდი. მე რომ სკოლაში ვიყავი, სიტყვა „ფემინიზმის“ და „გენდერის“ მნიშვნელობები არ ვიცოდი, დღეს სკოლებში როცა მივდივარ, მოსწავლეების უმრავლესობას წარმოდგენა აქვს, რაზეა საუბარი. თბილისსაც გასცდა ეს ცოდნა. მეტი ხდება სხვა ქალაქებშიც. თუმცა, როგორც აქამდე, ისე ახლაც არასამთავრობოებზეა მიბმული აქტივიზმი. ახლა თითქოს მეტი დამოუკიდებელი აქტივისტი და ინიციატივაა, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ყველა ამ სექტორში მუშაობს. უფრო ხშირია ინდივიდუალური ქმედებები და ინიციატივები დამოუკიდებელი აქტივისტებისგან, რასაც ინტერნეტის მეშვეობით დიდი დაფარვა აქვს ხოლმე. ადრე ესეც ნაკლებად იყო და ყველაფერი არასამთავრობოებზე იყო მიბმული, თუ ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფს არ ჩავთვლით, მაგრამ ესეც ძალიან ექსკლუზიური ჯგუფი იყო და მისი წევრებიც ძირითადად ენჯეოებიდან იყვნენ. მგონია, წინა თაობაში ბევრი ფემინისტი არც გვყავს, 40 წლამდე ადამიანებში კი მნიშვნელოვნად რაოდენობა გაზრდილია. მთავარი განსხვავება მაინც ის მგონია, რომ დღეს უფრო მეტი ქალის ჩართვასთან ერთად, მეტი საკითხი წამოიჭრა. კონფლიქტებიც მეტია, შესაბამისად. თუმცა, მაინც ძირითად თემებად კვოტა და ძალადობა რჩება. მეთოდები არსებითად არ განსხვავდება, გარდა იმისა, რომ დღეს მეტად მიმართავენ პერფორმანსებს და ინტერნეტ–აქტივიზმს, ვიდრე ადრე. 90–იანებში მოღვაწე ფემინისტებისგან განსხვავებით, ჩვენ ინფორმაციაზე წვდომის მეტი შესაძლებლობები გვაქვს და ერთმანეთსაც უფრო მეტად ვეხმარებით. ყველაზე დიდი პრობლემა, რაც თაობებს შორის არსებობს, იდეოლოგიურზე უფრო, რესურსებისთვის ბრძოლაა. მას, ვინც გარკვეული კულტურული კაპიტალი შეიძინა, ასე ადვილად არ ეთმობა უმცროსი თაობებისთვის. ჩემზე 10 წლით უფროსი ქალებისგან

მეტ მხარდაჭერას ვგრძნობ, ვიდრე მათგან, ვინც დიდი ხნის წინ დაიმკვიდრეს თავი აქტივიზმში. ჩემზე 7-10 წლით უმცროს ფემინისტებთან კომუნიკაცია ნაკლებად გვაქვს და არც ვიცი, როგორ აღგვიქვამენ. სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან ჩემი გამოცდილებით, საყვედურები არის ჩემი თაობის მიმართაც, რადგან თავს მოწყვეტილად გრძნობენ პოლიტიკებიდან, განსაკუთრებით რეგიონებში. სიმართლე რომ ვთქვა, არ ვიცი, ეს ელიტიზმი, რომლის ცოდვაშიც მეც ვდგავარ, როგორ შეიძლება, დაიძლიოს. თავის დროზე ხომ მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ვინც „ინტელექტუალური" სივრცეებიდან სრულიად განდევნილი იყო, თავდაპირველი მოცემულობებიდან გამომდინარე.

საომავლო ხედვა

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად დიდ სურათზე პოზიტიურ ცვლილებებს ვხედავ, უფრო თუ დავავიწროვებ ფოკუსს, ამჟამინდელი ფემინისტური კრიზისი ძალიან ცხადი და ნათელია ჩემთვის. ერთი, რაც უკვე მოხდა, ისაა, რომ სხვადასხვა პოლიტიკოსებისთვის, აქ-ტივისტებისთვის და რიგითი მოქალაქეებისთვის ყინული მეტ-ნაკლებად გალღვა: ისეთი გაუცხოება აღარაა და ფორმალურ დონეზე მაინც არის რაღაც საკითხებზე თანხმობა. მომავალში ეს ფორმალობები რომ რეალურ პრაქტიკებად იქცეს, არის მთავარი გამოწვევა. დღეს მოძრაობა არ მუშაობს ზრდაზე. მოძრაობაში მთლიანად ფემინისტებს ვგულისხმობ და არა მხოლოდ - რომელიმე ჯგუფს. არც ძლიერი სტრატეგიები არაა. გენდერული ძალადობა რომ პრობლემაა, ამა-ზე ძალიან ბევრი არაფემინისტიც გვეთანხმება ხოლმე, მაგრამ ამ ძალადობას მილიონნაირი გამოხატულება აქვს. ეკონომიკური გაძლიერება, სექსუალობა და ქალობის მიღმა ერთმანეთთან კავშირების ძებნაა საჭირო. დღეს ფემინიზმი რამდენიმე ცნობად სახეზე დგას, ამ პრივილეგირებულებს შორის მე თვითონაც ვარ გარკვეულწილად. ფემინისტურმა მოძრაობამ რაღაც ციკლივით გაიარა და ახლა ახალ ეტაპზე უნდა გადავიდეს, შეიძლება, ეს უახლოეს ხანებში არც მოხდეს. ჩვენ სულ წარმოგვიდგენია, რომ წინ და მხოლოდ აღმავალი „სწორი" გზით არის სიარული შესაძლებელი, ან ასე გვინდა ხოლმე. როგორც წესი, უფრო რთულია განვითარების გზა და ყოველთვის წინ სვლას არ გულისხმობს. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ფორმულა „ჩვენ ქალები ვართ და შესაბამისად, ჩვენი ჩაგრულობის გამოცდილება გვაერთიანებს",

არ მუშაობს. დობის არ მჯერა, მოკავშირეების მჯერა, რომელიც მართალია ძირითადად ქალებს შორის, თუმცა სხვა ჩაგრულ ჯგუფებს შორისაც შეიძლება ვეძებოთ. ის ფაქტი, რომ არსებული ეკონომიკური და კულტურული სისტემები და ინსტიტუტები სხეულების ქალებად და კაცებად დაყოფით უკეთ გვაკონტროლებს, მხოლოდ ქალურ გამოცდილებაზე აპელირებით არ იცვლება. მგონია, კიდევ დიდ ხანს მოგვიწევს ბრძოლა, რათა მსხვერპლების ნარატივიდან მებრძოლების ერთობად ვიქცეთ, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ სხვადასხვა დროსა და ადგილას ამგვარი გამოვლინებები დაიწყება.